## ცხოვრების ჯანსაღი წესი

# 1200 ბედნიერი თბილისელი

გუშინდელი შაბათი, დარწმუნებული ვარ, დიდი სიხარულის მომტანი იყო სულ ცოტა 1200 თბილისელისთვის. სწორედ ასეთი გახლდათ რიცხვი ჭავჭავაძის პროსპექტიდან წამოსულ მორბენალთა ჯგუფისა, რომელსაც წინ მოუძღოდნენ მედროშენი – საქართველოს სახელმწიფო დროშით, დედაქალაქის, აგრეთვე, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური ალმებით.

1200 მამაკაცი, ყმაწვილი და ქალიშვილი მორბოდა გუშინ ფირმა „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიისა“ და სეოჯის თბილისის ორგანიზაციის მიერ გამართულ ტრადიციულ გარბენში – „ვაკის პარკი – თავისუფლების მოედანი“. ყველა მონაწილე ფირმის მიერ ამ ღონისძიებისათვის დამზადებულ სპორტულ მაისურში იყო გამოწყობილი, წითელ-თეთრი მანქანებიდან კი, რომელთა ძარაში უხვად მოემარაგებინათ ცივ-ცივი საფირმო სასმელი, ასევე უშურველად ურიგებდნენ სირბილისაგან ალმოდებულ მორბენლებს „კოკას“.

თუმცა, ეს – ფინიშზე. მანამდე კი ორგანიზატორთა და მსაჯთა ფუსფუსი, ტელე და ფოტორეპორტიორების აპარატურის შემართება, თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს ხელმძღვანელების, რაიონების სპორტკომიტეტების თავკაცთა ნერვიულობა, ყველა მნიშვნელოვან ასპარეზობას რომ ახლავს თან. ზუსტად 11 საათზე კი გაისმა ცნობილი სპორტული მუშაკის ნუხა გაგოშიძის ომახიანი შეძახილი განუყრელი მეგაფონიდან: „სტარტ!“

იხ. მე-7 გვ.

**ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:**
http://www.opentext.org.ge/sakartvelos-respublika

**გასულ კვირას ჩვენს გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 6442 მკითხველი. მათ შორის, 54% აშშ-დან, 26% – საქართველოდან.**

GIOC
საქართველოს ნავთობის
საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International
Oil Corporation

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან.
№169-170 (3571)
კვირა-ორშაბათი, 25-26 ივნისი, 2000 წელი.
ფასი 50 თეთრი.

## ახალი თარგმანი

### რედიარდ კიპლინგი (1865-1936)

### თუ

თუ მალგიძს თავი გეჭიროს მაღლა,
როცა ათასი გონარეული
საკუთარ მარცხის მიზეზად გსახავს,
ცდილობს სიავით მოგიკლას გული;

თუ უნდობლობით ულვთოდ გაწამეს
და არ აგებნა ეჭვით დავთრები,
თუ უსაფუძვლო ცილისწამებას
არ უპასუხე თავისმართლებით;

თუ უსასრულო ლოდინით დაღლილს
შეგრჩა იმედი, სეტყვას ნაჩვევი,
თუ პირში ყველა სიყალბეს გახლის
და ყალბისმთხზველებს შენც არ აპყევი;

თუ სიმულვილი ჰპოვე ქების წილ,
თუ შურისგებას არ დაემონე,
თუ დუმილს არჩევ, განდიდებისთვის
ათასი ხერხი თუ არ იღონე;

თუკი ოცნების შეგწევს უნარი,
მაგრამ ოცნებას კერპად არ იხდი,
თუკი ფიქრია ხშირი სტუმარი
და არ გატყვევებს ბრძენის ხარისხი;

ხარბი თუ არ ხარ, თუკი შენს თვალში
ზეიმს და გლოვას ერთი ფასი აქვს,
თუ ატყობ, რომ ეს წყვილი მევახშე
ერთი მაცდურის ორი სახეა;

თუ შეგიძლია მშვიდად უცქირო
როცა შენეულ ჭეშმარიტებას
თაღლითთა ხროვა ურცხვად, უპიროდ
ძირს უთხრის, ბრიყვს რომ მოჰგვაროს შვება.

თუ იტან, როცა მთელ შენს საუნჯეს,
სიცოცხლე, თავი რომ ანაცვალე,
გინადგურებენ, გიშლიან ფუძეს
და ისევ აგებ ახალ საძვალეს;

თუ რაც გებადა დასაბამიდან
სასწორზე დადე, მაგრამ დამარცხდა,
თუ ხუყველაფერს იწყებ თავიდან
და დანაკარგზე სიტყვაც არ დაგცდა;

და შენ, ძლიერი მოუხმობ ნებას,
დაითმენ ელდას, დადგები მტკიცედ,
როცა ნუგეში არ გეგულება
ამ სიტყვის გარდა „აბა, შენ იცი!“

უჩინარს ბრბოში, მონარქთან დიადს,
თუ სათნოება არ დაგელევა,
თუ მტერ-მოყვარეს შენი რიდი აქვს,
პატივს გცემს, მაგრამ არც თავს გევლება;

სასტიკი წუთის სამოცი წამი
თუ შენს ღირსებას არ ითხოვს მსხვერპლად,
ეს დედამიწა შენია, გწამდეს,
ქვეყნად მოსულხარ, კაცი რომ გერქვას!

თარგმნა
**დალი ინწკირველმა.**

## პრეზიდენტი

# „რადიო თავისუფლება“ თავისუფალი პრესის ერთგვარი სკოლაა“

**– განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ 24 ივნისს „რადიო თავისუფლების“ პრეზიდენტთან ტომას დაიანთან შეხვედრისას.**

„რადიო თავისუფლების“ პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტის მიზანია მონაწილეობა მიიღოს „რადიო თავისუფლებისა“ და მისი პარტნიორი რადიოების ასამბლეაში, რომელიც 24-27 ივნისს გუდაურში გაიმართება. აღსანიშნავია, რომ ამგვარი ასამბლეა ყოველწლიურად ტარდება პრაღაში. საქართველო პირველი ქვეყანაა, სადაც „რადიო თავისუფლება“ თავისი პარტნიორებისა და ფილიალების მონაწილეობით გასვლით ასამბლეას მართავს.

შეხვედრაზე ტომას დაიანმა ედუარდ შევარდნაძეს „რადიო თავისუფლების“ თავისებურებები და მისი მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებები გააცნო. როგორც სტუმარმა აღნიშნა, „რადიო თავისუფლების“ მაუწყებლობა დღეისათვის 24 ქვეყანაში ვრცელდება, მათ შორის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ერაყსა და ირანში. ამასთან, მას მსმენელთა სპეციფიკური კატეგორია ჰყავს – ძირითადად, ინტელიგენცია და პოლიტიკური სპექტრი.

იხ. მე-2 გვ.

## გიხაროდეთ!

# სულ დედამისის თვალები აქვს...

ქვირფასო რედაქციავ, 23 ივნისს მამა გავხდი, მე და ჩემს მეუღლეს ქეთევან ვაჩეიშვილს გოგონა შეგვეძინა. პატარა თეთრია, ბუთხუზა და პირმშვენიერი. დედამისივით დიდრონი თვალები აქვს, ცისფერი და ლამაზი, წონით 3 კილო და 600 გრამია, სიგრძით – 51 სანტიმეტრი. სახელად გვანცა დავარქვით.

ქეთი 21 წლისაა, მე – 23-ის. ორივენი სტუდენტები ვართ. თითქოს რაღაცით ძალიან შევიცვალე, სიამაყით აღვივსე, ქვეყანა ჩემი მგონია. მინდა, ყველამ გაიგოს, რომ მამა ვარ. ქეთი ძალიან გახარებულია, მეუბნება, შენი პირისახე და ღიმილი აქვსო.

ჩვენი მშობლები ხომ სიხარულით ცას ეწივნენ. გვპირდებიან, თქვენ კარგად ისწავლეთ და გვანცას აღზრდაში ჩვენ შეგეშველებითო.

მადლობას მოგახსენებთ ჩვენი სიხარულის გაზიარებისთვის.

**ირაკლი
დოგორჯგინიძე,**
თბილისი.

**პირველ** შვილს გილოცავთ, ქეთევან და ირაკლი. კიდევ მრავალი გოგო-ბიჭის შეძენით გეხაროთ და სასახელო შვილები დაგეზარდოთ.

**ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.**

## ორბიტაზე

# პლანეტა უსმენს და უყურებს საქართველოს

შემთხვევით როდი უწოდეს ამ სახელმწიფოთაშორისი ტელერადიო კომპანიას „მირი“: მისი ძირითადი მოვალეობაა მსოფლიოს გააცნოს დემოკრატიულ საწყისებზე დამდგარი პოსტსაბჭოური ქვეყნის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პრობლემები, მისი ყოველდღიურობა.

იგი უკვე 5 წელიწადია არსებობს, მის დაფუძნებასა და ფეხის ადგმაში დიდი წვლილი მიუძღვის ქალბატონ სესილი გოგიბერიძეს, რომელიც შემდეგ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გახდა, ხოლო სულ ახლახან ქვეყნის კულტურული ცხოვრების თავკაცობა დააკისრეს.

შეიძლება საქმეში ჩაუხედავმა კაცმა იფიქროს: თუკი ამდენი ხანია არსებობს ეს კომპანია, რატომ ჩვენს რადიო ტალღებსა თუ ტელეარხებზე არა ჩანსო.

იხ. მე-4 გვ.

**სურათზე:** საქართველო სი-ენ-ენის საშუალებით გადის მსოფლიო ორბიტაზე.

## კორუფციის წინააღმდეგ

# ტყავის ბურთის წახნაგები

### ეჰ, „დინამო“, „დინამო“!...

მანკიერება შორს არის წასული. დიდი კაცების და დიდი მოხელეების უმთავრესი მიზანი სიმდიდრე, გამორჩენააო, – საუკუნეების წინათ გაუფრთხილებია ბრძენ სულხან-საბას ქართველები.

გაუმაძღრობა ოდითგან მოგვდგამს, ოღონდ XX საუკუნის მიწურულს ამან აპოგეას მიაღწია, ლამის ძვალ-რბილში გაგვჯდომია. ჩვეულება კი, მოგეხსენებათ, რჯულზე უმტკიცესია. გაიყვლიფა ქვეყანა, გაიძარცვა და დაკნინდა დარგები... დღეს, როცა აღვირახსნილმა კორუფციამ ფეხქვეშ გაიგდო ქვეყანა, გაუმაძღრობამ იმ სულიერ-კულტურულ სამყაროშიც შეაღწია, რომლის ნათელიც – თუნდაც მცირე ხნით მაინც, სიხარულსა და ბედნიერებას ანიჭებდა ადამიანებს.

ზოგჯერ წუთიერად გაელვებული სიხარული შეიძლება წლობით გაგყვეს. ადამიანს კი ბედნიერებისათვის ცოტა, ძალიან ცოტა ჰყოფნის...

ვიღაცას ესეც არ ემეტება მოძმისთვის. სხვაგვარად როგორ ვთქვა, როცა მომხვეჭელები, გაუმაძღრები, ჩვენს საამაყო თბილისის „დინამოსაც“ სწვდნენ ყელში!

იხ. მე-3 გვ.

## გაზეთი და მკითხველი

# საიდუმლო საუბარი გაზეთების დახლთან

ოღონდ არ გამამხილოთო, – მითხრა გამყიდველმა, – უკვე აღარ შემიძლია ერთი და იგივე ტყუილით გავისტუმრო ხალხი. მაგრამ ასე დამარიგეს.

ქალი შუა ხანს იყო გადაცილებული და როგორც შემდეგ გაეარკვიე – უმაღლესი განათლებით. თბილისელი. თვეში რამდენიმე ლარად გამყიდველად დაუდგა ჯიხურის პატრონს. გაზეთების ჯიხურზეა ლაპარაკი. ჯიხურის პატრონი ჩამოსულია.

ეგ არაფერი...

იხ. მე-2 გვ.

## გამოიცა

# ყულფი, რომელიც საქართველოს ყელზე ჩამოაცვეს

**„დავიწყებას“ მიეცა, თუ როგორ ულოცავდა „ბრატიშკა ბოევიკს“ სოხუმის აღებას ქობალიას რომელიღაც ნაძირალა რაზმელი**

იხ. მე-3 გვ.

## ინფორმაცია

### მიზანშეწონილია ახალი რუსული ტექნიკის შემოტანა

როგორც ვიუწყებოდით, რუსულმა კომპანიამ „რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემა“ შესაძლოა ქართველ ენერგეტიკოსებს „თბილსრესში“ ერთობლივი ქართულ-რუსული კომპანიის შექმნის წინადადება შესთავაზოს.

თბილსრესის გენერალურმა დირექტორმა ტარიელ ბიწაძემ თქვა, რომ რუსული მხარე ამჟამად თბილსრესის ტექნიკური მდგომარეობის სრულ ანალიზზე მუშაობს და თანამშრომლობის კონკრეტულ ფორმაზე საბოლოო წინადადებას საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ივნისის ბოლოს წარუდგენს.

ივნისის დასაწყისში „რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემის“ ექსპერტთა ჯგუფმა „თბილსრესის“ ტექნიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა შეისწავლა. მისი დასკვნით, „თბილსრესის“ სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი ბლოკების სრული რეაბილიტაციისათვის 72 მილიონი დოლარია საჭირო.

თბილსრესის 150 მეგავატი სიმძლავრის პირველი და მეორე ბლოკი, რომლებიც ექსპლუატაციას აღარ ექვემდებარება, 60-იანი წლების დასაწყისში აშენდა. სულ კი საბჭოთა პერიოდში 10 ენერგობლოკის აშენება მოხერხდა, რომელთაგან მე-9 და მე-10 ენერგობლოკები ამერიკულმა კომპანია AES-მა ქონების მართვის სამინისტროს მიერ 1999 წელს გამართულ ტენდერში გამარჯვების შემდეგ დაისაკუთრა.

რუსული ტექნოლოგიით აშენებული ექსპლუატაციისათვის ჯერ კიდევ ვარგისი მე-3, მე-4 და მე-8 ბლოკები სრულ განახლებას მოითხოვს.

ამისათვის კი ტექნიკური თვალსაზრისით სწორედ ახალი რუსული ტექნიკის შემოტანაა მიზანშეწონილი.

### უკრაინის პრემიერ-მინისტრი შეიძლება ივლისში საქართველოს ეწვიოს

უკრაინის პრემიერ-მინისტრს ვიქტორ იუშენკოს საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი არსენიშვილმა საქართველოში მიწვევა გაუგზავნა, და ეს ვიზიტი შესაძლოა ივლისის ბოლოს შედგეს. ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებებია უკრაინაში ქართული ღვინის, მინერალური წყლების მიწოდება, სატრანსპორტო დერეფნების განვითარება, – აცნობეს პრაიმ-ნიუსს საქართველოში უკრაინის საელჩოში.

**ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.**

## გასაჭირი

# ქართული ჩაი მოჯადოებული წრის ტყვეობაში

### ანუ მნიშვნელოვანი დარგის არცთუ ისე სასურველი ისტორიის ფურცლები

კარგა ხანია, ჩაის ბუჩქზე ფოთოლი შემოვიდა და იკრიფება კიდეც. რომ ვთქვა, სეზონი ორგანიზებულად დაიწყო, მართალი არ ვიქნები, რადგან საამისო არაფერი მსმენია, – პირიქით...

ალბათ გახსოვთ, ადრე, სეზონის დაწყებამდე დიდი სამზადისი იმართებოდა, ამის შესახებ პრესის ფურცლებზედაც თვალსაჩინო ადგილზე იბეჭდებოდა. ერთი სიტყვით, საზოგადოებამ იცოდა, რომ არემონტებდნენ ჩაის ფოთლის საკრეფ მობილურ თუ მცირე გაბარიტიან მექანიზაციას, ფაბრიკები იმარაგებდნენ საწვავს, ტექნოლოგიური პროცესების მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილებს, ქსოვდნენ კალათებს და სხვა.

იხ. მე-4 გვ.

## ნავთობსადენი

# არასამთავრობო ორგანიზაციები საუკუნის პროექტზე მსჯელობენ

რომ არ ყოფილიყო „ბაქო-სუფსა“ არ იქნებოდა „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი“ – საქართველოს პრეზიდენტის ეს გამოთქმა ზუსტად მიუთითებს იმ დიდ გამოცდილებაზე, რაც სუფსის ნავთობსადენის მშენებლობაზე ჩვენმა სპეციალისტებმა შეიძინეს.

იხ. მე-2 გვ.

## ქორწილია, ქორწილი!..

# იხარე, ქვრო...

ეს სიტყვები ახლა გამუდმებით გაისმის დიდიძეებისა და ჩალაძეების ოჯახში. გაიხარეს ვაჟის მშობლებმა ვიტალი დიდიძემ და მანანა ინგოროყვამ, პატარძლისამ – სპარტაკ ჩალაძემ და მერი მაისურაძემ.

ამ ლამაზი წყვილის – მშენებელი-ინჟინრის კახა დიდიძისა და ქართულ-გერმანული სპეციალიზებული ონკოლოგიური კლინიკის ინჟინერ-მედიკოსის ქეთევან ჩალაძის ურთიერთობა თავიდან სიმპათიით დაიწყო და დიდი სიყვარულით, ახალი ოჯახის შექმნით დამთავრდა.

ახალგაზრდებმა ჯვარი ანჩისხატის ეკლესიაში დაიწერეს, შემდეგ კი ცოლ-ქმრული

იხ. მე-2 გვ.

## უკანასკნელ საათს

**საბანტუიზე** – ყაზანში გამართულ სახალხო დღესასწაულზე პირველად გამოჩნდა რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი სპორტულ მაისურში, საცეკვაო არენაზე და მაწვნით ცხვირ-პირიც კი მოეთხუპნა ერთ-ერთ სახალხო თამაშობაში მონაწილეობის დროს.



**გუშინ** მოსკოვში საზეიმოდ აღნიშნეს ფაშიზმზე გამარჯვების გრანდიოზული პარადის 55-ე წლისთავი.

## დღეს



**დასავლეთ საქართველოში**
დაბლობში: ღამით +13+18; დღისით +22+27.
მთაში: ღამით +9+14; დღისით +20+25.

**აღმოსავლეთ საქართველოში**
ბარში: ღამით +14+19; დღისით +25+30.
მთაში: ღამით +10+15; დღისით +22+27.

**თბილისში**
ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ.
ღამით +16+18; დღისით +28+30.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

## ლარის კურსი

*24 ივნისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:*

| | | |
|---|---|---|
| გერმანული მარკა | 1 | 0.9492 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.9600 ლარი |
| ევრო | 1 | 1.8565 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0696 ლარი |

## ინტერპანორამა

**გუშინ** რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს სენსაციური ცნობა. შებრუნებულფრთებიანი მოიერიშე თვითმფრინავმა ს-37 – „ბერკუტმა“ მსოფლიოში პირველად გადალახა ზებგერითი ბარიერი.

საინფორმაციო საშუალებები აღნიშნავენ, რომ რუსეთის ავიაციის ზოგიერთი მიღწევა თანამედროვე მსოფლიო დონეს 25 წლით უსწრებს.

**სამარაში** საავიაციო დღესასწაულის დროს კატასტროფა განიცადა ტურისტულმა თვითმფრინავმა. დაიღუპა მცირე ავიაციის მთავარი კონსტრუქტორი იგორ ეახრუშევი და მისი მგზავრი.

VICTORY is CERTAIN
GREAT ZIMBABWE
VOTE MDC X

**ზიმბაბვეში** მიმდინარეობს საპარლამენტო არჩევნები. ქვეყნის პრეზიდენტის რობერტ მუგაბეს ზანუ-პფ მმართველ პარტიას უპირისპირდება ოპოზიციური „დემოკრატიული ცვლილებების მომხრეთა მოძრაობა“.

**გუშინ** გერმანიაში მწვანეთა პარტიამ მხარი დაუჭირა მთავრობის გეგმებს ატომური ელექტროსადგურების გამოყენებაზე ეტაპობრივი უარის თქმის შესახებ.

## გვირეკავენ, გვეკითხებიან

– მამაჩემი რეპრესირებული იყო, მე ყაზახეთში დავიბადე, სადაც მამა იყო გადასახლებული. მე და დედას პენსია დაგვენიშნა.

ეკუთვნით თუ არა ანალოგიური პენსია ჩემს დებსა და ძმას, რომელიც პირველი ჯგუფის ინვალიდია?

**თედო რეხვიაშვილი.**

– დღეისდ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რეპრესირებულთა შვილები, რომლებიც მშობლებთან ერთად არ იმყოფებოდნენ გადასახლებაში, ან გასახლებაში, გადიდებული ოდენობით (თვეში 45 ლარი) პენსიის მიღების უფლებით ვერ სარგებლობენ.

**ირინე ღლონტი.**

**დაგვირეკეთ: 93-28-54.**

„საქართველოს რესპუბლიკა“ – ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

### პრეზიდენტი

## „რადიო თავისუფლება“ თავისუფალი პრესის ერთგვარი სკოლაა“

(პირველი გვერდიდან)

ტომას დაიანის განცხადებით, პოსტსაბჭოთა სივრცეში „რადიო თავისუფლებას“ ყველაზე მეტი მსმენელი სამხრეთ კავკასიის რეგიონში ჰყავს. „საქართველოს ტელერადიოკორპორაციასთან თანამშრომლობამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ჩვენი გადაცემების შინაარსი და ხარისხი და, შესაბამისად, მსმენელთა რაოდენობის ზრდა“, — აღნიშნა სტუმარმა.

ამჟამად „რადიო თავისუფლება“ თავისი ფილიალების გაძლიერებასა და აუდიტორიის მასშტაბების გაზრდას აპირებს.

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის განცხადებით, რაც უფრო დიდი იქნება „რადიო თავისუფლების“ მსმენელთა კონტინგენტი, მით მეტად განვითარდება დემოკრატიზაციის პროცესი. საქართველოში სიტყვის თავისუფლების პრობლემა არ არსებობს, აუდიტორია დაუბრკოლებლად იღებს ინფორმაციას.

— „რადიო თავისუფლება“ თავისუფალი პრესის ერთგვარი სკოლაა და ჩვენც, შესაბამისად, ხელი უნდა შევუწყოთ დემოკრატიული ღირებულებების საბოლოო დამკვიდრებას, — განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.

## ილია კლებანოვი: „რუსეთი ზუსტად დაიცავს სტამბოლში მიღწეულ შეთანხმებას“

საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ სტამბოლში მიღწეული შეთანხმების რეალიზაციის მიმდინარეობის საკითხი განიხილეს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ და რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ ილია კლებანოვმა შეხვედრაზე, რომელიც 24 ივნისს გაიმართა.

როგორც შეხვედრის დაწყებამდე რუსეთის ვიცე-პრემიერმა განაცხადა, მოლაპარაკება საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან ხვალაც გაგრძელდება.

ილია კლებანოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთი ზუსტად დაიცავს სტამბოლში მიღწეულ შეთანხმებას. კონკრეტულად, როგორც მან განაცხადა, დადგენილ ვადაში, 2001 წლის 1 ივლისამდე გაიყვანს რუსეთი ვაზიანის სამხედრო ბაზას. რაც შეეხება გუდაუთაში განლაგებულ სამხედრო ბაზას, აღნიშნა ილია კლებანოვმა, დღის წესრიგში დგას საკითხი, რომ იგი აფხაზეთში დისლოცირებულ სამშვიდობო ძალებს გადასცენ მომზადებისა და რეაბილიტაციის მიზნით. რუსეთის ვიცე-პრემიერის შეფასებით, „ეს სადღეისოდ ყველაზე რაციონალური და გონივრული წინადადებაა“.

შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტსა და რუსეთის ვიცე-პრემიერს შორის დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა.

**საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.**

### დოკუმენტი

## საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

2000 წლის 19 ივნისი ქ. თბილისი

### საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების ჩამოყალიბებისა და „ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მართვის სრულყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 9 დეკემბრის № 723 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 26 დეკემბრის № 687 ბრძანებულებიდან გამომდინარე ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმდინარე ამოცანების ოპერატიულად გადაწყვეტისა და ეფექტიანობის ამაღლების მიზნით:

1. გაუქმდეს „ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მართვის სრულყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 9 დეკემბრის № 723 ბრძანებულების საფუძველზე შექმნილი ჯანდაცვის მართვის სამხარეო დეპარტამენტები და მათ ბაზაზე საქართველოს 2000 წლის საბიუჯეტო მიზნობრივი ტრანსფერების ხარჯზე შეიქმნას საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემდეგი ტერიტორიული ორგანოები:

ა) კახეთის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის რეგიონალური დეპარტამენტი;

ბ) ქვემო ქართლის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის რეგიონალური დეპარტამენტი;

გ) მცხეთა—მთიანეთის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის რეგიონალური დეპარტამენტი;

დ) შიდა ქართლის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის რეგიონალური დეპარტამენტი;

ე) სამცხე—ჯავახეთის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის რეგიონალური დეპარტამენტი;

ვ) იმერეთის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის რეგიონალური დეპარტამენტი;

ზ) რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის რეგიონალური დეპარტამენტი;

თ) სამეგრელოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის რეგიონალური დეპარტამენტი;

ი) გურიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის რეგიონალური დეპარტამენტი;

კ) ცხინვალის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის რეგიონალური დეპარტამენტი;

ლ) ქ. ფოთის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამმართველო;

მ) დაბა მესტიის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამმართველო.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მართვის სრულყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 9 დეკემბრის № 723 ბრძანებულების მე—4 პუნქტი.

3. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულებმა, რაიონის (ქალაქების) გამგებლებმა (მერებმა) 2 კვირაში უზრუნველყონ სისტემაში მიმდინარე რესტრუქტურიზაციის პროცესის დამთავრება.

4. საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ (ა.ჯორბენაძე):

ა) გაატაროს შესაბამისი ორგანიზაციული ღონისძიებები სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების ფუნქციონირებისათვის;

ბ) შეიმუშაოს და დაამტკიცოს სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების დებულებები.

5. ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ე. შევარდნაძე.**

### ნავთობსადენი

## არასამთავრობო ორგანიზაციები საუკუნის პროექტზე მსჯელობენ

(პირველი გვერდიდან)

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი გია ჭანტურია ახლა უკვე წელგამართული, მეტი დარწმუნებით უყურებს ყველას საუკუნის პროექტის „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ჩვენი ქვეყნისთვის დიდ მნიშვნელობასა და მომგებიანობაზე. პროექტის საჯარო განხილვა კარგა ხანია დაიწყო. მის ავკარგზე აზრი უკვე გამოთქვეს მეცნიერებათა აკადემიაში, პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პარლამენტში. ამ შეხვედრებზე ნებისმიერს, სახელმწიფო მოხელეს თუ რიგით დაინტერესებულ მოქალაქეს შეეძლო დაეფიქსირებინა თავისი შეხედულება მომავალ ნავთობსადენზე. ეს მრავალმხრივი საჯაროობა კიდევ უფრო საინტერესოს ხდის პროექტის შინაარსს და მისი განხორციელების იდეას. ამიტომაც არის, რომ უმეტესობას იმედის ნაპერწკალი უღვივდება, ამ რთულ ეკონომიკურ ყოფაში იქნებ ამ ნავთობსადენმა გადაარჩინოს საქართველო.

„ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ძირითადი საექსპორტო მილსადენის იმ სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებას შარშან 18 ნოემბერს სტამბოლის სამიტზე მოეწერა ხელი. 22 ივნისს კი მისი რატიფიცირება მოხდა. იმ დროს, როდესაც ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობა დაუსაქმებელია და ბევრი ლუკმა პურის საძებნელად უცხოეთის გზებს მიუყვება, ნავთობსადენის მშენებლობაზე დასაქმებულთა 80 პროცენტი (დაახლოებით 40-60 ათასი კაცი) ადგილობრივი იქნება. ამოქმედდება საქართველოს მრეწველობის ის დარგები, რომლებიც ახლა სულს ღაფავენ. საქართველოს მრეწველობაში განსათავსებელი შეკვეთების სავარაუდო მოცულობა დაახლოებით 130 მლნ დოლარს მიაღწევს. ამასთან, მაქსიმალურად გამოიყენებენ ადგილობრივ სამშენებლო მასალებსა და მანქანა-დანადგარებს. გარდა ამისა, პროექტის განვითარებისათვის საჭირო ტვირთების დიდ რაოდენობას (60 პროცენტი) ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებით, ასევე სარკინიგზო, საავტომობილო და საავიაციო ტრანსპორტის საშუალებით შემოიტანენ, რამაც საქართველოს შემოსავალი ტრანსპორტირებული ტვირთის თითოეულ ტონაზე 8-10 დოლარი იქნება. პროექტში გამოიყენებენ უმაღლესი დონის საერთაშორისო გარემოსდაცვით და ტექნიკურ სტანდარტებს, საერთოდ ნავთობსადენის მშენებლობა არ დაიწყება, ვიდრე საქართველო არ დაამტკიცებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და საინჟინრო-საპროექტო დოკუმენტაციას.

ამიტომაც პროექტთან დაკავშირებული ყველა საკითხი ფართო მსჯელობის საგანი გახდა. გუშინწინ საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციაში გამართულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრაზე განიხილეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის პროექტის განხორციელებაში არასამთავრობო ორგანიზაციათა მონაწილეობისა და მათთან ფართო თანამშრომლობის მექანიზმების ჩამოყალიბება. აგრეთვე, იმსჯელეს არასამთავრობო ორგანიზაციათა მონაწილეობით სპეციალური მონიტორინგის ჯგუფების შექმნისა და ამ გზით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის პროექტის განვითარების საჯაროობის უზრუნველყოფის საკითხებზე.

უნდა ითქვას, რომ კორპორაციის კარი ღიაა ყველა სამთავრობო ორგანიზაციისათვის, იგი მზად არის ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, როგორც ამ პროექტის თაობაზე, ისე თვითონ კორპორაციის მუშაობის შესახებ წამოჭრილ ყველა შეკითხვაზე პასუხი გასცეს. ეს ინიციატივა მართლაც მისაბაძია და გვაჩვენებს, კორპორაცია და მისი ხელმძღვანელობა თუ როგორაა მონდომებული ღია, გამჭვირვალედ ცხოვრებისა.



„ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ პროექტთან დაკავშირებით, — როგორც ბატონმა გია ჭანტურიამ აღნიშნა, — მისი მიზანია არასამთავრობო ორგანიზაციებმა მონიტორინგი დააწესონ საქართველოს ვალდებულებების განხორციელებაზე, ასევე მოახდინონ მოსახლეობის სათანადო ინფორმაციით უზრუნველყოფა, რათა ერთობლივად შევუწყოთ ხელი ღია საინფორმაციო ბაზის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. არასამთავრობო ორგანიზაციებს განსაკუთრებული შრომა და ძალისხმევა დასჭირდებათ პროექტის ირგვლივ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნების განხორციელებისათვის.

პროექტში გარემოსთან დაკავშირებული საკითხები დამსწრე საზოგადოებას უფრო კონკრეტულად გააცნო გარემოს დაცვის მენეჯერმა მედგარ ჭელიძემ, ხოლო მიწის საკუთრებასთან დაკავშირებით მოსახლეობის ნდობის უზრუნველყოფაზე ისაუბრა ირაკლი ქელბაქიანმა. პროექტი დადებითად შეაფასეს გაერთიანებული ერების საქართველოს მისიის ხელმძღვანელმა მარკო ბორზოტიმ და იუსაიდის ენერგეტიკულ საკითხებში მთავარმა მრჩეველმა ჰერბერტ ემრიხმა.

ამ დიდ შეხვედრაში მონაწილეობა სამოცამდე არასამთავრობო ორგანიზაციამ და რამდენიმე დაინტერესებულმა ცალკეულმა პიროვნებამ მიიღო.

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტმა გია ჭანტურიამ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიერ დასმულ მრავალ შეკითხვას, მათ შორის მწვავე მოსაზრებებსაც უპასუხა, კამათში მონაწილეობა მიიღეს ღვთისმეტყველთა კავშირის თავმჯდომარემ ზაზა სიხარულიძემ, დავით ლაზარეიშვილმა — დამოუკიდებელ იურისტთა ასოციაციიდან, აკაკი ფანჩულიძემ — გარემოს დაცვის ინსტიტუტიდან, სხვადასხვა დამოუკიდებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა.

„ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ საუკუნის პროექტში ჩაწვდომა საქართველოს თითოეული მოქალაქის ინტერესის საგანი გახდა.

**ლალი ძინძლაძე.**

### ეკლესია

## სრულიად საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

როგორც ცნობილია, 1959 წლის 17 მარტს ტრაგიკულად დაიღუპა გამოჩენილი ქართველი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე. წლების განმავლობაში იკვლევდნენ, თუ რამ განაპირობა მისი ასეთი აღსასრული. არსებობს რამდენიმე მოსაზრება მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, მაგრამ ყველაზე გავრცელებული ვერსიით ცნობილია, რომ პოეტმა თავი მოიკლა.

საქართველოს საპატრიარქომ გაითვალისწინა გალაკტიონ ტაბიძის ახლობლების, მასთან დაახლოებული ექიმების, საქართველოს ექიმთა ასოციაციის, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის და სხვათა დასკვნები სიცოცხლის ბოლო პერიოდში პოეტის ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობის შესახებ და ნება დართო წესის აგებისა.

დიდი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის წესის აგება შედგება ა.წ. 25 ივნისს, კვირას, 12.00 საათზე სიონის საპატრიარქო ტაძარში და მას შეასრულებს უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე, ხოლო იმავე დღეს, 15.00 საათზე, პოეტის საფლავზე, მთაწმინდაზე გადახდილი იქნება საეკლესიო პანაშვიდი.

## მის უწმინდესობასა და უნეტარესობას სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია მეორეს

საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემია უმდაბლესად გთხოვთ გადაუხადოთ პარაკლისი და აუგოთ დაკრძალვის ქრისტიანული წესი ჩვენს უდიდეს მგოსანს გალაკტიონ ტაბიძეს.

კარგად მოგეხსენებათ, რომ 1959 წლის 17 მარტს საავადმყოფოში სამკურნალოდ მისული და ექიმის მომლოდინე პოეტი გაურკვეველ ვითარებაში გადმოვარდა მეოთხე სართულიდან. საქართველოს სამედიცინო საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი, რომ მარადისობასთან წილნაყარი პოეტის უკანასკნელი ნაბიჯი განპირობებული იყო სერიოზული ფსიქო—ნერვული გადაღლით.

ქართველი მკურნალი ექიმები კარგად ვიცნობთ გალაკტიონის სამედიცინო ანამნეზს და ეჭვგარეშეა, რომ იმჟამინდელი მდგომარეობა პოეტს სრულიად ათავისუფლებდა კანონის, საზოგადოების, ეკლესიის, ზნეობისა და განგების წინაშე პასუხისმგებლობისგან.

სავსებით ნათელია, რომ ყოველგვარი საერო, საკანონმდებლო თუ სარწმუნოებრივი შეზღუდვა გალაკტიონის მიმართ, მისი პიროვნებიდან გამომდინარე, მისი ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, არამართებულია და უნდა მოეხსნას.

უმორჩილესად ვშუამდგომლობთ თქვენი უწმინდესობისა და უნეტარესობის, საქართველოს საპატრიარქოს წინაშე, გამოსწორდეს ის, რაც მძიმე ტვირთად აწევს ჩვენს სულებსა და მთელ ქართველ ხალხს.

### რეპლიკა

## საიდუმლო საუბარი გაზეთების დახლთან

(პირველი გვერდიდან)

რედაქციაში გადავწყვიტეთ გაგვერკვია, რატომ არ მიაქვთ კერძო გამყიდველებს „საქართველოს რესპუბლიკა“ თუნდაც იმ უბნებში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ.

ამიტომ მივადექი იმ ქალბატონს, ვისი რეპლიკითაც დავიწყე ეს რეპლიკა. მან მთხოვა, ჩემს გვარს ნუ დაასახელებთ, ნუ დამაკარგვინებთ სამუშაოსო (რა თქმა უნდა, ვუსრულებ) და აი, რა მითხრა.

ჯერ ტყუილის შესახებ, რომელიც მან ახსენა.

„საქართველოს რესპუბლიკას“ ვინმე თუ მოიკითხავს, უპასუხებს, — არ არისო.

ეს მართალია.

— რატომ არ არის?

— არ მოიტანეს.

ესეც მართალია.

— რატომ არ მოიტანეს?

— მოთხოვნილება არ არის, — ეს კი დიდი ტყუილია. გამყიდველი დაარიგეს, თუ ვინმე დაინტერესდა, რატომ არ გაქვს, ასე უნდა უპასუხოო.

რატომ უნდა უპასუხოს ასე?

იმიტომ, რომ ვინც გაზეთების ბაზარს ფლობს, იმას ხელს არ აძლევს „საქართველოს რესპუბლიკის“ გავრცელება... იდეური მოსაზრების გამო.

ბლოკირებულია ჩვენი გაზეთი.

და ამას ეძახიან ისინი დემოკრატიას, დემოკრატიულ საზოგადოებას, რომელშიც ანტიმონოპოლიური კანონი „მუშაობს“...

დღე არ გავა, რედაქციაში არ დარეკონ განათლებულმა თბილისელებმა:

— სად ვიყიდოთ „საქართველოს რესპუბლიკა“? ჩამოვიარეთ (ნებისმიერ რაიონს დაასახელებენ) და ვერსად ვიშოვეთ. ან გაგვითავდაო, ან არ ვიღებთო, გვეუბნებიან.

ამ დროს დევს და ყვითლდება დიდხანს დებისგან დახლებზე გაზეთები, რომლებსაც არც არავინ კითხულობს, არც არავინ ყიდულობს, არც არავის სჭირდება, მაგრამ დევს და ხუნდება.

ეს ნიშნავს, რომ მათზე არის მოთხოვნილება?!

ასეთი ლოგიკა აქვთ, მარტივი ტყუილის ლოგიკა.

და ათქმევინებენ ტყუილს პატიოსან ხალხს, ვინც დგას დახლებთან ან ჯიხურებში და ყიდის ყველა გაზეთს, გარდა „საქართველოს რესპუბლიკისა“.

და მეორდება მიკროდიალოგები ყოველ დილით:

— „საქართველოს რესპუბლიკა“, თუ შეიძლება.

— არ არის.

— რატომ?

— არ მოაქვთ.

და ასე შემდეგ.

მერე მობეზრდა მკითხველს ერთი და იმავე პასუხის მოსმენა. მერე აღარც ჰკითხა — რა აზრი ჰქონდა? ხოლო იმან, ვინც დაინტერესებული იყო, შეჰქმნა თავისთვის სასარგებლო ფონი და დაარქვა „საზოგადოებრივი აზრი“.

შევეგუოთ, ჩვენო ერთგულო მკითხველებო?

არა!

მაშ, გაიხსენეთ, რომ მკითხველი ქვეყნის განათლებული მოქალაქეები ხართ, რომ გაინტერესებთ ყველაფერი, რაც ამ ქვეყნის მშენებლობასთან არის დაკავშირებული და მოითხოვეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.

როგორც არაერთხელ დაგვიწერია — ჩვენ, ჟურნალისტები, თქვენით და თქვენთვის ვარსებობთ.

**არმაზ სანებლიძე.**

### ქორწილია, ქორწილი!..

## იხარე, ქერო...

(პირველი გვერდიდან)

კავშირი „კონკასთან“ — ქორწინების რიტუალების სახლში ხელმოწერით დააკანონეს. მას მოჰყვა საქორწილო ლამაზი სუფრა საუკეთესო სურვილებით და ორკვირიანი დასვენება ბათუმის ზღვისპირეთში...

ნუ მოშლოდეთ ბედნიერება. ქორწინება ხომ ადამიანების ყველაზე ძვირფასი განძია, როდესაც სულთა, გულთა, გრძნობათა, გემოვნებათა, ხასიათთა თანხმობა, ბუნებისაგან ნაბოძები სიყვარულით დაკავშირებულ და პატიოსნებით გაკეთილშობილებულ კავშირს კიდევ უფრო ამჭიდროვებს. შეიქმნა კიდევ ერთი ახალი ოჯახი, დაისახა სამომავლო მიზნები, ოჯახის გაძლოლის, შვილების აღზრდის, ნათესავ-მეგობრებთან ურთიერთობის.

დაგვილოცნია! — ისე გაგრძელებულიყოს მათი ცხოვრება, რომ მუდამ ერთმანეთისთვის არ დაეშურებინოთ: — შენს იქით ვინ თქვა, რომ იყოს ქალი, კაცი და ქვეყანა? იხარონ და იმრავლონ!...

**ნათელა ფაილოძე.**

### პარტიებსა და მოძრაობებში

## „მრეწველები“ აქტიურდებიან...

**23 ივნისს უჩვეულო ხალხმრავლობა იყო თბილისის ჭადრაკის სასახლეში, სადაც პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ ასობით დელეგატი შეიკრიბა მორიგ კონფერენციაზე...**

— მართალია, ჩვენი საარჩევნო ბლოკის აქტივთან შეხვედრა ცოტა დაგვიგვიანდა, — მითხრა მოძრაობის თავმჯდომარემ გოგი თოფაძემ, — მაგრამ, ამას ჰქონდა თავისი მიზეზები. არჩევნების შემდეგ ორი თვე საპარლამენტო ფრაქციებისა და კომიტეტების შექმნას დაეთმო, შემდეგ იყო საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებული ციებ-ცხელება, მერე კი, ახალი მთავრობის ფორმირების პროცესი, რომელიც სულ ახლახან დამთავრდა... ერთი სიტყვით, ნამდვილი კანონშემოქმედებითი მუშაობა, რომლისთვისაც დიდი მონდომებით ემზადებოდა „მრეწველთა“ ფრაქცია, ძირითადად ახლა იწყება.

საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც კონფერენციის მონაწილეებს წარუდგინა პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ და „მრეწველთა“ საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარემ გოგი თოფაძემ, პარტიულ-ორგანიზაციულ პრობლემებთან ერთად ფართო სპექტრით იყო განხილული ჩვენი ქვეყნის მძიმე ეკონომიკური ვითარება და ის მიზეზებიც, რომლებმაც განაპირობეს უმძიმესი კრიზისი, რომლის შედეგებიც უკვე თვალსაჩინოდ გამოიკვეთა არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ სივრცეშიც. მიუხედავად იმისა, რომ ამაზე განუწყვეტლივ ლაპარაკობს ჩვენი პრეზიდენტი, რომელსაც მხარს უბამენ პარლამენტისა თუ მთავრობის მესვეურები, — აღნიშნა გოგი თოფაძემ, — ჯერჯერობით ვერ ვხედავთ რეალურ სურვილსა და კონკრეტულ საქმეებს, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ ქვეყანას ამ გაუსაძლისი კრიზისიდან თავის დაღწევაში. ჩვენი გემი იძირება და მას სასწრაფოდ სჭირდება შველა... სწორედ ამ გარემოებამ, — განაცხადა გოგი თოფაძემ, — დააჩქარა ეს შეხვედრა, რომელმაც უნდა მიიღოს ჩვენი მიმართვა საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტისა და მთავრობის ხელმძღვანელებისადმი.

ვათვალიერებ მიმართვის ტექსტს, რომელიც დაურიგდა კონფერენციის მონაწილეებს...

მიმართვაში აღნიშნულია, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტი შესაძლოა გასულ წელთან შედარებით უფრო მძიმე შედეგებით დამთავრდეს, რადგან ჯერჯერობით ძალზე ცოტა რამ კეთდება იმისათვის, რომ ხელისუფლებამ მთავარი ყურადღება გადაიტანოს მრეწველების პოტენციალის ამოქმედებაზე, შეაჩეროს საწარმოების, სავაჭრო ობიექტების დახურვის პროცესი, რამაც ამ ბოლო დროს მასობრივი ხასიათი მიიღო და გაანახევრა სავაჭრო ბრუნვის მაჩვენებლები, საფრთხე შეუქმნა ლარის სტაბილურობას, რის შედეგადაც სამეურნეო საქმიანობის მნიშვნელოვანი წილი ხორციელდება ლარის მონაწილეობის გარეშე საბანკო სისტემის გვერდის ავლით და იწვევს ინფლაციურ პროცესებს.

მრეწველები აცხადებენ, რომ თვეების განმავლობაში მიზანმიმართულად ჭიანურდება მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კოდექსების გადახედვის, მასში „მრეწველთა ფრაქციის“ მიერ წარდგენილი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საპარლამენტო განხილვის პროცესი, რაც საშუალებას მისცემდა ქვეყნის მრეწველობას თავი დაეღწია კაბალური გადასახადებისაგან და შეუქმნიდა მეწარმეს კონკურენტუნარიან გარემოს. ასეთივე დღეშია „მრეწველთა“ მიერ წარდგენილი პროექტები, რომლებიც ითვალისწინებენ გადასახადების დაწესებას ისეთ სტრატეგიულ რესურსებზე, როგორიცაა ჯართი და ხის მორები, რაც ასე უხვად გაედინება საზღვარგარეთ და ყოველწლიურად 60 მილიონ დოლარს აკლებს ქვეყნის ბიუჯეტს.

„მრეწველებს“ წინ გადადგმულ ნაბიჯად მიაჩნიათ ჩვენი ხელისუფლების პოზიცია, როდესაც მან ახლახან გამართულ მოლაპარაკებებზე პირველად არ მიიღო სავალუტო ფონდის მოთხოვნები. ეს გვაძლევს იმედს, რომ მრეწველობის აღორძინებისათვის ბრძოლის ავანგარდში აქტიურად ჩაერთვება პრეზიდენტიც და ხელისუფლებაც, რომლებიც წინასაარჩევნო პერიოდში გამოდიოდნენ მრეწველთა მოძრაობისათვის დამახასიათებელი ლოზუნგებით და გეგმავდნენ მრეწველობისაკენ 180 გრადუსით შემობრუნებას.

როგორც საანგარიშო მოხსენებაში, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული დელეგატების გამოსვლებში, ასევე კონფერენციაზე მიღებულ მიმართვაში უხვად იყო წარმოდგენილი კონკრეტული ფაქტები, წინადადებები, რეკომენდაციები, რომელთა განხორციელებაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ხელისუფლებას შექმნილი კრიზისის დაძლევაში.

იყო კრიტიკული გამოსვლებიც, რომლებშიც კონფერენციის რამდენიმე დელეგატმა „მრეწველთა“ საპარლამენტო ფრაქციას და მის ხელმძღვანელობას ბრალი დასდო პასიურობაში, პოლიტიკური მოძრაობის ადგილობრივ ორგანიზაციებისაგან მოწყვეტაში და მოითხოვა ამ ხარვეზების დროულად გამოსწორება. განსაკუთრებით მწვავე იყო პოლიტიკურ მოძრაობაში გაერთიანებულ პედაგოგთა ასოციაციის წარმომადგენლის გამოსვლა, რომელმაც მოიყვანა კონკრეტული მაგალითები ჩვენი მასწავლებლების დღევანდელი გაუსაძლისი ცხოვრებიდან.

ზოგიერთმა გაზეთმა რამდენიმე დელეგატის კრიტიკული გამოსვლა პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ და „მრეწველთა“ ფრაქციის დაშლის პროცესის დასაწყისად აღიქვა, მაშინ, როცა ამასთან ერთად იყო ოპტიმისტური, მომავალი საქმიანობის უკეთ, უფრო მიზანმიმართულად და პრინციპულად წარმართვის სულისკვეთებით სავსე გამოსვლებიც, რომლებშიც აღინიშნა, რომ „მრეწველთა“, თუნდაც მცირერიცხოვანი ჯგუფის მოსვლა პარლამენტში იყო მოძრაობის გამარჯვება.

„მრეწველების“ ეს შეკრება გამსჭვალული იყო საერთო გულისტკივილითა და მისწრაფებით, ყველამ, მათ შორის, ხელისუფლებამ, ურთიერთთანამშრომლობითა და ძალისხმევით გამოვძებნოთ რადიკალური საშუალებები ქვეყნის გადასარჩენად.

შემაჯამებელ გამოსვლაში გოგი თოფაძემ, რომელმაც პასუხი გასცა დელეგატების შეკითხვებს, აღნიშნა, რომ უახლოეს პერიოდში მწყობრში ჩადგება მოძრაობის ახალი, თანამედროვე ცენტრალური ოფისი, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პარტიისა და ფრაქციის თანამშრომლობის გაფართოებას, მათ მზადებას მომავალი ადგილობრივი არჩევნებისათვის მრეწველობისაკენ 180 გრადუსით შემობრუნებამ, როგორც პრეზიდენტმა თქვა, შეიძლება გადაარჩინოს ქვეყანა, — აღნიშნა გამომსვლელის დასასრულ გოგი თოფაძემ.

კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვის ტექსტი პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარისა და სახელმწიფო მინისტრისადმი.

**გია ჭელიძე.**

### ფასიანი ქაღალდები - საფონდო ბირჟაზე

**„საქართველოს საფონდო ბირჟის“ სავაჭრო სისტემაში 2000 წლის 23 ივნისიდან დაშვებულია 11 ემიტენტის ფასიანი ქაღალდები.**

**როგორც პრაიმ-ნიუსს საფონდო ბირჟიდან აცნობეს, წარმოდგენილია სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ჩვეულებრივი აქციები; სს საინვესტიციო-საფინანსო კომპანია „ინდუსტრია-ინვესტის“ ჩვეულებრივი აქციები (ვაჭრობა დროებით შეჩერებულია ემიტენტის რეორგანიზაციის გამო); სს „საქქალაქმშენპროექტის“ ჩვეულებრივი აქციები; სს „ბაგრატიონი-1882“-ის ჩვეულებრივი აქციები; სს „ბიზნეს ცენტრი-საშენი მასალების“ ჩვეულებრივი აქციები; სს „დელიტასის“ ჩვეულებრივი აქციები; სს „სამთო ქიმია -2000“-ის ჩვეულებრივი აქციები; სს „მესხეთის“ ჩვეულებრივი აქციები; სს „ამალთეას“ ჩვეულებრივი აქციები; სს „მამულის“ ჩვეულებრივი აქციები; სს კონცერნ „საქგვირაბმშენის“ ჩვეულებრივი აქციები.**

ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიცა

# ყულფი, რომელიც საქართველოს ყელზე ჩამოაცვეს

## „დავიწყებას" მიეცა, თუ როგორ ულოცავდა „ბრატიშკა ბოევიკს" სოხუმის აღებას ქობალიას რომელიღაც ნაძირალა რაზმელი

„შეწყდარია ჩვენი გულის სიხარული, გლოვად გადაიქცა ჩვენი ფერხულები... სამუდამოდ რისთვის დაგვივიწყე, ასე ხანგრძლივად რისთვის მიგვატოვე, უფალო" — გოდებდა იერემია თავისი ერის ტრაგიკული ხვედრის გამო. აგერ უკვე მერვე წელია, ასევე გოდებენ აფხაზეთიდან დევნილნიც. დიახ, ისევ ისე ღია, მოუშუშებელი ჭრილობაა აფხაზეთი. მრავალგზისი მცდელობის მიუხედავად, კვლავაც გადაუჭრელი რჩება პრობლემა — აფხაზურ-ქართულ კონფლიქტად რომ მონათლა მავანთა მიერ, სინამდვილეში კი, რუსულ-ქართული რომ გახლავთ. ბუნებრივია, ბევრი რამ იწერება და ალბათ, მომავალშიც დაიწერება ამ უბედურებაზე, მის გამომწვევ მიზეზებზე, შედეგებზე და ა. შ. უკვე გამოიცა კიდეც მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებო წიგნები (თ. ნადარეიშვილის — „გენოციდი აფხაზეთში", ვლ. ჭანტურიას „სისხლიანი დღეები სამურზაყანოში", ო. აკიმბაიას „გუდაუა" და სხვ.).

აფხაზეთის ტრაგედიაზე — ამ მწარე გაკვეთილზე ნათქვამი ყოველი მართალი, ღირსეული, ობიექტური და გულწრფელი სიტყვა — საზოგადოებრივი ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს. ერთი ასეთი მართალი წიგნთაგანია ავტორთა კოლექტივის (**ვ. ყოლბაია, რ. გელანტია, დ. ლაცუზბაია, თ. ჭახრაკია**) მიერ ახლახან გამოცემული **„აფხაზეთის ლაბირინთი"**.

„აფხაზეთის ლაბირინთის" წინათქმაში ავტორები აღნიშნავენ, რომ წიგნი შეიქმნა საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით დროებით კომისიაში თავმოყრილი ობიექტური წყაროების საფუძველზე, და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, აფხაზეთის მოვლენების უშუალო მონაწილეთა თვითმხილველი ავტორების პირად არქივებზე დაყრდნობით".

წიგნი საკმაოდ მოზრდილია — ცხრა თავისგან შედგება — თავისი ილუსტრაციებით, დემოგრაფიული ცხრილებით და რუკებითურთ.

ავტორთა მიზანია, როგორც ისინი აცხადებენ, ითქვას „ის, რაც სინამდვილეში იყო, რის გამოც, ურთულეს, ბნელ ლაბირინთში აღმოვჩნდით... რომ სანამ გვიან არ არის, აფხაზეთის ლაბირინთიდან გამოსავალი უნდა მოინახოს... რომ უნდა „აღდგეს დარღვეული ბუნებრივ-ისტორიული და ეთნიკური არეალი, რომელსაც ერთიანი საქართველო ჰქვია. ყველა დევნილი დაბრუნდეს მშობლიურ ადგილებში. გამთლიანდეს მტრობით ჩატეხილი ხიდები, აღდგეს დამწვარ-განადგურებული ქალაქები და სოფლები... შედგეს დიდი შერიგება აფხაზთა და ქართველთა შორის". დიახ, სიმართლის, მხოლოდ სიმართლის თქმას ისახავდნენ ავტორები მიზნად და უნდა ითქვას, აღწევენ კიდეც ამას. ამიტომაც ეს წიგნი — წასაკითხია. ამიტომაც იგი ყოველი ქართველის ოჯახში უნდა იდოს.

არ ვაპირებ, ჩვეულებრივი გაგებით, ნაშრომის რეცენზირებას — ეს თითქმის შეუძლებელიცაა ერთ საგაზეთო წერილში. მინდა მკითხველს მხოლოდ ფრაგმენტულად გავუზიარო ის განცდები და შთაბეჭდილებები, ამ წიგნის წაკითხვამ რომ გამოიწვია ჩემში. არადა, გულახდილად რომ ვთქვა, ამ ნაშრომის, ისევე როგორც ზემოთ ნახსენები კრებულების, ბოლომდე დამთავრება საშინლად გამიჭირდა, რადგან, ყველაფრის გარდა, აქ მოთხრობილი ბევრი ამბის თვითმხილველი და მონაწილე (მეტნაკლებად) მეც გახლავართ. ომის დაწყების დღიდან, 1993 წლის აგვისტომდე ჩემს მშობლიურ გალში ვიყავი ოჯახური პირობების გამო, ხოლო მანამდე, როგორც ი. ჭავჭავაძის საზოგადოების პირველი არაფორმალური გაერთიანების ერთ-ერთი დამარსებელი, ეროვნული მოძრაობის მრავალ პერიპეტიაში ემონაწილეობდე.

**აფხაზეთი და, მათ შორის, გალის რაიონიც, დამხობილი ხელისუფლების მომხრეთა ერთ-ერთ ძირითად თავშესაფრად იქცა. სეპარატიზმს ხელს აძლევდა აფხაზეთში ქართველთა შეტაკების პროვოცირება, რაც აადვილებდა საქართველოსგან აფხაზეთის ჩამოშორების დაწყებულ პროცესს და რასაც „მრგვალმა მაგიდამ" დიდად შეუწყო ხელი. ცხადი გახდა სეპარატისტთა და ყოფილი ხელისუფლების ალიანსი.**

ამდენად, აფხაზეთის ტრაგედიაზე დაწერილი ყოველი მართალი წიგნი ჩემში იწვევს განსაკუთრებულ მღელვარებას, უზომო ტკივილს და მწარე განცდას უძლურებისა — ბოროტების ვერ მორევის გამო.

წიგნის პირველ თავში — წარსული, თანამედროვე მეცნიერთა გამოკვლევებისა და არქეოლოგიური მასალების მონაცემთა შეჯერებით, სწორად, მართებულადაა გადმოცემული ისტორია აფხაზეთისა, სადაც ოდითგანვე ქართველები ცხოვრობდნენ. ამის დასტურია უძველესი დროიდან შექმნილი სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლები. წიგნში ვკითხულობთ: „თანამედროვე აფხაზები გენეტიკურად ორი სხვადასხვა ეთნიკური ხალხისაგან შედგება: საკუთრივ აფხაზების, ანუ ძველი ქართველებისაგან და აფსუებისგან — ანუ ადიღე-ჩერქეზებისაგან (უპირატესად აბაზებისგან), ამიტომაა, რომ აფხაზთა ამ ნაწილის თვით სახელწოდება „აფსუა" მხოლოდ მე-18 საუკუნის შემდეგ გაჩნდა და განმტკიცდა. ამასთან, თანამედროვე აფხაზების ენა ადიღეურ-ჩერქეზულ ენათა ოჯახში შედის" (ზოგი მეცნიერის, მათ შორის, აკად. ნ. ლომოურის აზრით, აფსუას სახელით მოხსენიება აფხაზეთის მოსახლეობის გარკვეული ნაწილისა, თითქოს შეურაცხმყოფელია მათთვის. არადა, თავიანთ მოდგმას ისინი სწორედ აფსუას ეძახიან, ხოლო აფხაზეთს — აფსნის). აფხაზეთის სახელწოდებით, სხვათა შორის, ჩვენი წყალობით გაიცნო ეს მხარე მსოფლიომ. ასე რომ, სრულიად გაუგებარია, რატომაა აფსუა აფსუასთვის მიუღებელი და, რაც უფრო საკვირველია, ქართველი მეცნიერისთვის ესოდენ გამაღიზიანებელი სახელი.

წიგნში საარქივო მასალებზე დაყრდნობით მოცემულია აფხაზეთის მოსახლეობის სიები თემების მიხედვით, სადაც აშკარად ჩანს აფხაზეთის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ქართველები რომ შეადგენენ. მარტო ეს დოკუმენტური მასალა რად ღირს იმის საჩვენებლად, თუ რა უპირატესი ადგილი უჭირავს ქართველობას ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებულთა წინაშე, რომელნიც განუწყვეტელი ომებისაგან შეთხელებულ მოსახლეობას შეესივნენ, მიიღეს მათი გვარ-სახელები, კულტურა; „მათ სწორედ ადგილობრივი მოსახლეობისგან შეითვისეს და დაიმკვიდრეს აფხაზობა". გვიან საუკუნეებში ჩრდილოეთიდან ჩამოსახლების პროცესები, როგორც ცნობილია, მიმდინარეობდა აგრეთვე, საქართველოს სხვა რეგიონებში, კერძოდ: შიდა ქართლში — ოსებისა, კახეთში — დაღესტნელებისა და ა. შ.

ამგვარად, უამრავი ისტორიული, საარქივო და ფაქტობრივი წყაროს, ეთნოგრაფიული და ტოპონიმიკური მონაცემების მიუკერძოებელი ანალიზი, ავტორიტეტულ მეცნიერთა შრომები საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ თანამედროვე აფხაზეთის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ყოველთვის ლაზ-მეგრული, ანუ ქართველური იყო!

ხოლო ეთნიკური ხასიათის პრობლემები ამ რეგიონში ძირითადად ჩნდება რუსეთის გაბატონების შემდეგ, რომელიც თანამიმდევრულად, მეთოდურად ატარებდა „დაჰყავი და იბატონეს" პოლიტიკას. ცარიზმი და შემდეგ ბოლშევიკური იმპერია ძალ-ღონეს არ იშურებდა, რათა განემტკიცებინა თავისი პოზიციები „ეთნიკურად განსხვავებულ კავკასიელთა ურთიერთდაპირისპირების მეშვეობით. სწორედ ამ ძალებმა სხვადასხვანაირი მანიპულაციის მეთოდით, ხელოვნურად შეაკოწიწეს „სოციალისტური აფხაზი ერი".

...შეუძლებელია უცრემლოდ, აუღელვებლად წაიკითხო წიგნის მეოთხე თავი — სამხედრო კონფლიქტი, ომის ქრონიკა და ქართველთა ეთნიკური წმენდის ფაქტები. სეპარატისტთა და ამ ომის დამქვეთთა ვანდალიზმზე ბევრი რამ დაწერილა, თუმცა, სრული სურათის ჩვენება, ალბათ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდგომ თუა შესაძლებელი და მაინც, ის, რაც დაფიქსირებულია ამ წიგნში და ზემოთ ჩამოთვლილ კრებულებში — „საქართველოზე თავსდამტყდარი ტრაგედიის შემზარავი ფურცლებია". ეს ტრაგედია, როგორც არაერთხელ ითქვა და დაიწერა, დიდხანს მზადდებოდა. სცენარი დიდი ხნის წინათ იყო დაწერილი. და იგი პუნქტობრივად განხორციელდა მთელს აფხაზეთში — გაგრიდან მოყოლებული გალის ჩათვლით. მაგრამ ქართველთა გენოციდი და ეთნიკური წმენდა განსაკუთრებული სისასტიკით ხორციელდებოდა და ხორციელდება დღემდე ჩემს მშობლიურ გალის რაიონში, თუმცა, შესაძლოა, როგორც იქაურ მკვიდრს, მე ასე „მეჩვენება".

1993-1997 წლებში გალის რაიონში ეთნიკურ წმენდას შეეწირა 1246 მშვიდობიანი მცხოვრები. დაწვეს 5 ათასამდე საცხოვრებელი სახლი.

...1998 წლის მაისში, შეძრწუნებული, თავზარდაცემული რომ ვუყურებდი ტელევიზორში გალის ე. წ. ქვემო ზონის უკვე მერამდენედ აბრიალებულ სოფლებს, მათ შორის, ჩემი მამა-პაპის შესანიშნავ, ღონიერ, ხალხმრავალ, საოცრად სტუმართმოყვარე თავილონს — თავში, შესაძლოა, მკრეხელურმა აზრმა გამირბინა: კიდევ კარგი, ეს საზარელი სურათი ვერ იხილეს ვერც მამაჩემმა, ვერც ჩემმა ძმამ და რძალმა-მეთქი.

პატარაობისას მამას ხშირად დავყავდი თავილონში და თავმოწონებით მეტყოდა-ხოლმე, ეს შენი წინაპრების სოფელია, მათი სამკვიდროა. უნდა გიყვარდეს იგი. აქედანაა ჩვენი გვარი წარმოშობით. აქ არის არდაშელიების საჯიმალოო (საძმო) — სოფელი გვარის მიხედვით იყო დაყოფილი უბნებად.

მამაჩემი 1993 წლის მაისში გარდაიცვალა, სამ-თვენახევრის შემდეგ გალი დაეცა. სიკვდილის წინ, სამი დღით ადრე, მამაჩემს შევუსწარი, ხელაპყრობილი, ღმერთს რომ ევედრებოდა: ღმერთო, საქართველო გადაარჩინე! ღმერთი საქართველოს არ გასწირავსო, ბევრჯერ უთქვამს ჩემთვის მამას. მაგრამ სამწუხაროდ, გაიწირა. გაიწირა თავისი ულეთო, ურწმუნო, უძღები შვილებისაგან, გაიწირა ღალატით!

...ეროვნულ ძალთა ურთიერთდაპირისპირებულობამ და დაქსაქსულობამ თავისი შავბნელი საქმე რომ შეასრულა — ამის თაობაზე პირდაპირ და მიუკიბავ-მოუკიბავადაა ნათქვამი წიგნში.

აფხაზეთი და, მათ შორის, გალის რაიონიც, დამხობილი ხელისუფლების მომხრეთა ერთ-ერთ ძირითად თავშესაფრად იქცა. სეპარატიზმს ხელს აძლევდა აფხაზეთში ქართველთა შეტაკების პროვოცირება, რაც აადვილებდა საქართველოსგან აფხაზეთის ჩამოშორების დაწყებულ პროცესს და რასაც „მრგვალმა მაგიდამ" დიდად შეუწყო ხელი. „ცხადი გახდა სეპარატისტთა და ყოფილი ხელისუფლების ალიანსი".

დარწმუნებული ვარ, ისტორია თავის პირუთვნელ მსჯავრს გამოიტანს ყოველივე იმაზე, რაც იმ წლებში საქართველოში დატრიალდა. მაგრამ გაგანია ომის დროს, როცა სეპარატისტები, ათასი ჯურის „ბოევიკები" და რუსეთის შავბნელი იმპერიული ძალები ცდილობენ ქვეყანას წაგლიჯონ მისი ძირძველი კუთხე და ამ დროს შენ მათ ხელშემწყობად გამოდიხარ — ამაზე დიდი უზნეობა და ღალატი — წარმოუდგენელია. დიახ, მაშინდელი ოპოზიციური პრესა თუ მთავრობის ზოგიერთი ეროვნულნიღბიანი ემისარი ხალხს ფარულად თუ აშკარად **კოლაბორაციონალიზმისკენ** (ხელისუფლების დამხობისკენ) მოუწოდებდა. ხოლო ექსპრეზიდენტის უეჭველი დაბრუნების თარიღების აღსანიშნავი მიტინგები, ხიდების აფეთქება, მატარებელთა ძარცვა-ყაჩაღობა, მძევალთა აყვანა, ხენა-თესვის, ჩაის კრეფის აკრძალვა, რაც ე. წ. დაუმორჩილებლობის კომიტეტიდან მოდიოდა — ყველაფერი ეს, რასაკვირველია, გამიზნული იყო დესტაბილიზაციისკენ, რაც უთუოდ გამოიწვევდა ომში დამარცხებას და ა. შ.

ექსპრეზიდენტის ერთმა ყოფილმა მცველმა (მცველებიც „რატომღაც" სამეგრელოს რეგიონიდან ჰყავდა უპირატესად) ჩემმა ახლო ნათესავმა, სოხუმში, წინა პოზიციებზე რომ იბრძოდა, მითხრა: — ყველაფერს ვაპატიებდი ზ. გამსახურდიას, მაგრამ როგორ ვაპატიო ის, რომ, როცა ჩვენ, სოხუმის დამცველებს, ტყვიისთვის მკერდი გვქონდა მიშვერილი და ჩვენს გვერდით იღუპებოდნენ რჩეული ბიჭები, მან ამ დროს მეორე ფრონტი გახსნა საქართველოში!.. არადა, განგებამ ერთხელ კიდევ მისცა უზარმაზარი შანსი, რომ გამხდარიყო ჭეშმარიტად ეროვნული გმირიო. ზუგდიდში ასე „დროულად" ჩამობრძანებულ ზ. გამსახურდიასგან, მართლაც, ბევრი მისი მომხრეც კი მოელოდა, რომ მათი სათაყვანებელი კერპი ჯარს აფხაზეთში საომრად მოაგროვებდა — აკი ასე „დააიმედა" კიდეც სოხუმის დაცემის მეორე დღეს გალში გამართულ მიტინგზე თავშეყრილი ხალხი. მოხდა კი პირიქით. ქობალიას რაზმებმა გზები თბილისისაკენ აილეს. ზოგი მათგანი, ვინც გაგრის თუ სოხუმის დაცემას ზეიმობდა, ზუგდიდში ჩეჩენ და აფსუა მოთარეშეების ტანკებს ბენზინს უსხამდა და „საქართველოსთან" საჩხუბრად აქეზებდა ზ. გამსახურდიას წინამძღოლობით — რა პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს — აფხაზეთის ყველაზე უფრო დიდ „ჭირისუფლად" და „მოჭირნახულედ" გვევლინება დღეს და განსაკუთრებული დემაგოგიურობით, ურცხვობითა და უტიფრობით გამოირჩევა.

**ექსპრეზიდენტის ერთმა ყოფილმა მცველმა სოხუმში, წინა პოზიციებზე რომ იბრძოდა, მითხრა: — ყველაფერს ვაპატიებდი ზ. გამსახურდიას, მაგრამ როგორ ვაპატიო ის, რომ, როცა ჩვენ, სოხუმის დამცველებს, ტყვიისთვის მკერდი გვქონდა მიშვერილი და ჩვენს გვერდით იღუპებოდნენ რჩეული ბიჭები, მან ამ დროს მეორე ფრონტი გახსნა საქართველოში!..**

ამბობენ, ჩეჩენი მოთარეშეების ერთი ნაწილი ნანობს, აფხაზეთის ომში მონაწილეობა რომ მიიღო, ჩვენი ზოგ-ზოგი „მამულიშვილისგან" განსხვავებით. „დავიწყებას" მიეცა ისიც, თუ როგორ ულოცავდა ზუგდიდიდან თავის „ბრატიშკა ბოევიკს" სოხუმის აღებას ქობალიას რომელიღაცა ნაძირალა რაზმელი! თუმცა, საკვირველი არც უნდა იყოს არაფერი, როცა წაიკითხავ ზ. გამსახურდიას მიმართვას ჩრდილო კავკასიელებისადმი!

„ვინც ძმის სისხლი გამოიცხოს ან თვით ძმასა გამოაცხოს, მისი სული საგანამა თუ არ კუპრში, რამში გარცხოს?" — დიდი პოეტის ეს სიტყვები, სამწუხაროდ, დღესაც აქტუალურად ჟღერს, რადგან დღემდე გრძელდება შინაგამცემთა მიერ თანამოძმეთა და ქვეყნის გაყიდვა სხვადასხვანაირი ფორმითა და ნიღბით! მტერი იმის მტერია, რომ მტრობა გიყოს, მაგრამ საკუთარი უძღები შვილების უკეთურობა როდემდე უნდა გაგრძელდეს? არადა; თუ სულიერად არ გამთლიანდა ერი და ბერი, თუკი ვერ ვძლიეთ ჯაყოიზმს, სიხარბეს, ანგარებას, გამდიდრების უზომო, წრეგადასულ წყურვილს, ფარისევლობას, შურს, „უჩემოთ ვით იმღერეთის" კაკაფონიას, რომელმაც ლამის კატასტროფამდე მიიყვანოს ძლივს დამოუკიდებლობამოპოვებული ქვეყანა, თუკი ვერ ვძლიეთ გათითოკაცების შემზარავ პროცესს — არამცთუ აფხაზეთს და შიდა ქართლს ვერ დავიბრუნებთ, ალბათ, საერთოდ, აღვიგვებით კიდეც პირისაგან მიწისა, როგორც ერი.

წიგნის ბოლოთქმაში ვკითხულობთ: „სახეზეა ლაბირინთი, აფხაზეთის ცარცის წრე, საიდანაც გამოსავალი დღემდე ვერ მოინახა" და შემდეგ: „არ არსებობს არანაირი სამართლებრივი აქტი, მორალური ნორმა, უბრალოდ, ძალაც, რომელიც აუკრძალავს დევნილ მოსახლეობას მშობლიურ ადგილებში, საკუთარ ეზო-კარში დაბრუნებას... რაოდენი მტკივნეული და ძნელი უნდა იყოს, აფხაზებმა და ქართველებმა ერთმანეთთან მისასვლელი გზები უნდა მონახონ". მაგრამ ჯერ თვით ქართველებმა უნდა მონახონ, ჩემი აზრით, ერთმანეთთან მისასვლელი გზები, ოღონდ. „ავს თუ ავი არ ვუწოდოთ, კარგს სახელად რა დავარქო?" დიახ. სანამ ყველაფერს თავისი სახელი არ დაერქმევა, სანამ საქართველოში დაუსჯელობის სინდრომი სუფევს, მართლაც ვერასდროს ვიპოვით ლაბირინთიდან გამოსასვლელს!

**ციალა არდაშელია.**

**P. S. ამ რამდენიმე ხნის წინათ წავიკითხე აფხაზი ჟურნალისტისთვის მიცემული სეპარატისტთა ერთ-ერთი ლიდერის ბ. აძბას ინტერვიუ. იგი ამბობს: „აფხაზეთი ეს არის ყულფი, რომელიც რუსეთმა ჩამოაცვა საქართველოს, რათა თავისი გავლენის სფეროში იყოლიოს". ამაზე უკეთესად ვერ იტყვი!**

**ც. ა.**

---

კორუფციის წინააღმდეგ

(პირველი გვერდიდან)

# ტყავის ბურთის წაჩნაგები

რომ გითხრათ ფეხბურთის თავგადაკლული მოყვარული ვარ-მეთქი, ვიცრუებ, მაგრამ ქართველ ფეხბურთელთა ბრწყინვალე თამაშებით ჩემი ქვეყნის შორს გატყორცნილი სახელი ნამდვილად მეამაყებოდა.

მახსოვს, 1981 წელს, როცა „თბილისის „დინამო" თასების მფლობელთა თასის მოსაპოვებლად თამაშობდა და ლამის მთელი საქართველო დიდიან-პატარიანად, ტელევიზორს იყო მიჯაჭვული, ვიღაც არამზადამ დრო იხელთა და ჭიშკართან მდგარი ავტომანქანა გაგვიძარცვა, მაგრამ იმდენად დიდი იყო ქართველ ფეხბურთელთა გამარჯვებით, ევროპის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული პრიზით გამოწვეული სიხარული, რომ ჩემი ოჯახის წევრებს ეს ძარცვა არაფრად ჩაუგდიათ. იმ დღეს მთელი საქართველო სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. მაშინ ქართულმა ფეხბურთმა თავის ქვეყანას მოუტანა ის, რაც ბევრი სახელმწიფოსთვის დღესაც მიუღწეველია. და ეს არ იყო მხოლოდ ერთი გამარჯვება, წარმატებები წლების მანძილზე იყო ქართული ფეხბურთის თანმდევი.

დღეს კი... ქართული ფეხბურთი „დაცურდა", უფრო უარესიც — გაკოტრდა... მერე ვის მიუძღვის ამაში ბრალი? ეს მხოლოდ ღმერთმა თუ იცის, რადგან კონკრეტული დამნაშავე ჯერჯერობით არა ჩანს. ყველა ის, ვისაც სპორტის ამ სახეობასთან ჰქონია თუ აქვს კავშირი, სხვათა ბრალეულობაზე ლაპარაკობს, ამის ერთი ნიმუში იყო წინა კვირის ტელეარხ „რუსთავი-2"-ის პროგრამა „60 წუთში" წარმოდგენილი ინტერვიუები. ისეთი შთაბეჭდილებაც კი დარჩა, თითქოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (რომლის დაქვემდებარებაშიც იყო ადრე თბილისის „დინამო") დაინტერესებული გახლდეთ გუნდის მისაკუთრებით. არადა, ეს ის შინაგან საქმეთა სამინისტროა, რომლის ურთებს ქვეშ შეფარებულმა „დინამომაც" ზემოთხსენებული თასების მფლობელთა თასიც აიღო, ორჯერ, სსრ კავშირის ჩემპიონიც გახდა და ორჯერ საბჭოთა კავშირის თასსაც დაეუფლა.

საიდან გაჩნდა ეჭვი, თითქოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არ ასვენებდეს „დინამოს" ხელში ჩაგდების სურვილი? იქნებ იქიდან, ამ სამინისტროს უშუალო ინიციატივით ჯერ კიდევ 1996 წლის დასაწყისში ოპერატიული მონაცემების საფუძველზე რომ დაიწყო ფაქტების შემოწმება, მთელი რიგი დარღვევები გამოვლინდა, რაც დადასტურდა კიდეც კონტროლის პალატის მიერ შემოწმებულ მასალებშიც? ან იქნებ იქიდან, უშუალოდ შს მინისტრის კახა თარგამაძის მიერ პერიოდულად, უტყუარ ფაქტებზე დაყრდნობით, სხვადასხვა ზემდგომ ინსტანციაში ოფიციალურად რომ ცხადდებოდა იმ მოსალოდნელ სავალალო შედეგებზე, რასაც დღეს ვიმკით? — ვინ იცის!

არადა, სწორედ ზემოთაღნიშნული მასალების საფუძველზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში 1996 წლის ივლისში შპს „საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს" თანამდებობის პირთა მიმართ, გადასახადის განსაკუთრებით დიდი ოდენობით დამალვის ფაქტზე. გამოვლინდა ის დანაშაულებრივი ქმედობანი, რამაც ხელი შეუწყო ამ სპორტული კლუბის გაკოტრებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროში კი გადაბრალების ერთ-ერთ მიზეზს სწორედ რომ ამაშიც ხედავენ და ამბობენ, ისინი, ვინც საკუთარი დანაშაულის სხვაზე გადაბრალებას ოსტატურად ცდილობენ, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უახლოეს პერიოდში ბრალდებულებად წარდგებიანო. შთაბეჭდილების შექმნა, თითქოს შსს თბილისის „დინამოს" ხელში ჩაგდებით არის დაინტერესებული, იმ საეჭვო რეპუტაციის მქონე პირთა შორის გამიზნული ფანდია, რომლებსაც თვითონ სურთ ხსენებული კლუბის თავისი კომერციული მიზნებისათვის დაქვემდებარება.

**კლუბის ხელმძღვანელებს მ. რატიანსა და მ. ჟორდანიას, კომერციულ ბანკ „თბს ბანკიდან" მოტყუებით სამ შემთხვევაში სულ მიღებული აქვთ 400 000 დოლარის ოდენობის სესხი, რის სანაცვლოდაც კლუბის ერთ-ერთი დამფუძნებლის — რესპუბლიკურ ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს" თანხმობის გარეშე, დაგირავებული აქვთ ამ უკანასკნელის საკუთრებაში არსებული დიღმის საფეხბურთო საწვრთნელი ბაზა**

**მაინც რა დანაშაულებრივი ქმედობები გამოიკვეთა გამოძიების ამ ეტაპზე? რა დადგინდა საქმეზე წინასწარი გამოძიებით?** — ამ კითხვებით მივმართე შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის თავმჯდომარეს, პოლიციის გენერალ-მაიორს ზურაბ ხაჯალიას, რომელიც მხოლოდ იმ დეტალებზე საუბარს დამთანხმდა, რომელთა გახმიანებაც დღეისთვის შეიძლება, რადგან გამოძიება გრძელდება და გამომძიებლებს ჭეშმარიტების დადგენაში ხელი არ უნდა შევუშალოთ.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 21 ივნისის ბრძანებულებით თბილისის „დინამოს" ნება დაერთო 2000 წლის ბოლომდე სამეურნეო-კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი მთლიანად მოეხმარებინა კლუბის ინტერესებისათვის, რის გამოც იგი თავისუფლდებოდა ყველა სახის მოსაკრებლის გადახდისაგან იმ პირობით, რომ მიღებული თანხების აკუმულირება მომხდარიყო სპეციალურად ჩამოყალიბებულ საპარტნიორო ფონდში, მაგრამ... შპს „საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს" მაშინდელმა პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ, ასევე დირექტორატის წევრებმა: ვალერი მალიკაშვილმა, მერაბ რატიანმა და მთავარმა ბუღალტერმა ნ. მამიანმა ერთობ თავისებურად მოიმარჯვეს ეს დოკუმენტი.

კერძოდ: ბრძანებულების ძალაში შესვლის შემდეგ და მისი მოქმედების პერიოდში საზღვარგარეთის ქვეყნებიდან 215 შემთხვევაში შემოტანილი 17,6 მილიონი დოლარის სხვადასხვა დასახელების სამრეწველო, საყოფაცხოვრებო და კვების მრეწველობის საქონლის რეალიზაციით მიღებული 28,1 მილიონი დოლარის აკუმულაცია არ მოუხდენიათ „საპარტნიორო ფონდში".

დადგინდა, რომ ეს თანამდებობის პირები, სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, არ აკონტროლებდნენ საქონლის მიღებას, განთავსებას, რეალიზაციას და „საპარტნიორო ფონდის" ანგარიშზე თანხების ჩარიცხვას. მ. ჟორდანია, ვ. მალიკაშვილი, მ. რატიანი და ნ. მამიანი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და სამსახურებრივი სიყალბის ფაქტებზე. საქმე 1998 წლის 16 ივლისს თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოში გადაიგზავნა განსახილველად. 1999 წლის 25 იანვარს დიდუბის რაიონის მოსამართლეს მ. კოტრიკაძეს ოთხივე ბრალდებული გაუმართლებია. ამას მოჰყოლია პროკურორის საკასაციო საჩივარი უზენაეს სასამართლოში, რომელსაც 1999 წლის 25 აგვისტოს ეს საჩივარი განუხილავს, დიდუბის რაიონის სასამართლოს განაჩენი უკანონოდ მიუჩნევია, გაუუქმებია და ხელახალ განხილვისათვის საქმე იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისთვის დაუბრუნებია, საქმე კი ხელმეორედ ჯერჯერობით არ განხილულა.

**— საგამოძიებო დეპარტამენტში 1999 წლის 15 ნოემბერს კვლავ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, ახლა შპს „საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს" დირექტორთა საბჭოს წევრების მიმართ კრედიტის მოტყუებით მიღებისა და საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცების ფაქტებზე, — რა დადგინდა?**

— 1988 წლის 29 დეკემბერს, საქართველოს სპორტის დეპარტამენტის რეკომენდაციით, სპორტსაზოგადოება „დინამოს" საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილებები კლუბურ სისტემაზე გადასვლის შესახებ, რის საფუძველზეც შეიქმნა „საფეხბურთო კლუბი „დინამო" თბილისი" (პრეზიდენტი ო. წეროძე).

ახლადშექმნილ კლუბს სარგებლობის უფლებით გადაეცა დიღმის საფეხბურთო საწვრთნელი ბაზა, შტატები, ფულადი სახსრები და ა. შ. ვინაიდან ახლადშექმნილმა საფეხბურთო კლუბმა სათანადოდ ვერ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა, 1992 წლის 5 ივლისს სპორტსაზოგადოება „დინამოს" პრეზიდიუმმა თავისი დადგენილებით გააუქმა ადრე მიღებული გადაწყვეტილება და შექმნა შპს „საფეხბურთო კლუბი „დინამო" თბილისი".

ამ დადგენილების საფუძველზე 1992 წლის 29 ივლისს დიდუბის გამგეობამ რეგისტრაციაში გაატარა შპს „საფეხბურთო კლუბი „დინამო" თბილისი", რომლის დამფუძნებლები იყვნენ სპორტსაზოგადოება „დინამო", საქართველო-ბრიტანეთის ავიაკომპანია „ორბი", საქართველო-საფრანგეთის ერთობლივი საწარმო „ბომბორა" და სამრეწველო-სავაჭრო ფირმა „კავკასიონი", მაგრამ საზოგადოებას დიდხანს არ უარსებია და 1992 წლის 27 სექტემბერს თბილისის მერიამ რეგისტრაციაში გაატარა შპს „საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო".

**— ახლა ვინ იყვნენ დამფუძნებლები?**

— რესპუბლიკური ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო", რომელმაც საწესდებო კაპიტალში შეიტანა 1 598 000 მანეთად შეფასებული საფეხბურთო საწვრთნელი ბაზა და 97 880 მანეთად შეფასებული საფეხბურთო კლუბ „ნორჩი დინამოელის" საწვრთნელი ბაზა, ფირმა „ბერმუხა-92", რომლის მიერ საწესდებო კაპიტალში შესატანმა თანხამ შეადგინა 3 204 000 მანეთი, და მერაბ ჟორდანია, რომელსაც საზოგადოების საწესდებო კაპიტალში უნდა შეეტანა 100 000 მანეთი, რაც დღემდე არ შეუტანია. ამ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შორის წლიური მოგების წილი არაპროპორციულად განაწილდა: შპს ფირმა „ბერმუხა-92"-ს — წლიური მოგების 80 პროცენტი, მერაბ ჟორდანიას — 10, ასევე 10 პროცენტი მიეკუთვნა რესპუბლიკურ ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს".

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ შპს „საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს" მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად ხელახალი რეგისტრაცია არ გაუვლია და, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, იურიდიული პირის სტატუსით აღარ სარგებლობს. 1997 წლის დეკემბერში ამ შპს დირექტორატის წევრებმა მიმართეს დიდუბის რაიონის საგადასახადო ინსპექციის უფროსს მ. ქევანიშვილს, რომელმაც უგულებელყო საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 ივნისის განკარგულება „საწარმოთა რეგისტრაციის მდგომარეობის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ", არ დააყენა საწარმოს ლიკვიდაციის საკითხი და შპს საფეხბურთო კლუბს უკანონოდ მიანიჭა საიდენტიფიკაციო კოდი. ამით ისარგებლა კლუბის ხელმძღვანელობამ და სასამართლო რეგისტრაციის უქონლად გააგრძელა საქმიანობა.

**— გამოდის, რომ მათ უხეშად დაარღვიეს კანონი „მეწარმეთა შესახებ".**

— დაარღვიეს და მერე როგორ! ამის დასტურია ის, რომ კლუბის ხელმძღვანელებს მ. რატიანსა და მ. ჟორდანიას, კომერციულ ბანკ „თბს ბანკიდან" მოტყუებით სამ შემთხვევაში სულ მიღებული აქვთ 400 000 დოლარის ოდენობის სესხი, რის სანაცვლოდაც კლუბის ერთ-ერთი დამფუძნებლის — რესპუბლიკურ ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს" თანხმობის გარეშე, დაგირავებული აქვთ ამ უკანასკნელის საკუთრებაში არსებული დიღმის საფეხბურთო საწვრთნელი ბაზა და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 12 სექტემბრის ბრძანებით მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 18 სექტემბრის წერილის საფუძველზე შპს „საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოსათვის" გადაცემული ს/ს „მზიურის" აქციების 35 პროცენტი (101713 ცალი აქცია). „თბს ბანკიდან" სესხი მიღებულია ს/ს „მზიურში" წარმოების განვითარებისათვის.

**— მოტყუებითო, თქვით, დავიჯერო „თბს ბანკის" წარმომადგენლებმა არ იციან საქართველოს სამოქალაქო სამართლის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ „კეთილსინდისიერია მფლობელი, რომელიც ნივთს მართლზომიერად ფლობს ან რომელიც ულფებამოსილ პირად შეიძლება იქნეს მიჩნეული საქმიან ურთიერთობებში საჭირო გულმოდგინე შემოწმების საფუძველზე"?**

— უნდა იცოდნენ. კრედიტის გაცემის დროს ამ კანონის 159-ე მუხლის მოთხოვნა აუცილებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ შემთხვევაში „თბს ბანკის" მიერ იგი უგულებელყოფილია. 1992 წლის 27 სექტემბერს შექმნილი შპს „საფეხბურთო კლუბი „დინამო" თბილისი" მხოლოდ ფორმალურად წარმოადგენდა იურიდიულ პირს, ვინაიდან საკუთარი ქონება არ ჰქონდა.

ცნობისათვის: კანონმა „მეწარმეთა შესახებ" მოითხოვა ყველა ადრე შექმნილი კომერციული სტრუქტურის, მათ შორის შპს საზოგადოებების ხელახალი რეგისტრაცია უკვე სასამართლოების მეშვეობით, სამეწარმეო რეესტრში შეტანით, რათა მათთან ურთიერთობების დროს მესამე პირებს შესაძლებლობა ჰქონოდათ გაცნობოდნენ მათ ქონებრივ მდგომარეობას.

„თბს ბანკმა" კი უგულებელყო კანონის აღნიშნული მოთხოვნა, არ დაინტერესდა, გავლილი ჰქონდა თუ არა კლუბს ხელახალი რეგისტრაცია და ისე გასცა კრედიტი. ამონაწერში საჯარო რეესტრიდან, რომელიც წარადგინეს „თბს ბანკში" საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობამ, ფიგურირებს უკვე არარსებული სუბიექტი საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი", ფაქტობრივად, „თბს ბანკი" შეცდომით, ან შეგნებულად იპოთეკის ხელშეკრულებას აფორმებს უკვე შპს „საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისთან", ხოლო მიწის მართვის დეპარტამენტი იპოთეკის ხელშეკრულებას საჯარო რეესტრში ატარებს, როგორც საფეხბურთო კლუბ 'დინამო „თბილისს".

მიწის მართვის დეპარტამენტი საჯარო რეესტრში უთითებს, რომ ორსართულიანი შენობა არის საფეხბურთო კლუბ „დინამოს" საკუთრება. დეპარტამენტს ამის უფლება არ ჰქონდა: საკუთრების უფლებას შენობა-ნაგებობებზე ადასტურებენ მხოლოდ ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროები ცნობა-დახასიათებების მეშვეობით, რომლებიც მხოლოდ ერთი თვეა ძალაში.

**— ბატონო ზურაბ, თუ დაიფარა მ. რატიანის და მ. ჟორდანიას მიერ გატანილი სესხი?**

— ნაწილი დაფარულია, ხოლო დაუბრუნებელი თანხა, დარიცხული პროცენტებით, 130 000 აშშ დოლარია, რის გამოც „თბს ბანკმა" სარჩელი შეიტანა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში შპს „საფეხბურთო კლუბ „თბილისის დინამოს" მიმართ ვალის გადაუხდელობის გამო, თუმცა მანამდე „თბს ბანკს" ვალის სანაცვლოდ გადაეცა „მზიურის" აქციების 35 პროცენტი.

1999 წლის 6 ივლისს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ გადახდის ბრძანება გამოიტანა, რომლის თანახმადაც შპს „საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს" „თბს ბანკის" სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა 202952 აშშ დოლარი. აღნიშნული ბრძანების აღსრულება დაევალა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღმსრულებლო დეპარტამენტს, რომლის გადაწყვეტილებითაც დანიშნული იყო დიღმის საწვრთნელი ბაზის აუქციონის წესით გაყიდვა. აქ კი მესამე მხარედ ჩაერთო ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო", რომლის პრეზიდიუმის თავმჯდომარეა შს მინისტრი, როგორც დიღმის საწვრთნელი ბაზის კანონიერი მემკვიდრე და 1999 წლის 1 ოქტომბერს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს განჩინებით შეჩერდა მათ მიერ ადრე მიღებული გადახდის ბრძანების აღსრულება სარჩელის საბოლოოდ განხილვამდე, ხოლო შემდგომ კი სასამართლომ უარი უთხრა სსკ „თბს ბანკს" სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

თავის მხრივ „თბს ბანკმა" საჩივრით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს, რომელიც დღემდე არ განხილულა.

ასევე, გამოძიების პროცესში გაირკვა, რომ დიდუბის რაიონის საგადასახადო ინსპექციაში არ არსებობს კლუბის პირადი საქმე. შპს „საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს" 1996 წლიდან დღემდე საგადასახადო ინსპექციაში ბალანსი არ წარუდგენია, აქედან გამომდინარე, არც ანგარიშსწორება მოუხდენია სახელმწიფო ბიუჯეტთან.

როგორც შსს საგამოძიებო დეპარტამენტის თავმჯდომარე ზურაბ ხაჯალია ამბობს, საქმეზე სრულყოფილი გამოძიების ჩატარების მიზნით კომერციულ ბანკ „თბს ბანკიდან" ამოღებულია შპს „საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს" მიერ 400 000 აშშ დოლარის ოდენობის კრედიტის მიღებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. რევიზიამ კი აჩვენა, რომ კლუბს მთლიანად აქვს აღებული შემოსავალში ზემო აღნიშნული თანხა, რაც შემდეგ მიღებული აქვს ს/ს „მზიურის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს მერაბ რატიანს.

**— რა დადგინდა „მზიურში" ჩატარებული რევიზიით?**

— ის, რომ აღნიშნული კრედიტიდან მ. რატიანს სააქციო საზოგადოება „მზიურის" სალაროში შეტანილი აქვს ნაღდი ფული 478297 ლარი საბრუნავი სახსრების ცასავსებად, ანუ 62474 ლარით ნაკლები.

იხ. მე-6 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 169-170. კვირა-ორშაბათი, 25-26 ივნისი, 2000 წელი.

## გასაჭირი

# ქართული ჩაი მოჯადოებული წრის ტყვეობაში

(პირველი გვერდიდან)

იმის თქმა მინდა, რომ წლევანდელი სეზონი ბინდივით შემოგვეპარა და როცა ფოთლის შერჩევითი კრეფა უნდა დაწყებულიყო, ბევრგან მაშინღა გაახსენდათ, რომ ამისათვის მზად არ იყვნენ. სწორედ ეს იყო ერთადერთი მიზეზი, რომ ფოთლის კრეფა თავიდანვე შეფერხდა. ახლა, ამ ფაქტს, ფინანსების უქონლობითა და საწვავის დეფიციტით ხსნიან.

20 ივნისს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე შევიტყვეთ, რომ 12 ივნისისათვის მოიკრიფა და გადასამუშავებლად გაიგზავნა 6892 ტონა ნედლეული, რაც შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 11168 ტონით ნაკლებია. ამ ჩამორჩენაში ლომის წილი სამეგრელოს, გურიისა და იმერეთის რეგიონებზე მოდის.

როგორც ყოველთვის, ჩამორჩენა ახლაც ამინდის ბრალი ყოფილა... მხოლოდ გაკვრით ითქვა იმის თაობაზე, რომ წყალტუბოს, სამტრედიის, ვანისა და ჩოხატაურის რაიონის მეჩაიეებს, 12 ივნისისათვის ერთი დუყიც კი არ ჰქონდათ მოწყვეტილი.

ძალზე მცირე რაოდენობითაა მოკრეფილი ტყიბულის, თერჯოლის, ქედის, ჭიათურის, ჩხოროწყუს, ლანჩხუთის, მარტვილის, ჩოხატაურისა და სხვა რაიონებში.

სხვაც ბევრი შევიტყვეთ დარგში არსებული პრობლემების თაობაზე და საუბარი ბოლოს დამაიმედებელი სიტყვებით დამთავრდა. ითქვა, ამ დღეებში მეჩაიეობის რაიონები 1000 ტონამდე მაზუთს მიიღებენ და ნედლეულის აღების ტემპი საგრძნობლად დაჩქარდებაო...

წლეულს ისევ აჭარელმა მეჩაიეებმა იმარჯვეს. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მათ 7 ივნისისათვის 595 ტონით მეტი ჰქონდათ მოკრეფილი, მაგრამ 12 ივნისისათვის შესაბამის პერიოდს 136 ტონით ჩამორჩნენ, მაგრამ ვფიქრობთ, ეს მართლაც უამინდობამ გამოიწვია.

ჯერჯერობით მხოლოდ ნაწილობრივ ვთქვი, რაც მეჩაიეობის წლევანდელ სეზონს შეეხება. ვფიქრობ, ზოგჯერ უკანაც უნდა გავიხედოთ და გაწეულ შრომას ანალიზი გავუკეთოთ, თორემ სხვაგვარად წინ ვერ წავალთ და სასურველ მიზანს ვერ მივაღწევთ. ამიტომ, შარშან და ცოტა ადრეც ჩვენი ქვეყნის მეჩაიეობაში თუ რა ვაკეთეთ, და როგორ ვაკეთეთ ამის თაობაზე გვესაუბრება ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი თამაზ კუნჭულია.

— მსოფლიოს მრავალი გამოჩენილი მეცნიერის მტკიცებით, — ამბობს ბატონი თამაზი, — საქართველოს მსგავსმა ქვეყნებმა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სტრატეგია და ტაქტიკა აგრარულ-სამრეწველო და სასურსათო კომპლექსის საექსპორტო პროდუქციის წარმოებაზე უნდა ააგოს, რაშიც მნიშვნელოვანი როლი მეჩაიეობას ეკუთვნის.

ბოლო პერიოდში ხელისუფლების, ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორების მიერ მეჩაიეობის დარგის გადარჩენისა და რეაბილიტაციისათვის გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, სიტუაცია კვლავ კრიზისულია, რომლის აღმოფხვრის აუცილებლობა დამოკიდებული იქნება ღრმა სტაგნაციიდან გამოსვლის პროცესის ინტენსივობაზე.

ვაღიაროთ, რომ ამ ბოლო დროს ჩაის ფოთლის კრეფა მკვეთრად შემცირდა. თუ 80-იანი წლების მეორე ნახევარში 450-550 ათასი ტონა იკრიფებოდა, 1996 წელს 32,6 ათას ტონამდე შემცირდა. ცხადი გახდა, რომ სახელმწიფოს მხრიდან დაუხმარებლად დარგის აღმასვლა შეუძლებელი იყო. დასავლეთ საქართველოში მეჩაიეობის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით საკითხი ეხებოდა არა დარგის, არამედ მოსახლეობის გადარჩენას, რამაც კრიზისის დაძლევას პოლიტიკური დატვირთვა მისცა. ბოლო წლებში განხორციელებული ფინანსური დახმარების შედეგად მოხერხდა ჩაის ფოთლის კრეფის კლების შეჩერება და ზრდის ტენდენციის დაფიქსირება. შარშან, საქართველოში 60330 ტონა ჩაი მოიკრიფა, რაც 1996 წლის დონეს თითქმის 2-ჯერ აღემატება, შესაბამისად, სერიოზული ძვრები მოხდა მეჩაიეობის ყველა რეგიონში.

90-იანი წლების დასაწყისში დარგზე უარყოფითად იმოქმედა თურქმენეთიდან მოწოდებული ბუნებრივი აირის სანაცვლოდ 1994-1995 წლებში მთავრობის დადგენილებით გადატვირთული ჩაის პროდუქციის აუნაზღაურებლობამ. შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან ნაწილობრივ გამოსვლის მიზნით, სახელმწიფოს დავალიანება ჩაის ფაბრიკების (იგულისხმება მეჩაიეები და ჩაის ფაბრიკების მუშები, ბიუჯეტი) მიმართ პროდუქტებით (ფქვილი, ზეთი, შაქარი) დაიფარა.

შეიქმნა სიტუაცია, როცა ერთსა და იმავე რაიონში ფაბრიკებმა, რომლებმაც გადატვირთეს პროდუქცია, სრულად ვერ მოახდინეს პროდუქტებით მისი კომპენსაცია, ხოლო ფაბრიკების ნაწილმა იგი დაუმსახურებლად მიიღო.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება, რომელიც ავალდებულებს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის უწყებებს უზრუნველყონ ვალების ამოღება და მათი კანონიერი მესაკუთრეებისათვის დაბრუნება, იგი არ სრულდება. აღნიშნულის გამო, უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ცალკეული ფირმები, რომლებმაც ყოფილი სახელმწიფო-კომერციული გაერთიანება „საქჩაისუბტროპიკის“ მეშვეობით პროდუქცია გადატვირთეს თურქმენეთში (შპს „რეალი“, ბიზნესცენტრი „თემური“ და სხვა), აგრეთვე რაიონები, რომლებმაც ვალის დასაფარავად საკმარისი ნატურალური პროდუქცია ვერ მიიღეს.

შეიქმნა მოჯადოებული წრე, რომლის გარღვევა მხოლოდ ზედმეტად გაცემული თანხების ამოღებით, მისი რაიონის შიგნით გადანაწილებით და ნარჩენი თანხის ს/ს „საქაგროსერვისის“ ანგარიშზე (ყოფილი სკგ „ჩაისუბტროპიკის“ სამართალმემკვიდრე) დაბრუნებითაა შესაძლებელი.

თურქმენეთში 1994-1995 წლებში გადატვირთული პროდუქციისათვის ჩაის ფაბრიკებს, ფირმებს და სხვა გადამტვირთავებს ერგებათ 903 ათასი ლარი, იგივე ჩაის ფაბრიკებიდან ამოსაღებია დაუმსახურებლად მიღებული ანაზღაურება, მათ შორის: ჩხოროწყუს რაიონიდან — 2220 ლარი, ხობის — 20073, წალენჯიხის — 32564, ოზურგეთის — 128890, ლანჩხუთის — 128890, ჩოხატაურის — 146005 ლარი. გარდა ამისა, რაიონებიდან „საქაგროსერვისს“ ამოსაღები აქვს მიწოდებული აზოტოვანი სასუქის ღირებულება — 639 ათასი ლარი.

აღნიშნული ფაქტები იმაზე მიუთითებენ, რომ ჩვენ ვერ გარდავქმენით აზროვნების, საქმისადმი დამოკიდებულების სტილი, ადვილად ვითხოვთ სხვისგან, პირველ რიგში, სახელმწიფოსაგან და გვავიწყდება სახელმწიფოსათვის დასაბრუნებელი ვალი.

მოვიყვან ერთ მაგალითსაც: სამეგრელოს რეგიონის ჩაის ფაბრიკებს სააქციო საზოგადოება „ქართული ჩაის“ მიერ მიწოდებული რესურსების 579 ათასი ლარი მართებთ, ხოლო გურიის რეგიონში 792,5 ათასი ლარი. ასეთი ფსიქოლოგიით ეკონომიკისაკენ შემობრუნებას ვერ შევძლებთ მანამ, სანამ ჩვენს ადგილს ახლებურად მოაზროვნე ადამიანები არ დაიკავებენ.

ჩაის ფოთლის კრეფისა და მშა პროდუქციის გამოშვების შემცირების კვალობაზე მკვეთრად დაეცა ექსპორტის მოცულობა და ერთეული პროდუქციის საკონტრაქტო ფასი. ბოლო ოთხ წელიწადში იგი 16 ათასი ტონიდან (1996 წელი) 14 ტონამდე (1999 წ.) შემცირდა, რაც ჩაის ფოთლის კრეფის დაცემასთან ერთად ჩაის მშა პროდუქციის გარდამავალი ნაშთების ამოწურვითაა განპირობებული.

1996 წელს 1 კგ ექსპორტირებული პროდუქციის საშუალო სარეალიზაციო ფასი 1,04 აშშ დოლარი იყო, ხოლო მომდევნო წლებში (1997, 1998, 1999) იგი შესაბამისად 0,92, 0,87 და 0,80 აშშ დოლარამდე შემცირდა, რაც რეალიზებული პროდუქციის ხარისხის გაუარესებით, ექსპორტის სტრუქტურის შეცვლით (გრანულირებული ჩაის ექსპორტის ზრდა), მთლიანად დაბალი ხარისხის ქართულ ჩაიზე მოთხოვნილების შემცირებით, პროდუქციის დემპინგურ ფასებში რეალიზაციითაა გამოწვეული.

პროდუქციის გაყიდვის პრობლემა, რასაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, სერიოზულ განსჯას მოითხოვს. მთავარი ისაა, რომ ჩვენ დავკარგეთ პროდუქციის რეალიზაციის ბაზარი არათუ საზღვარგარეთ, არამედ საკუთარ ქვეყანაში, სადაც შესაძლებელია წლიურად 2,5-3,0 ათასი ტონა მშა პროდუქციის რეალიზაცია. სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის მონაცემებით, 1997 წელს საქართველოში შემოტანილია 400 ტონა ჩაის მშა პროდუქცია, 1998 წელს 365 ტონა, ხოლო 1999 წელს უმნიშვნელო რაოდენობა.

ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ ისევე, როგორც სხვა სფეროებში, ჩაის კონტრაბანდის მასშტაბებიც სერიოზულია. ასეთ სიტუაციაში არ შეიძლება არ მოვიწონოთ შპს „მარტინ ბაუერ გეორგიენის“ პროექტი წვრილად დაფასოებული ჩაის გამოშვების და სამამულო ბაზარზე მისი რეალიზაციის შესახებ.

ბოლო წლების მონაცემები ჩაის ექსპორტის მოცულობისა და ერთეულ პროდუქციაზე საკონტრაქტო ფასების შემცირების შესახებ იმაზე მიგვანიშნებს, რომ მეჩაიეობაში, სხვა პრობლემებთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, აღრიცხვაა მოსაწესრიგებელი. თვითონ განსაჯეთ: 1997 წელს გამოუშვით 8784 ტონა ჩაის მშა პროდუქცია, ხოლო საზღვარგარეთ გადაიტვირთა 15,0 ათასი ტონა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ზედმეტი პროდუქცია შეივსო წინა წლის ნაშთით და ე. წ. „მარცხენა პროდუქციით“. 1998 წელს წარმოებულია 10230 ტონა პროდუქცია, ხოლო რეალიზებულია 10000 ტონა. პრაქტიკულად ნაშთი არ უნდა დარჩენილიყო. ამ დროს შპს „მარტინ ბაუერ გეორგიენის“ ნაშთი 1000 ტონას აღემატებოდა. 1999 წელს 15,0 ათასი ტონა მშა პროდუქციიდან სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის მონაცემებით რეალიზებულია 14322 ტონა, იმ დროს, როცა ოფიციალური მონაცემებით, ჩაის ფაბრიკებში ნაშთად ირიცხება 7-8 ათასი ტონა მშა პროდუქცია, მათ შორის შპს „მარტინ ბაუერ გეორგიენის“ ნაშთი 4,0 ათას ტონას შეადგენს. ჩაის ექსპერტების შეფასებით, გასულ წელს, ოფიციალურ მონაცემებთან შედარებით 20-25 ათასი ტონით მეტი ფოთოლია მოკრეფილი.

მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს რეალიზებულია 11 მილიონ 395 ათასი აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია, მეჩაიეთა შრომის ანაზღაურების დავალიანება 1 მილიონ 200 ათას ლარს აღემატება, რაც ძაბავს ისედაც რთულ სოციალურ-ეკონომიკურ ფონს.

პროდუქციას სერიოზულად აძვირებს და არაკონკურენტუნარიანს ხდის ჩაის ფაბრიკების საწარმოო სიმძლავრეების დაუტვირთაობა. სპეციალისტების გაანგარიშებით, ჩაის მშა პროდუქციის 1 კილოგრამის სარეალიზაციო ფასი მინიმუმ 2 ლარს და 12 თეთრს უნდა შეადგენდეს. გაანგარიშება გაკეთებულია, როცა შეფარდება დოლარსა და ლარს შორის 1:1,3 იყო.

მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკების მიერ ახლადდარსებულმა ასოციაციამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, საკონტრაქტო ფასების განსაზღვრას. სხვა შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება დაკარგული ბაზრის დაბრუნება, მით უფრო, იმავე ბაზარზე მაღალი ფასით შესვლა.

ქვეყანაში სულ ითვლება 148 ჩაის ფაბრიკა, საიდანაც ავტონომიური რესპუბლიკების გარეთაა — 98. აქედან პრივატიზებულია 88. სააქციო საზოგადოებად გარდაქმნილია — 84. კონკურსის წესით გაიყიდა 2, იჯარის გზით კი გამოსყიდულია 2 ჩაის ფაბრიკა.

ეკონომიკური რეფორების მეორე ეტაპზე გათვალისწინებულია ჩაის ყველა ფაბრიკის განსახელმწიფოებრიობა, სახელმწიფოს ხელში არსებული აქციების მთლიანად გაყიდვა, მათ შორის ნულოვან აუქციონზე.

ძირითადად ჩაის ფაბრიკის მესაკუთრენი არიან შრომითი კოლექტივები, აგრეთვე, ცალკეული პიროვნებები და ფირმები. მაგალითად, შპს „მარტინ ბაუერ გეორგიენს“ ეკუთვნის 15 ჩაის ფაბრიკის აქციების საკონტროლო პაკეტი, მათ შორის 3 გადამწონი ფაბრიკის, ჩაის 9 ფაბრიკის აქციების საკონტროლო პაკეტი შეძენილი აქვს აშშ საინვესტიციო ფონდების ჯგუფს „ჯი-ი-აი“-ს, „ქართული ჩაი“ 3 ფაბრიკის აქციების საკონტროლო პაკეტის მფლობელია და ა. შ.

განსახელმწიფოებრიობის პროცესი შეეხო არა მარტო ჩაის მრეწველობის საწარმოებს, არამედ ჩაის პლანტაციებსაც. სულ საქართველოში პრივატიზებულია 11759 ჰექტარი პლანტაცია, აქედან სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონზე მოდის 2350, გურიის რეგიონზე — 7449 ჰექტარი.

გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ 2000-2005 წლებში მეჩაიეობის დარგის კრიზისიდან გამოსაყვანად საჭიროა 400 მილიონი ლარი კაპიტალური ხარჯი, რომელიც ითვალისწინებს ჩაის პლანტაციებში აგროტექნიკური ღონისძიებების და ჩაის ფაბრიკების სარემონტო სამუშაოების ჩატარებას. გარკვეული ხარჯებია გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოებზე. გაანგარიშებაში ჩადებულია შეფარდებით: 1 აშშ დოლარით — 1.30 ლარი. ამასთან, საქართველოში არასასურველი მიგრაციული პროცესებისა და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მომსახურების (ძირითადად ვაჭრობა) სფეროში გადაადგილების გამო იაპონიის მსგავსად პერსპექტივა გააჩნია საწარმოო პროცესების მექანიზაციის ფართოდ დანერგვას. აღსანიშნავია, რომ რელიეფის, ნაკვეთის კონტურისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით სასხლავი, საკრეფი, რიგთაშორისების დამმუშავებელი და სასუქების შემტანი მობილური მანქანების საჭიროება 1600-1800 ერთეულს აღემატება, ჩაის საკრეფი და სასხლავი ხელის აპარატების კი 14-17 ათას კომპლექტს შეადგენს.

მექანიზაციის საშუალებების წარმოება და ექსპლუატაცია კოლოსალურ თანხებს საჭიროებს, რომელიც შეიძლება გაიღონ როგორც სახელმწიფომ (მხედველობაში გვაქვს სახელმწიფოს ინვესტიციები), ისე კერძო მეწარმეებმა, კომერციულმა საბანკო სტრუქტურებმა, უცხო კერძო ინვესტორებმა, რომლის საფუძველი იქნება პროდუქციის გარანტირებული გაყიდვა.

აღნიშნულის უქონლობის შედეგია, რომ დღემდე, დარგში პირდაპირი ინვესტირება არ განუხორციელებია არც ერთ მსხვილ უცხოურ ფირმას, გარდა შპს „მარტინ ბაუერისა“, რომელმაც პორტფელური და პირდაპირი ინვესტირების შედეგად შეძლო ჩაის წარმოებაში 60 პროცენტი სეგმენტის დაკავება.

1998 წელს სახელმწიფო ბიუჯეტმა გამოყო 3 მილიონი ლარი ინვესტიცია, რომელმაც დარგში სერიოზული შემოტრიალება მოახდინა.

იმავე 1998 წლის ცენტრალური ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 2 მილიონი ლარი საკრედიტო რესურსის გამოყოფა, სამი წლით, წლიური 15 პროცენტი სარგებლით. სამწუხაროდ, ბიუჯეტის შესრულებაში შექმნილი სირთულეების გამო თანხების დროული გამოყოფა ვერ მოხერხდა. კერძოდ, 3 მილიონი ინვესტიციიდან ჯერაც გაუცემელია 243 ათასი ლარი, ხოლო 2 მილიონი საკრედიტო რესურსიდან 420 ათასი ლარი.

ქართულ მეჩაიეობაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის, მისი გამოსწორებისათვის საჭირო ფულად-მატერიალური რესურსებისა და საკუთრების ყველა ფორმის სტრუქტურის, მათ შორის ბიუჯეტის შესაძლებლობების გათვალისწინებით, საქართველოში რაციონალური მეჩაიეობის შენარჩუნების პრინციპის გამოყენებით 50 ათასი ჰექტარიდან (აფხაზეთის ჩათვლით) საკმარისია შევინარჩუნოთ 30-35 ათასი ჰექტარი, საიდანაც ამჟამად ექსპლუატაციისათვის ვარგისია 18-20 ათასი ჰექტარი.

ჩაის მშა პროდუქციაზე მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილების გათვალისწინებით საქართველოს შეუძლია გაყიდოს 30-35 ათასი ტონა პროდუქცია, საიდანაც ფოთლოვანი ჩაი იქნება 25-28 ათასი ტონა, გრანულირებული — 4-5 ათასი ტონა. ჩაის ფოთლის დამზადება შეიძლება გაიზარდოს 135-160 ათას ტონამდე. გარდა ამისა, შესაძლებელია 5-5,5 ათასი ტონა აგურა ჩაის წარმოება. აღნიშნული მოცულობის პროდუქციის საწარმოებლად შესაძლებელია 35-45 პირველადი ფაბრიკის ამუშავება. მეჩაიეობაში, ჩაის მრეწველობასა და ამასთან დაკავშირებულ დარგებში 65-70 ათასი მუშახელის დასაქმება.

მოგების, დამატებითი ღირებულების და სხვა გადასახადთა სახით ბიუჯეტში ჩაირიცხება 20-25 მლნ ლარი, რომლის ოდენობა, პროდუქციის ხარისხის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზრდება.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, თითოეული სოფლის მიხედვით დაზუსტდეს ამოსაძირკვი პლანტაციების ფართობები და იგი თხილის ნარგავების გასაშენებლად საკუთრებაში გადაეცეს მოსახლეობას, მცენარის სრულ მსხმოიარობაში შესვლამდე მიწის გადასახადისაგან გათავისუფლების პირობით.

წარმოებული პროდუქციის გარანტირებული რეალიზაციის მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია განახლდეს მოლაპარაკებები თურქმენეთთან მოწოდებული ბუნებრივი აირის დავალიანების ნაწილობრივ ჩაის პროდუქციით დაფარვის ადრე მოქმედი სქემის განახლების შესახებ.

დასახვეწია სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების გაფორმების პრაქტიკა იმ თვალსაზრისით, რომ მასში კონკრეტულად მიეთითოს ურთიერთმისაწოდებელი პროდუქციის არა მარტო რაოდენობა, არამედ მისი გამგზავნი და მიმღები სუბიექტები.

ალბათ, უნდა მივმართოთ, აგრეთვე, ევროკომისიას სასურსათო უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში საქართველოში ჩაის განვითარების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის დაფინანსების თაობაზე.

უნდა გაგრძელდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მეჩაიეობის აღდგენისათვის მიზნობრივი სესხების გამოყოფის პრაქტიკა.

აუცილებელია ჩაის ფოთლის გათავისუფლება დამატებული ღირებულების გადასახადისაგან, ხოლო მშა პროდუქციაზე იგი უნდა შემცირდეს 10 პროცენტამდე.

**დამეთანხმებით, ბატონმა თამაზმა ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგზე, მეჩაიეობაზე, საკმაოდ პირუთვნელად თქვა და ფაქტები და მოვლენები სულაც არ შეულამაზებია. მან უდაოდ რეალური სურათი დაგვიხატა და შეიძლება ითქვას, რომ ქართული მეჩაიეობის ისტორიის ფურცლები საკმაოდ დამაფიქრებელია...**

**ამიტომ, ვფიქრობ, ბატონმა თამაზმა რეალური გზებისაკენ მიგვითითა, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ დარგმა, როგორც შიდა, ისე გარე ბაზრებზე ძველი სახელი და დიდება დაიბრუნოს, რომ მეჩაიემ შვებით ამოისუნთქოს და იგი თავისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით კმაყოფილი იყოს...**

**„საქართველოს რესპუბლიკა“ კვლავაც დაუბრუნდება ამ თემას, რადგან გადაწყვიტა მხარში ამოუდგეს მათ, ვინც მეჩაიეობის დარგის აღორძინებისათვის იღვწის და ამ ეროვნულ საქმეში თავისი წვლილი შეაქვს.**

**მოგვწერეთ თქვენი სათქმელი ქართულ მეჩაიეობაზე. ამით ძალიან დაგვეხმარებით იმისათვის, რომ გაერთიანებული ძალით ვიღვაწოთ ქართული ჩაის უკეთესი მერმისისათვის.**

**საუბარი ჩაიწერა**
**როლანდ ბასილაშვილმა.**

## ორბიტაზე

# პლანეტა უსმენს და უყურებს საქართველოს

(პირველი გვერდიდან)

ითქვა, რომ მისი მისია იყო, მომსახურებოდა პირველ რიგში, დსთ ქვეყნებს და მათთვის საქართველოს შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდებინა. მაგრამ მალე მისი სამოქმედო არეალი გაფართოვდა და ახლა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა თუ სოციალურ-კულტურული მოვლენების შესახებ მასალებს მსოფლიოს 400-მილიონიანი აუდიტორია ღებულობს და ეს ხდება ისეთი უდიდესი საინფორმაციო გიგანტის საშუალებით, როგორიც ტელეკომპანია სი-ენ-ენია.

ჩვენი პლანეტის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწისა და ბიზნესმენის ტედ ტერნერის პირმშოს ახლახან დაარსებიდან 20 წელი შეუსრულდა, რაც თავისებურ დღესასწაულად იქცა და მასში მონაწილეობისათვის საქართველოს წარმომადგენლებიც მიიწვიეს. სწორედ ამის თაობაზე ვესაუბრეთ ქართული დელეგაციის ხელმძღვანელს, სახელმწიფოთაშორისი ტელე-რადიო კომპანია „მირის“ საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორს ბადრი ნაჭყებიას:

— ჩვენი დელეგაცია, თუ მას ასე შეიძლება ეწოდოს, ორი კაცისაგან შედგებოდა — მე და ჩვენი კომპანიის კორესპონდენტი ეკა ბურჯანაძე. ზეიმზე მიწვევა შემთხვევით როდი მივიღეთ — ჩვენ, ე. ი. ტელე-რადიო კომპანია „მირი“, ვითვლებით სი-ენ-ენის ოფიციალურ კონტრიბუტორად საქართველოში. ყოველთვიურად რამდენიმე რეპორტაჟს ვამზადებთ მისთვის ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, ვმუშაობთ პროგრამაზე **CHH WORLD REPORT** და, შეიძლება ითქვას, საქართველოსადმი მიძღვნილ მასალებს დიდი ინტერესით ხვდება მისი უზარმაზარი აუდიტორია.

სი-ენ-ენის შტაბ-ბინა ამერიკის შეერთებული შტატების ჯორჯიას შტატის დედაქალაქში — ატლანტაში მდებარეობს და ამთავითვე უნდა ვთქვა, რომ მისი სეხნია — შორეული ჯორჯიადან — საქართველოდან ჩასული მცირერიცხოვანი დელეგაცია განსაკუთრებული ყურადღებით იყო მოსილი. ამაში, სი-ენ-ენის მესვეურებთან ერთად, დიდი დამსახურება მიუძღვის ატლანტაში მცხოვრებ ჩვენებურ კაცს, ბიზნესმენს ზურაბ ლეჟავას, რისთვისაც თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა მადლობა გადავუხადო.

საზეიმო განწყობილების მიუხედავად, ატლანტაში ჩასული ჟურნალისტების დიდი დრო დაეთმო საქმიან, სასწავლო-ანალიტიკურ მუშაობას.

კალმისა და მიკროფონის ცნობილი დიდოსტატების რიზ-ხანის, ჯონათან მანის, თვით ტედ ტერნერის ხელმძღვანელობით მოეწყო ერთგვარი სემინარი სი-ენ-ენისთვის მაღალხარისხოვანი პროდუქციის შექმნის, გადაცემათა წაყვანის ახალი სისტემის, ჟურნალისტური ძიების სხვადასხვა საკითხებზე.

აქამდეც ვიცოდით, რომ სი-ენ-ენი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მსოფლიოს პოლიტიკურ თუ საერთოდ, საზოგადოებრივ წრეებში, მაგრამ იქ ყოფნისას დავრწმუნდით, თუ რაოდენ პატივს სცემენ მას: მის სტუმრებთან შესახვედრად მოვიდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი კოფი ანანი, აშშ ვიცე-პრეზიდენტი ელ გორი, ამერიკისავე ექსპრეზიდენტი ჯიმი კარტერი, ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს ახალი თავმჯდომარე კლარა დელა პონტე, იორდანიის მეფე აბდალა მეუღლითურთ და დედოფალი ნური, ყოფილი საბჭოთა კავშირის პირველი პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი და სხვები.

ჩვენ საშუალება გვქონდა, მათთვის მიგვეცა შეკითხვები. რასაკვირველია, ვისარგებლეთ ასეთი ხელსაყრელი მომენტით და ეკა ბურჯანაძემ გაეროს თავკაცს ჰკითხა ამ უდიდესი საერთაშორისო ორგანიზაციის როლზე აფხაზეთში მიმდინარე პროცესების მშვიდობიანი გადაწყვეტის საქმეში. ეს შეხვედრა პირდაპირ გადაიცემოდა ეთერში.

გაიმართა მიხეილ გორბაჩოვისა და ჩემი დიალოგი საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხებზე. ყოფილმა პრეზიდენტმა პირდაპირ განაცხადა, რომ აფხაზეთის და სხვა კონფლიქტებში დიდი წვლილი მოსკოვს (პირდაპირ ასე აღნიშნა) მიუძღვისო.

ქალბატონმა კარლა დელა პონტემ თავის გამოსვლაში ძალზე სერიოზული ფაქტები დაასახელა იუგოსლავიასა და, განსაკუთრებით, რუანდაში მიმდინარე პროცესების, იქ არსებული რეჟიმების თაობაზე.

მისი განცხადებით, რუანდაში უკვე მილიონამდე კაცია დაღუპული და ყოველივე ამის გამო არც ერთი სამხედრო დანაშაული არ უნდა დარჩეს დაუსჯელი.

ჩვენც გვინდოდა ჩავრეულიყავით მის საუბარში, მაგრამ ისე იაქტიურეს იუგოსლაველმა და ბოსნიელმა ჟურნალისტებმა, რომ ამის საშუალება აღარ მოგვეცა.

კიდევ ერთხელ თვალნათლივ დავინახეთ ამ უდიდესი საინფორმაციო იმპერიის შესაძლებლობანი. უშუალოდ დარბაზიდან, უზარმაზარ მონიტორებთან მიმსხდარნი თავისუფლად ვუკავშირდებოდით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამორჩეულ ადამიანებს, ვაძლევდით შეკითხვებს, ვღებულობდით ამომწურავ პასუხებს.

ამ დროს ჩვენი „დასწრებულ-დაუსწრებელი“ რესპოდენტები იყვნენ პაკისტანის მეთაური მუშარიბი, ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, რუსეთის ახალი პრემიერ-მინისტრი მიხეილ კასიანოვი, აშშ პრეზიდენტობის კანდიდატი, ტეხასის გუბერნატორი ჯონ ბუში-უმცროსი და სხვები.

საშუალება მოგვეცა, ასე თუ ისე გავრკვეულიყავით ორი თანამედროვე ბირთვული ქვეყნის — ინდოეთისა და პაკისტანის დაპირისპირების პრობლემებში, რაც ასე აღელვებს არა მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებს, არამედ მთელ მსოფლიოს. ტელეხიდის საშუალებით შევიტყვეთ ორივე მხარის თვალთახედვა ამ მიმართულებით. თუ პაკისტანი ინდოეთის ქაშმირის შტატში მიმდინარე პროცესებს განიხილავს როგორც ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, ინდოეთის საგარეო უწყებას მიაჩნია, რომ აქ არის ტერორისტების ერთ-ერთი მძლავრი ბაზა აზიის ტერიტორიაზე.

ეს დიალოგი მიჰყავდა ცნობილ ჟურნალისტ ჯონათან მანს და მისი აქცენტები მიმართული იყო ამ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისაკენ.

* * *

**— რასაკვირველია, თქვენი შედარებით ახალგაზრდა კომპანია გარკვეულ მუშაობას ეწევა მსოფლიოსათვის საქართველოს გასაცნობად. თქვენი ატლანტაში ყოფნის დროს, დაინახეთ თუ არა, რომ იცნობენ ჩვენს ქვეყანას?**

— უკვე ვთქვი, რომ ჩვენი პატარა დელეგაცია ყურადღების ცენტრში იყო-მეთქი.

თავად სი-ენ-ენის მამამთავარი ტედ ტერნერი პირველი დღიდან ძალზე თბილად განეწყო ჩვენს მიმართ, მუდამ ყურადღების ცენტრში ვყავდით და ხშირად აღნიშნავდა, რომ უყვარს საქართველო.

როგორც თვით დღესასწაულის მონაწილეთა, ისე ჯორჯიის შტატისა და ატლანტის მცხოვრებთა შეხვედრებზე დავრწმუნდით, რომ ისინი ურიგოდ არ არიან ინფორმირებული საქართველოსა და, განსაკუთრებით, მისი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის შესახებ.

ბევრი ატლანტელი მოკითხვასაც კი უთვლიდა მას და აცხადებდა: ჯორჯია და შევარდნაძე განუყოფელიაო.

სი-ენ-ენის ხელმძღვანელობამ გამოთქვა საქართველოში ჩამოსვლის სურვილი და მზადყოფნა, რაც კარგად წაადგება არა მარტო ჩვენს კომპანიას, არამედ, საერთოდ, ჩვენი ქვეყნის საინფორმაციო წყაროებს.

დიდ ყურადღებას იჩენს ჩვენს მიმართ უშუალოდ კავკასიური რეგიონის კურატორი ზორან სტევანოვიჩი, მასთან ერთად უკვე ბევრი კარგი საქმე გავაკეთეთ და, იმედია, ასე იქნება მომავალშიც.

**— როგორ შეატყვეთ, აინტერესებთ თქვენს კოლეგებს სხვადასხვა რეგიონებიდან საქართველოს შესახებ თქვენს მიერ მომზადებული მასალები?**

— ალბათ, აინტერესებთ და ყურადღებითაც უყურებენ თუ ისმენენ. მაგალითად, მალაიზიის წარმომადგენელმა გვითხრა, რომ ძალზე მოეწონა ჩვენი მასალები თბილისის პოლიციის მუშაობაზე.

ბევრი დააინტერესა ამჟამად ჩვენს საპატრიარქოში სახარების გადაწერა-დასურათხატებაზე მიმდინარე მუშაობამ, რომელშიც შესანიშნავი მხატვარი რუსუდან ფეტვიაშვილი მონაწილეობს.

ჩვენთან ურთიერთობის განმტკიცების, პროგრამების გაცვლისა და ერთობლივი გადაცემების მომზადების სურვილი გამოთქვეს ჩინეთის, საუდის არაბეთის, მალაიზიისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის კომპანიებმა.

საქართველოში ტურიზმის განვითარების პრობლემებით ძალზე დაინტერესდა სი-ენ-ენის რეკლამის მენეჯერი გორდანა დუ სპარა.

ალბათ, თუ კი შესაბამისი უწყება-ორგანიზაციებიც დაინტერესდებიან, შორს არ უნდა იყოს ის დრო, როცა სი-ენ-ენის ეკრანზე გამოჩნდება რეკლამა ჩვენს ავიახაზებზე, სასტუმროებზე, ქვეყნის სხვა ღირსშესანიშნაობებზე.

**— რას იტყვით სამომავლო გეგმებზე?**

— ატლანტაში გატარებულმა 6 დღემ, კოლეგებთან, სი-ენ-ენის ხელმძღვანელებთან შეხვედრებმა დაგვარწმუნა, რომ, რაც დღემდე გავაკეთეთ, საკმარისი აღარაა. საჭიროა უფრო მეტი და, რაც მთავარია, ხარისხოვანი მასალებით გასვლა მსოფლიო ორბიტაზე. ამას, რასაკვირველია, მარტო ბევრი ფული კი არა, როცა რაღაც 10-წუთიანი გადაცემაც კი ძალზე ძვირი გვიჯდება, შესაბამისი ტექნიკური საშუალებებიც სჭირდება.

მართალია, აპარატურა გვაქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, საკმარისი არ არის. ვფიქრობთ, გავაფართოოთ ჩვენი არეალი დსთ მასშტაბითაც და სი-ენ-ენზეც. ვესწრაფვით, გავადიდოთ და გავამრავალფეროვნოთ რუსულენოვანი გადაცემები „მაიაკზე“, უფრო ღრმად ჩავწვდეთ ჩვენი ქვეყნის დღევანდელობისა თუ მომავლის პრობლემებს და, რაც შეიძლება, დამაჯერებლად, მიმზიდველად მივიტანოთ უცხოელ მაყურებლამდე თუ მსმენელამდე.

* * *

თბილისის ცენტრში, კოსტავას ქუჩაზე, გამომცემლობა „სამშობლოს“ მეხუთე სართულზე დაფუძნებულ ტელე-რადიო კომპანიას, თვალის ერთი შევლებით, სრულყოფილი მუშაობისათვის ალბათ, ჯერჯერობით ბევრი რამ აკლია, მაგრამ ის, რომ მსოფლიო ორბიტაზე უკვე მოიკიდა ფეხი და ყურადღებაც მიიპყრო, მისი წარმატებული საქმიანობისათვის კარგი წინამძღვარია.

**ვალიკო სიმონიშვილი.**

**სურათზე:** აშშ ყოფილი პრეზიდენტი ჯიმი კარტერი დღესასწაულის მონაწილეებთან (მუამი — ბადრი ნაჭყებია).

### ევროკავშირი საზღვრის დაცვაში დაგვეხმარება

ევროკავშირის საბჭოს სამხედრო საკითხთა ექსპერტი გენერალი გარი ჯონსონი საქართველოში ერთი კვირის განმავლობაში ეცნობოდა საზღვრის დაცვის ვითარებას. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ექსპერტის საქართველოში სტუმრობის ინიციატივა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესა და ჩვენი ქვეყნის საგარეო უწყებას ეკუთვნით.

გენერალი გარი ჯონსონი საგანგებო ანგარიშს გააკეთებს, რომლის საფუძველზე ევროკავშირი ახლო მომავალში განსაზღვრავს ამ სფეროში საქართველოსათვის დახმარების აღმოჩენის მიმართულებას.

### 32 მილიონი ევრო — ტექნიკური პროექტებისთვის

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამა „ტასისისაგან“ საქართველო გრანტის სახით 32 მილიონ ევროს მიიღებს. ეს თანხა ევროკომისიის მიერ ჩვენი ქვეყნისათვის შემუშავებული ოთხწლიანი ტექნიკური დახმარების პროგრამის განხორციელებას მოხმარდება; პროგრამის პროექტი, რომელსაც სავარაუდოდ სექტემბერში მოაწერენ ხელს, ითვალისწინებს საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობასა და ინფრასტრუქტურის განვითარებას.

### დაიწყო მოლაპარაკებების მეორე რაუნდი

სამხედრო თემაზე საქართველოსა და რუსეთს შორის მოლაპარაკებების მეორე რაუნდი დაიწყო თბილისში შაბათს. მხარეები განიხილავენ საქართველოში განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის ვადებსა და ჭარბი შეიარაღების შემცირების საკითხს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მიმდინარე მოლაპარაკებებში მონაწილეობენ თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე, საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი და ამ უწყებათა წარმომადგენლები, ხოლო რუსული მხრიდან დელეგაციის ხელმძღვანელია ვიცე-პრემიერი ილია კლებანოვი.

### მტკიცებულება არ აქვთ

რუსეთის ფედერალურ სასაზღვრო სამსახურს არ აქვს მყარი საფუძველი იმის სამტკიცებლად, რომ პანკისის ხეობაში ჩეჩენი ბოევიკები იმყოფებიან.

როგორც ჟურნალისტებს ამ უწყების სასაზღვრო კონტროლის დეპარტამენტის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ალექსანდრე მაიკინმა უთხრა, პანკისის ხეობა ჩეჩენთა სამკვიდრო საცხოვრებელი ადგილია და მხოლოდ ამ გაგებით იწვევს მესაზღვრეთა გარკვეულ შეშფოთებას იქ არსებული სიტუაცია, — იტყობინება პრაიმნიუსის საკუთარი კორესპონდენტი მოსკოვიდან.

### ახალი ფრაქციის შესაძლო კანდიდატები

პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობიდან რამდენიმე დღის წინათ გადამდგარი გიორგი კვირიკაშვილი მზადაა უმრავლესობის წევრებს დავით გამყრელიძესა და ლევან გაჩეჩილაძეს შეუერთდეს, თუ ისინი ახალ ფრაქციას შექმნიან.

ამასთან, კვირიკაშვილის განცხადებით, იგი ჯერჯერობით კვლავ რჩება საპარლამენტო უმრავლესობის წევრად.

პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, ახალი ფრაქციის ჩამოყალიბების შემთხვევაში, გამყრელიძე-გაჩეჩილაძეს შესაძლოა მაჟორიტარი დეპუტატი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი გიორგი ყარყარაშვილიც შეუერთდეს.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და პრაიმნიუსმა.**

### SIC!

# იქნებ მივიღოთ კანონი

## პასუხისმგებლობის შესახებ ხელფასების დაგვიანების შემთხვევაში

დღევანდელი ეკონომიკური კრიზისის პირობებში საქართველოს მოსახლეობა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. მათ შორის არის საზოგადოების ის ნაწილიც, ვისაც სახელმწიფო უნდა დაეყრდნოს ქვეყნის სულიერი აღორძინებისა და ერის ინტელექტუალური პოტენციალის ამაღლების საქმეში. სამწუხაროდ, ამ სიტუაციაში მეცნიერებათა აკადემიის და მეცნიერთა როლი არამცთუ შეესაბამება მათ დანიშნულებას, არამედ დამცირებულადაც კი გამოიყურება.

ჯერ იყო და დაარსდა მრავალი „თვითნაკეთი" აკადემია, რომელთა შექმნის აზრი დღესაც გაუგებარია ჩვენთვის – ნუთუ იმისათვის, რომ ქართული ხასიათიდან გამომდინარე, ზოგიერთებს დაეკმაყოფილებინათ თავიანთი ამბიციური მისწრაფებანი და წოდებულიყვნენ აკადემიკოსებად, რაც სხვათა შორის, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების თანახმად აკრძალულია (მაგრამ რეგალიების ჭიდილში ვინ აქცევს ამას ყურადღებას?). ამ აკადემიების და „აკადემიკოსთა" ალლუმმა პრაქტიკულად ნულამდე დაიყვანა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის და მისი წევრების იმიჯი. ალბათ, ამის მიზანი „დემოკრატიზაციის" ფონზე აკადემიის ფუნქციის დევალვაცია იყო, რასაც, სამწუხაროდ, სახელმწიფოს ბევრი მოხელე უწყობდა ხელს. სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ ჩვენი აზრით, ძალიან ბევრი მინუსი, რომელიც დღეს საზოგადოებას აქვს, გამოწვეულია არა დემოკრატიის უკმარისობით, არამედ მისი არასწორი გაგებით და ე. წ. ფსევდოდემოკრატიის გაუმართლებელი და ჭარბი გამოყენებით.

ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ ჩვენი აკადემიური სისტემა მიუღებელი და დრომოჭმულია, რადგან დასავლეთის უმეტეს მოწინავე ქვეყანაში და აშშ კვლევითი ინსტიტუტები აკადემიაში არ შედიან და ფუნდამენტური კვლევები, რასაც ჩვენთან მეცნიერებათა აკადემია კურირებს, ხორციელდება უმაღლეს სასწავლებლებში. ეს „ნოვატორები" მხედველობაში არ იღებენ იმ გარემოებას, რომ მეცნიერების განვითარების ჩვენებურმა მოდელმა შესანიშნავად იმუშავა ათეული წლების განმავლობაში და სავსებით გაამართლა მასზე დაკისრებული რთული მისია. აღნიშნული ტრადიციების გამოყენებით შეიქმნა მსოფლიოში განთქმული მეცნიერული სკოლები, განხორციელდა მნიშვნელოვანი მეცნიერული აღმოჩენები, მიღებულ იქნა მრავალი მეცნიერული შედეგი და სხვ. შესაძლებელია მომავალში ვიმსჯელოთ აკადემიური სისტემის ინტეგრირებაზე საუნივერსიტეტო მეცნიერებასთან, მაგრამ ამისათვის გარკვეული დრო და ქვეყანაში სულ სხვა ეკონომიკური თუ სოციალური პირობებია საჭირო. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია გავანადგუროთ რაც შევქმენით და მოვსპოთ წლების განმავლობაში მიღებული მონაპოვარი – ნათქვამია, რომ დანგრევა ადვილია, ხოლო აშენება ბევრად ძნელი.

დღეს უკვე ისმის ხმები აკადემიის „ძირეული რეორგანიზაციის" შესახებ, რაც, ფაქტობრივად, გულისხმობს აკადემიის ისედაც მიზერული დაფინანსების შემცირებას, ინსტიტუტების უსაფუძვლო გაერთიანების და „ზედმეტი ფართების" ჩამორთმევას, აკადემიის პრეზიდიუმის უფლებათა შესუსტებას, კადრების შემცირებას, ანუ სოციალური დაცვის კანონის არარსებობის პირობებში მათ ქუჩაში გაყრას. ჩვენ არ გვაქვს საშუალება განვიხილოთ აღნიშნული საკითხები დეტალურად, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ აკადემიის დღევანდელი დაფინანსება რეალურად მხოლოდ ხელფასია, რომელსაც სახელმწიფო პრაქტიკულად არ იძლევა. აქედან ადვილი წარმოსადგენია სამეცნიერო ორგანიზაციების მოღვაწეობის ეფექტიანობა.

საკამათო არ არის ის ელემენტური ჭეშმარიტება, რომ გარდაქმნა და მოდერნიზაცია პოზიტიური მოვლენაა იმ პირობებში, როდესაც ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და მორალური მდგომარეობა იძლევა ამის საშუალებას. დღეს კი, ჩვენ პირობებში, ამ ღონისძიების გატარება ტოლფასი იქნება ნგრევისა და მეცნიერებათა აკადემია თუ დავანგრიეთ, მის რესტავრაციას მრავალი ათეული წელი დასჭირდება. დავიცადოთ გარკვეული დრო, შევქმნათ ნორმალური სახელმწიფო, ნორმალური ხელფასებით და მუშაობის პირობებით და მერე ვილაპარაკოთ ამის შესახებ. მეცნიერებათა აკადემია ხომ ერთადერთი სახელმწიფო სტრუქტურაა საქართველოში, რომელსაც კრიზისის დამანგრეველი ხელი მხოლოდ მის მატერიალურ მხარეს შეეხო.

ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ქვეყანაში არის ძალები, ვისთვისაც სასურველია აკადემიის განადგურება. ამ იდეის მატარებელნი უაღრესად აქტიურნი არიან, ისინი ირონიული ღიმილით აცხადებენ, რომ ბოლომდე იბრძოლებენ, მაგრამ გაურკვეველია რისთვის? ნუთუ იმისათვის, რომ მათი ახლობლები თავის დროზე არ გახდნენ აკადემიის წევრები? მათ ავიწყდებათ, რომ ქვეყანაში მაღალი რეიტინგის საზოგადოების ჩამოყალიბებაში, ერის სულიერი საგანძურის შექმნაში, მისი ინტელექტის ამაღლებაში მეცნიერებამ, და, მაშასადამე, მეცნიერებათა აკადემიამ უდიდესი როლი შეასრულა და მომავალშიც მას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა მიენიჭება.

შექმნილმა ეკონომიკურმა კრიზისმა კატასტროფულ მდგომარეობაში ჩააყენა საქართველოში მეცნიერების განვითარება და განსაკუთრებით, მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლები.

ჩვენ შევეჩვიეთ იმ აზრს, რომ თუ პატიოსან მამულიშვილს უჭირს, ის შეგნებით ეგუება შექმნილ ვითარებას, ხმას არ აიმაღლებს და შესაძლოა, უსახსრობის გამო დაიღუპოს კიდევაც. ამის მაგალითები საკმაოდაა მეცნიერთა წრიდანაც. სათუთად უნდა გავუფრთხილდეთ და ყოველმხრივ დავეხმაროთ ჩვენი საზოგადოების ეკონომიკურად და სოციალურად ყველაზე უფრო დაუცველ ფენას (მეცნიერებს, პედაგოგებს, ხელოვნების მუშაკებს და ა. შ.), რომელთაც აკისრიათ ის უმნიშვნელოვანესი მისია, რასაც ღირსეული თაობის აღზრდა და ერის სულიერი კულტურის ამაღლება ჰქვია.

დღეისათვის აკადემიის ინსტიტუტების თანამშრომლებს არ მიუღიათ 1998-1999 წლებში ოთხი თვის ხელფასი და 1999 წლის ცხრა თვის გრანტი. მიმდინარე წლის ხუთ თვეში მიღებული აქვთ მხოლოდ ორი თვის ხელფასი, ხოლო რაც შეეხება აკადემიის გრანტებს, იგი ანაზღაურებული საერთოდ არ ყოფილა, ფაქტობრივად ხელფასის და გრანტების სახით დავალიანება სახელმწიფოს მხრიდან 21 თვეს შეადგენს. აკადემიის თანამშრომელთა დიდი ნაწილი უსახსრობის გამო ვერ ახერხებს სამუშაოზე სისტემატურად მოსვლას; მათ პრაქტიკულად ამოეწურათ არსებობის ყველა შესაძლებლობა.

ალსანიშნავია ისიც, რომ მრავალ ინსტიტუტში აღარ არსებობს მუშაობის პირობები, რადგან პრაქტიკულად არ წარმოებს მათი ელექტროენერგიით, წყლით, რეაქტივებით, მოწყობილობა-დანადგარებით, სამეცნიერო ჟურნალებითა და სამივლინებო სახსრებით უზრუნველყოფა; მეცნიერებს აღარა აქვთ გამოგონებების დაპატენტებისა და სტატიების გამოქვეყნების საშუალებაც კი. ინსტიტუტებში ვეღარ იზრდება ახალგაზრდა კადრები (მცირე ანაზღაურების გამო). ამავე დროს ნიჭიერ ახალგაზრდა მეცნიერთა დიდი ნაწილი თავს ანებებს სამეცნიერო საქმიანობას და გადადის ბიზნესში, ან მიემგზავრება საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებში. ყოველივე ეს, განსაკუთრებით ბოლო ორი წლის განმავლობაში, განაპირობებს მეცნიერთა მუდმივ სტრესულ მდგომარეობაში ყოფნას.

„საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ" ახლახან მიღებული კანონის ის ნაწილი, რომელიც ეხება მეცნიერული კვლევების განვითარებას მსოფლიო სტანდარტების დონეზე, კარგავს თავის აზრს, თუ მას არ ექნა სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური მხარდაჭერა და ვერ შესრულდება, თუ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ არ განახორციელა საგანგებო ღონისძიებები (რაღა თქმა უნდა, ასეთი საგანგებო ღონისძიებები უნდა განხორციელდეს არა მარტო მეცნიერებათა აკადემიის მიმართ).

ამასთან ერთად, სასურველია უკრაინის რადას მსგავსად, ჩვენმა პარლამენტმაც მიიღოს კანონი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ ხელფასის გაუცემლობის ან დაგვიანების შემთხვევაში.

საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება ხალხის სოციალური მდგომარეობის ნაწილობრივ მაინც გასაუმჯობესებლად, რადგანაც მერე გვიან იქნება. ამას ვამბობთ ჩვენი საზოგადოების ის წარმომადგენლები, რომელთათვისაც სამშობლოს კეთილდღეობა ყველაზე მაღალი მისიაა.

საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის განყოფილებათა
აკადემიკოს-მდივნები,
აკადემიკოსები:
**გურამ გველესიანი,**
**ოთარ ნათიშვილი,**
**მალხაზ ზაალიშვილი.**
16. 06. 2000.

---

# შპს მაგთიკომი

# MAGTICOM Ltd

მაგთი MAGTI GSM

**ჩვენამდე მოაღწია ქალაქში გავრცელებულმა ჭორმა, თითქოს მაგთი GSM-ის ქსელში ჩართული მობილური ტელეფონით საქართველოს ფარგლებში ნალაპარაკევი დრო მრგვალდებოდეს 30 წამამდე და, ამდენად, კონკურენტებთან შედარებით წამგებიან პირობებს ვთავაზობდეთ აბონენტებს. მსგავი გამიზნული თუ უნებლიე დეზინფორმაცია, სამწუხაროდ, ადრეც ყოფილა.**

**დაბეჯითებით ვაცხადებთ, რომ დღეისათვის საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ ზარებს მაგთი GSM-ის საბილინგო სისტემა ამრგვალებს 5 წამამდე.**

**თავს უფლებას მივცემთ განვაცხადოთ, რომ ჩვენი კომპანია ლიდერობს როგორც მომსახურების ზონის სიდიდითა და აბონენტთა რაოდენობით, ისე მომსახურების კონკურენტუნარიანი ტარიფებით.**

**დაინტერესებულ პირებს ვურჩევთ, კომპანიის მომსახურებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართონ მომსახურების ოფისებში ან დაგვირეკონ უფასო ნომრებზე: 25 11 11, 25 00 00, მობილურიდან 525.**

**მაგთიკომი უფლებას იტოვებს დეზინფორმაციის გამავრცელებელი პირების წინააღმდეგ მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები.**

**მაგთიკომის ადმინისტრაცია.**

---

### გვწერენ

# ცხინვალი-კვაისა-ამბროლაურის გზა კვლავაც მეგობრობის გზად დარჩება

მე ცხინვალელი კაცი ვარ.

საბჭოთა წყობილების დროს რაჭაში, საქართველოს ამ ულამაზეს მხარეში ხშირად მიხდებოდა ყოფნა.

ფეხით შემომივლია გურშევისა და შოვის ულამაზესი ხეობები, ტყის მასივები, ქვედურის ტბის უნიკალური მიდამოები...

მაშინდელი სამხრეთ ოსეთის ავტოსატრანსპორტო გაერთიანების გენერალურ დირექტორად მუშაობისას კი თბილისიდან მინისტრი თეიმურაზ დავითაშვილი ტელეფონით ყოველკვირა მირეკავდა:

– რაჭას მიხედე... ბარიტის გამოზიდვა არ ჩაგივარდეს... „ჩორდმშენს" მიხედე კვაისის მშენებლობა ცეკას კონტროლზეა....

და მართლაც, კვაისაში ყოველთვიურად იმართებოდა შტაბის სხდომები გენადი კოლბინისა თუ გოგი ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით.

და ჩვენც, ურთიერთისყვარულისა და გულწრფელი მეგობრობის წყალობით, ყველაფერს ვაკეთებდით. თვითმცლელი „მაზებისა" და „ზილების" კოლონას ყოველდღიურად ვაგზავნიდი რაჭასა და კვაისაში.

ათი წელიწადია, რაჭაში არ ვყოფილვარ.

ამ რამდენიმე დღის წინათ კი, მე და ცხინვალელი არეშო მარგიევი „07" მარკის ავტომანქანით ცხინვალიდან, კვაისის გზით, ამბროლაურს გავემგზავრეთ.

ცხინვალი-კვაისის გზა რომ სამინელ მდგომარეობაში იყო, უკვე ვიცოდი.

კვაისის ტყვია-თუთიის საწარმო, ოდესღაც ხალხმრავალი და ფეხზემდგარი მუშათა დაბა, ახლა დაცლილი და ეკონომიკურად დაკნინებულია.

არეშო მარგიევი სპეციალობით სამთოელია და ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დიდხანს კვაისაში მუშაობდა. დაბის დანახვაზე ცრემლები მოადგა თვალებზე.

მაგრამ რამდენიმე წუთის დუმილის შემდეგ გამოცოცხლდა და მხიარული ამბავი მომიყვა:

– ჩემი ახალგაზრდობის დროს კვაისაში მხოლოდ ამბროლაურის ღვინოს ვსვამდით. მაშინ რაჭაში ხუმრობდნენ, – ქუთაისი უფრო დიდი ქალაქია თუ კვაისაო? კვაისაო – ამტკიცებდნენ რაჭველი მეღვინეები, – სამჯერ მეტ ღვინოს ყიდულობენ ისინი, ვიდრე ქუთაისლებიო...

კვაისა-ონის გზაზე ჩავუარეთ ირის ბარიტის წარმოების მკვდარ კორპუსებს.

გზაზე მანქანებისა და მგზავრების სიმცირეა.

ამბროლაურში გუბერნატორის პირველ მოადგილეს დავით დარახველიძეს ვეწვიეთ. კარგად მიგვიღო. ძალზე საინტერესო პიროვნება აღმოჩნდა. დიდხანს ვისაუბრეთ. გავიხსენეთ საბჭოთა პერიოდიც, ქართულ-ოსური კონფლიქტის ავადმოსაგონარი დღეებიც...

გულისტკივილით ვილაპარაკეთ ცხინვალი-კვაისა-ონი-ამბროლაურის გზის მდგომარეობაზე, კვაისისა და „ირის" საწარმოთა პრობლემებზე, მიწისძვრის შედეგებზე.

რაღა თქმა უნდა, ვისაუბრეთ ამბროლაურში ჩვენი ასვლის ძირითად მიზანზეც – რაჭის ღვინის საწარმოებთან კონტრაქტის გაფორმებასა და ამბროლაურის ღვინოების რეალიზაციაზე ცხინვალში.

ცხინვალიდან სტუმრები ხშირად არ გვაწუხებენო, – თქვა დავით დარახველიძემ და ღვინის ორი საწარმოს დათვალიერება და მეღვინეებთან საუბარი შემოგვთავაზა.

ამბროლაურის ღვინის ქარხანაში „ხვანჭკარისა" და „ალექსანდროულის" დეგუსტაცია და მეღვინეებთან საუბარი მოკლე დროში მოვამთავრეთ, ხოლო ხვანჭკარის ღვინის ქარხანაში დეგუსტაცია და მეღვინეებთან საუბარი პურ-მარილში გადაიზარდა...

სუფრას ძველი პარტიული მუშაკი თენგიზ ველიაშვილი თამადობდა, რომელიც ახლა გუბერნატორის ადმინისტრაციაში მუშაობს. მან თბილად მოიგონა ცხინვალელი თანაკურსელები, რაჭველებისა და ოსების მეგობრობა, ნათესაობა, მეზობლობა. გავიხსენეთ კვაისისა და ირის საწარმოები, სადაც თბილისელი, ცხინვალელი, რაჭველი და კვაისელი მშენებლები გვერდიგვერდ შრომობდნენ. გავიხსენეთ რაჭველი ვარლენას სასაუმე კვაისაში და ოსი სადულას „ჩუდესნიკი" ქართულ სოფელ თამარაშენში.

.. თამადამ სუფრა დაამთავრა წმინდა გიორგის სადღეგრძელოთი. რაჭველებმა გზა დაგვილოცეს და ჩვენც ცხინვალისაკენ გამოვეშურეთ.

გზადაგზა ვსაუბრობდით და დასკვნებიც გამოგვქონდა, რომ კვაისის რეანიმაცია ბიძგს მისცემს რაჭის აღორძინებას, ჯავაში და, კერძოდ, კუდაროს ხეობაში მეცხოველეობის განვითარება დააჩქარებს კავშირის აღდგენას რაჭის მევენახეებთან და მეღვინეებთან. ცხინვალის აღორძინება, რკინიგზის ამოქმედება, ცხინვალი-კვაისა-ონის გზის კეთილმოწყობა კი, აუცილებლად აღადგენს დანგრეულ კავშირებს.

* * *

რაჭაში ყოფნისას მეღვინეებმა მითხრეს, რომ მათ გამოუჩნდნენ ინვესტორები.

კვაისაში კი ახლახანს ამოქმედდა გამამდიდრებელი ფაბრიკა. სამწუხაროდ, ასეთი სასიხარულო ფაქტები ჯერ თითზე ჩამოსათვლელია რაჭა-კვაისის მონაკვეთში.

მაგრამ, რომ დაიწყებოდეს ცხინვალი-კვაისა-რაჭის გზის აღდგენითი სამუშაოები, წარმოდგენილი მაქვს, რა გულთბილ სუფრას გამლიდნენ კვაისელები და რაჭველები. კუდაროს ლამაზ ხეობაში ტრადიციული ოსური ხაბიზგინებით და რაჭული ღვინით შეისმებოდა ოსებისა და ქართველების მეგობრობის აღდგენის სადღეგრძელოები....

**ნოდარ ზადიევი**
**(ზადიშვილი).**

---

### საკვირაო თხოვნა

# დეპუტატმა ბორის ნემცოვმა ყმაწვილს „ბოტასები" შეუძინა, მიბაძავს მას პარლამენტარი მიხეილ სააკაშვილი?

მიმდინარე წლის 21 ივნისის გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა" წერდა, თუ როგორ დაეხმარა ნიჟნინოვგოროდელ ლიომა ლატიშევს „საკუთარი სათათბიროს დეპუტატი" ბორის ნემცოვი. საქმე ის გახლავთ, რომ ორი მეტრის სიმაღლის ლიომა ატარებს 51 ზომის ფეხსაცმელს. ეს კი დიდი პრობლემაა, რადგან ასეთი ფეხსაცმლის შოვნა პრაქტიკულად შეუძლებელია.

ყველაზე დიდი ფეხსაცმელი, რომელიც ლიომამ ბაზრობაზე იშოვა, პატარა მოუვიდა. ალბათ, ყმაწვილს ფეხმიშველი მოუწევდა სიარული, რომ არ ერჩიათ მისი მშობლებისათვის მიემართათ „თავისი" დეპუტატისათვის. ბორის ნემცოვმა ეს თხოვნა გულთან ახლოს მიიტანა და ნაცნობ მეწარმეებს თხოვა. სასურველი „ბოტასები" რუსეთის კალათბურთელთა ნაკრებს შემთხვევით აღმოაჩნდა. რამდენიმე დღის წინათ ნემცოვმა იგი ლიომას გადასცა.

ძვირფასო ბატონო მიხეილ, თქვენ საარჩევნო ოლქში ცხოვრობს და თქვენ ხმა მოგცათ პარლამენტის დეპუტატად არჩევის დროს საქართველოს ჩემპიონმა ფრენბურთში, საზღვარგარეთის ტურნირების პრიზიორმა 20 წლის ვახტანგ ჩიქოვანმა. ეს ქართველი ჭაბუკი 2 მეტრის სიმაღლისაა და ასევე 51 ზომის ფეხსაცმელს ატარებს, თანაც ლიომას ბედს შენატრის, რადგან რუსეთში გამოჩნდნენ გულისხმიერი მეწარმეები, ჩვენში კი... თბილისის მაღაზიებში ასეთი ზომის ფეხსაცმლის ძებნა მხოლოდ ღიმილსა და გაოცებას იწვევს, განა, ასეთი ზომის ფეხსაცმელი არსებობს ქვეყანაზეო?

ამ დღეებში ვახტანგ ჩიქოვანი თურქეთში მიემგზავრება საერთაშორისო ასპარეზობაზე. სამწუხაროდ, მას გაცვეთილი „სპორტულებით" მოუწევს თამაში, რომელიც ორი წლის წინათ დიდი გაჭირვებით შეიძინა მოსკოვში.

სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ მივმართოთ „საკუთარ" დეპუტატს – მიხეილ სააკაშვილს, იქნებ, მანაც მიბაძოს ნემცოვს და გაახაროს ახალგაზრდა სპორტსმენი, რომელიც დიდ სპორტში ახლა დგამს გადამწყვეტ ნაბიჯებს და მცირეოდენი დახმარებაც კი დიდ სტიმულს მისცემს.

**ლამარა გაგუა,**
**საქინფორმის კორ.**

---

### წითელი ჯვარი

# სხვას ეხმარება, თვითონ კი დახმარება სჭირდება

## ნომრის სტუმარია საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდენტი ნოდარ ცქიტიშვილი.

**ნოდარ ცქიტიშვილი დაიბადა 1954 წელს.**

**1976 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სანიტარიულ-ჰიგიენური ფაკულტეტი.**

**1976-84 წლებში მუშაობდა შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.**

**1986 წელს აირჩიეს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ. 1992 წლიდან დღემდე არის საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდენტი.**

**ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და ორი შვილიშვილი.**

**– ბატონო ნოდარ, როდიდან იწყება საქართველოს წითელი ჯვრის ორგანიზაციის ისტორია?**

– დამოუკიდებელი საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ოფიციალურად 1918 წელს გაფორმდა.

1923 წლიდან იგი საკავშირო წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა ალმასკომში გაერთიანდა.

1991 წლიდან საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება კვლავ დამოუკიდებელ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა, ხოლო 1997 წლის ნოემბრიდან მსოფლიოს საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციის წევრია.

**– რა შეიცვალა 1918 წლიდან მოყოლებული?**

– ძალიან ბევრი რამ. დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირებამ ხელი შეუწყო ეროვნული საზოგადოების დამოუკიდებელ ორგანიზაციად ჩამოყალიბებას. დამოუკიდებლობის პერიოდი, ეროვნული საზოგადოების არსებობისა და საქმიანობის ერთ-ერთ პრესტიჟულ ხანად ითვლება. საავადმყოფოები, პოლიკლინიკა, კბილის სამკურნალო კაბინეტი, აფთიაქები, სანჰიგიენის მაღაზია და ჯიხურები, ამპულების წარმოება, საპარიკმახეროები, ჰიგიენის სახლი, სამრეცხაოები, სკიპიდარის, ქაფურისა და სამედიცინო ზეთის ქარხნები, დეზსადგური, წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა – აი, არასრული ჩამონათვალი იმ ქონებისა, რასაც ეროვნული საზოგადოება დამოუკიდებლობის პერიოდში ფლობდა.

1936-38 წლებში საკავშირო მთავრობის დადგენილებით, ეროვნულ საზოგადოებას ჩამოერთვა ეს საკუთრება და 186 შენობა-ნაგებობა და სხვადასხვა უწყება გადაეცა.

მიუხედავად ამისა, იგი მაინც განაგრძობდა საქმიანობას და ბოლომდე ერთგული დარჩა წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო მოძრაობის პრინციპებისა.

**– საერთაშორისო მოძრაობა ახსენეთ და, ალბათ, ღირს ამ საკითხზე შეჩერება...**

– დღეისათვის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაცია თავის დიდ ოჯახში 176 ქვეყნის ეროვნულ საზოგადოებას აერთიანებს, მათ შორის საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასაც, რომელსაც ეს პატივი სამიოდე წლის წინ ერგო და შესაბამისად პასუხისმგებლობა და მისიაც გაგვეზარდა.

1992 წელს საქართველოში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლობა გაიხსნა, ერთი წლის შემდეგ კი ჩვენთან წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლობაც შეიქმნა.

ომი, დანგრეული ეკონომიკა, ასეულ ათასობით საკუთარი კერიდან აყრილი ადამიანი, ინფლაცია, დაცარიელებული ხაზინა, ენერგეტიკული კრიზისი, თვეობით მიუღებელი ხელფასები და პენსიები.... ყოველივე ზემოთქმულს, ჩვენი ეროვნული საზოგადოებისათვის უკვალოდ არ ჩაუვლია და იგი დამლის პირამდე მივიდა.

სწორედ ამ დროს გამოჩნდნენ ჩვენი უცხოელი კოლეგები. მათი თანადგომით შევძელით ფეხზე დადგომა.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციის მხარდაჭერით ბევრი საინტერესო და საჭირო პროგრამა განხორციელდა. იძულებით გადაადგილებული პირები, მარტოხელა, მზრუნველობას მოკლებული ადამიანები, შეჭირვებული ოჯახები, ინვალიდი, ობოლი ბავშვები – აი, ის ძირითადი კონტინგენტი, ვისთანაც ჩვენ ვმუშაობთ და ვინც ჩვენი საფიქრალი და საზრუნავია.

**– და მაინც, რომელ სფეროს მიანიჭებდით პრიორიტეტს?**

– მიჭირს ამ სფეროების ერთმანეთისაგან დაშორება, მაგრამ სამედიცინო მომსახურება, ალბათ, ჩვენი ეროვნული საზოგადოებისათვის პრიორიტეტულ და ტრადიციულ მიმართულებად ითვლება.

მარტოხელა მოხუცთა ბინაზე მომსახურების პროგრამა ყველაზე გაჭირვებული, საკუთარი თავის მოვლის უუნარო 3.000 საპენსიო ასაკის ადამიანის სამედიცინო და სოციალურ მომსახურებას გულისხმობს. ეს პროგრამა ჩვენი ქვეყნის 28 მსხვილ ქალაქსა და რაიონულ ცენტრში ხორციელდება, თბილისსა და ქუთაისში მუშაობს მარტოხელა მოხუცთა თერაპიული პროფილის სტაციონარები, ქალაქ რუსთავში – მარტოხელა მოხუცთა პანსიონატი. ყოველთვიურად სტაციონარულ მკურნალობას გადის 45-50 მარტოხელა, ხოლო რუსთავის პანსიონატის 35 საწოლი მუდმივად დატვირთულია. ამასთან, ვფიქრობთ პანსიონატის შესაძლებლობების გაფართოებას.

განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ არის სამეგრელოს რეგიონი. რეგიონის რვა რაიონულ ცენტრში განსახლებული საკუთარი თავის მოვლის უუნარო 5000 იძულებით გადაადგილებული ყოველთვიურად ბინაზე მიტანით 5-კილოგრამიან საოჯახო ამანათს ღებულობს. პროგრამაში 80 მოწყალების დაა ჩართული, რომელთა ნახევარი იძულებით გადაადგილებულ პირთა კონტინგენტიდან არის შერჩეული.

მოწონებით სარგებლობს პირველი დახმარების შემსწავლელი სასწავლო ცენტრების პროგრამა. პროგრამის ფარგლებში შემუშავდა და გამოიცა პირველი დახმარების ქართული სახელმძღვანელო, ყველა რეგიონულ ცენტრში გვყავს პირველი დახმარების ინსტრუქტორები, მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებთან ფასიანი სასწავლო კურსის გაელის თაობაზე (რა დასამალია და ჩვენი საზოგადოება არ არის სათანადოდ ინფორმირებული პირველი სამედიცინო დახმარების ცოდნის აუცილებლობის თაობაზე).

– დღეს იმდენად სწრაფად ვითარდება მოვლენები, რომ ძნელია გადაჭრით თქვა, ეს არ არის ჩვენი პროფილი და არ ეძებო ახალი, ანუ ის, რაც ცხოვრებამ მოიტანა.

– ვინ წარმოიდგენდა, რომ ეროვნული საზოგადოება ასე ღრმად ჩაწვდებოდა იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემებს. დღეისათვის საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მიგრაციის დეპარტამენტში იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდასაჭერად სამი პროგრამა სრულდება: საზოგადოებრივი განვითარების, მოსახლეობის მიგრაციისა და მობილურ-ტექნიკური ჯგუფების პროგრამა. თითოეული პროგრამა ძალიან საინტერესოა და რაც მთავარია, ამ პროგრამებში გაერთიანებულ იძულებით გადაადგილებულ პირებს საზოგადოებაში საკუთარი თავის დამკვიდრების, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და ადაპტაციის შესანიშნავი საშუალება ეძლევათ.

გასული წლის ბოლოს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებაში წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციის თანადგომით საგანგებო სიტუაციებისათვის მზადების პროგრამის შესრულება დაიწყო. მიზანი გამოკვეთილია: ჩვენს ხელთ არსებული საშუალებებისა და შესაძლებლობათა, ადამიანური და მატერიალური რესურსების მობილიზება და განვითარება, რათა საგანგებო სიტუაციის დროს შევძლოთ დროული და ეფექტური რეაგირება.

**– თქვენ ბევრს ეხმარებით, მაგრამ თქვენ თუ გეხმარებიან?**

– მთავრობისა და პარლამენტის თანადგომა არ გვაკლია, მაგრამ უფრო მეტი მხარდაჭერა გვჭირდება. პრივატიზაციის პროცესმა დიდი პრობლემები შეგვიქმნა. დღეისათვის წითელ ჯვარს ჩვენი ქვეყნის თითქმის არც ერთ რაიონში ოფისი არა აქვს, ფაქტობრივად, ქუჩაში დავრჩით. სწორედ ამ მხრივ გვჭირდება ხელისუფალთა თანადგომა.

ჩვენ თავს ვიწონებთ უცხოელი კოლეგების თანადგომით, მაგრამ სად გაქრა ქართული ქველმოქმედების სული? საბედნიეროდ ცოტა, მაგრამ მაინც არიან ადამიანები, რომლებსაც გული შესტკივათ და უბრალოდ, სურთ სიკეთის კეთება. სწორედ ასეთი ადამიანების იმედი გვაქვს და გვჯერა, კვლავაც გამოჩნდებიან საქართველოში სარაჯიშვილები და ზუბალაშვილები.

ესაუბრა
**ქეთევან ვაშაკიძე.**

---

### რეგიონი

## დიდი საიუბილეო თარიღები

საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000, ქრისტეშობის 2000 და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის 1500 წლისთავს მიეძღვნა ღონისძიებები, რომლებიც 17-18-19 ივნისს გაიმართა ახალციხეში.

თამარ მეფის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე საზეიმოდ აღინიშნა წმინდა ანდრია პირველწოდებულისა და წმინდა ნინოს გზებზე მომლოცველთა ჯგუფის შეხვედრა. ანდრია პირველწოდებულის გზის მომლოცველებმა მსვლელობა 14 მაისს სოფ. გონიოდან დაიწყეს, ხოლო წმინდა ნინოს გზით მომლოცველებმა – 1 ივნისს სოფ. ფოკიდან. ბუნებრივია, შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ორივე გზით მომლოცველები ერთმანეთს ახალციხეში შეხვდნენ, ისტორიული ტრადიციის თანახმად, საქართველოში ქრისტიანობის დამყარება ხომ სწორედ ამ კუთხიდან მოხდა.

ღონისძიება სამი დღე გრძელდებოდა. რაბათის წმინდა მარინეს სახელობის ტაძარში საზეიმო მსვლელობა და სულთმოფენობის სადღესასწაულო წირვა-ლოცვის აღვლენის შემდეგ მრევლმა მესხეთის დრამატულ თეატრში გადაინაცვლა, სადაც წარმოდგენილი იქნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსპერიმენტული თეატრ-სტუდიის „მერმისის" სპექტაკლი, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის ლიტერატურული კომპოზიცია „წმიდა ნინოს ცხოვრება", გაიმართა საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის კონცერტი, რამაც მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ქრისტეშობის 2000 და საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავს მიეძღვნა სამეცნიერო კონფერენცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალში.

სადღესასწაულო ტურნე მესხეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში პატრიოტული ფილმების ჩვენებით დასრულდა. 20 ივნისს კი წმინდანთა გზებზე მომლოცველები საზეიმოდ გააცილა ახალციხემ.

## ნავთობსადენის დაცვისათვის შეარჩიეს

სამცხე-ჯავახეთის მხარეში გაივლის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ძირითადი მაგისტრალი. ეს მშენებლობა სამცხე-ჯავახეთს უდიდეს პერსპექტივებს ჰპირდება, როგორც შემოსავლების თვალსაზრისით, ასევე ადგილობრივი მუშახელის დასაქმების მხრივ, ცოტა ხნის წინათ ნავთობსადენის დაცვის სამსახურისათვის მხარიდან წინასაკონკურსოდ შეირჩა ასი ახალგაზრდა, ადგილობრივი მუშახელი დასაქმდება ინფრასტრუქტურის სფეროშიც.

## ქართული ენა უნდა ისწავლონ

პრეზიდენტის რწმუნებულმა სამცხე-ჯავახეთში გიგლა ბარამიძემ კატეგორიული მოთხოვნით მიმართა სახელმწიფო სამსახურებში მომუშავე არაქართველ ხელმძღვანელ მუშაკებს. სახელმწიფო ენის ცოდნის აუცილებლობის შესახებ. დაითქვა კონკრეტული ვადა: სახელმწიფო ენა არაუგვიანეს ერთი წლის განმავლობაში უნდა შეისწავლოს ენის არამცოდნე ყველა ხელმძღვანელმა პირმა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე, ისინი დაუყოვნებლივ განთავისუფლდებიან დაკავებული თანამდებობიდან.

## მოქმედებს „ნდობის ტელეფონი"

მოსახლეობაში არსებულ პრობლემებზე ოპერატიულად რეაგირებისათვის სამხარეო ადმინისტრაციაში ამოქმედდა ე. წ. „ნდობის ტელეფონი". ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა, შესაბამის სამსახურებთან ერთად, ცდილობს სათანადო რეაგირება მოახდინოს პრობლემათა დროული გადაჭრისათვის, კონკრეტული დახმარება გაუწიოს „ნდობის ტელეფონის" თითოეულ აბონენტს. მოსახლეობა ამგვარი ურთიერთობით კმაყოფილია.

## უამინდობის მიუხედავად

დღეის მდგომარეობით მხარეში სულ დათესილია საგაზაფხულო კულტურები 45625 ჰექტარზე, ანუ პროგნოზით გათვალისწინებულის 92,2 პროცენტზე. დავალიანების შესრულებას აკლია 3872 ჰექტარი. ამინდების არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მხარეში ნორმალური რიტმით მიმდინარეობს.

**ვერიკო მოდებაძე.**

## კორუფციის წინააღმდეგ

# ტყავის ბურთის წახნაგები

(მესამე გვერდიდან)

ამჟამად შპს „საფეხბურთო კლუბ „თბილისის დინამოში“ დოკუმენტური რევიზია მიმდინარეობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მოწვეული სპეციალისტები სწავლობენ 1996-2000 წლებში კლუბიდან საზღვარგარეთ გაყიდული ფეხბურთელების სატრანსფერო თანხების მოძრაობას. კლუბი „თბილისის დინამო“ სისტემატურად ყიდდა ფეხბურთელებს ევროპის ქვეყნებში, მათ შორის ინგლისსა და გერმანიაში, საიდანაც დიდი შემოსავალი უნდა მიეღო, მაგრამ მიუხედავად ამისა, კლუბი დღეს უმძიმეს ფინანსურ კრიზისშია.

ოი, საკვირველებავ! ქვეყნის ძვირადღირებულ საკუთრებას, აქაოდა, უდიდესი გაჭირვების გამო ყიდი, მაგრამ არც ქვეყანას და არც საქმეს იოტისოდენადაც არ ეხიდები...

**კლუბი „თბილისის დინამო“ სისტემატურად ყიდდა ფეხბურთელებს ევროპის ქვეყნებში მათ შორის ინგლისსა და გერმანიაში, საიდანაც დიდი შემოსავალი უნდა მიეღო, მაგრამ მიუხედავად ამისა, კლუბი დღეს უმძიმეს ფინანსურ კრიზისშია.**

მაშინ რიღასთვის?

— კლუბის ოფისში არ აღმოჩნდა არც ერთი სატრანსფერო კონტრაქტი, მათ შორის ალექსანდრე იაშვილის, ლევან ცქიტიშვილისა და ლევან კობიაშვილის, რომლებიც 1997-1998 წლებში გაიყიდნენ გერმანიის ბუნდესლიგის საფეხბურთო კლუბ „ფრაიბურგში“. ამდენად, გამოძიებამ ჯერჯერობით ვერ შეძლო დაედგინა მათი გაყიდვის შედეგად მიღებული თანხის ოდენობა.

ამ მიმართულებით მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა და იმედია, გამოძიება უმოკლეს დროში წარმოაჩენს სატრანსფერო კონტრაქტების სრულ სახეს. ჯერჯერობით კი, იმის თქმა შეიძლება, რომ პირველი კონტრაქტის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერს თბილისის „დინამოს“ მაშინდელი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, საფეხბურთო კლუბ „ალანიას“ „დინამოსათვის“ 1998 წლის 1 ოქტომბრამდე უნდა გადაეხადა 320000 აშშ დოლარი. აღნიშნული კონტრაქტის მე-6 პუნქტში მითითებულია, რომ გიორგი დემეტრაძის საფეხბურთო კლუბ „ალანიიდან“ სხვა კლუბში გაყიდვის შემთხვევაში თბილისის „დინამოს“ უნდა მიეღო სატრანსფერო თანხის 50 პროცენტი. „ალანიის“ მხრიდან კონტრაქტზე ხელს აწერს კლუბის დირექტორი ბათრაზ ბითაროვი. გ. დემეტრაძე, 1999 წელს „ალანიიდან“ კიევის „დინამოში“ გადავიდა. გამოძიებას აქვს ინფორმაცია, რომ მასში 3 მილიონი აშშ დოლარია გადახდილი.

მეორე კონტრაქტი, ასევე 1998 წლის 2 ივლისითაა დათარიღებული, მასზე ხელს აწერს თბილისის „დინამოს“ ვიცე-პრეზიდენტი მერაბ რატიანი. კონტრაქტში აღნიშნულია, რომ „ალანიამ“ თბილისის „დინამოს“ გ. დემეტრაძეში უნდა გადაუხადოს 720000 დოლარი. ამავე კონტრაქტის მე-6 პუნქტში აღნიშნულია, თბილისის „დინამოს“ უფლება არა აქვს გ. დემეტრაძის სხვა კლუბში გადასვლიდან მიღებული სატრანსფერო თანხა მოითხოვოსო. „ალანიის“ მხრიდან კონტრაქტს ხელს ისევ კლუბის დირექტორი ბ. ბითაროვი აწერს.

გარდა ამისა, გამოძიებას აქვს კლუბ „ალანიაში“ გაგზავნილი წერილის ქსეროასლი მერაბ ჟორდანიას ხელმოწერით, სადაც იგი ითხოვს გ. დემეტრაძის სატრანსფერო თანხიდან 70000 დოლარის ვლადიმერ გუცაევის პირად ანგარიშზე გადარიცხვას გერმანიის ქ. ვისბადენში და მიუთითებს ანგარიშის ნომერს, თუმცა, როგორც ირკვევა, ვლადიმერ გუცაევი 1992 წლიდან დღემდე არ ყოფილა კლუბის თანამშრომელი და არც შრომითი ხელშეკრულება ჰქონია მათთან გაფორმებული.

**— ამბობენ, რომ ვლადიმერ გუცაევი „დინამოსა“ და „ალანიას“ შორის სატრანსფერო ბაზრის ნოქართუხუცესად მოიაზრება...**

— გამოძიება გაარკვევს. 1998 წლის 17 აგვისტოს კი აღნიშნული თანხა გადარიცხულია ვ. გუცაევის პირად ანგარიშზე გერმანიაში. იმავე დღეს საფეხბურთო კლუბ „ალანიიდან“ შვეიცარიაში, ქ. ჟენევაში განთავსებულ „ფინანსბანკში“ გადარიცხულია 130 000 აშშ დოლარი, ხოლო 26 აგვისტოს საქართველოს ბანკის ჩუღურეთის ფილიალში ს/ს „მზიურის“ ანგარიშზე გადარიცხულია 100 000 დოლარი. ამ შემთხვევაში ორივე თანხა გადარიცხულია მერაბ რატიანის მითითებით.

შპს „საფეხბურთო კლუბი „თბილისის დინამოს“ ბუღალტერიის მონაცემებით საზღვარგარეთ კლუბს ანგარიში გახსნილი არა აქვს, გარდა ამისა, მ. რატიანს „ალანიიდან“ 1998 წლის 6 აგვისტოს ხელზე მიღებული აქვს 128000 აშშ დოლარი.

აღნიშნული და სხვა სატრანსფერო თანხების კლუბის ბუღალტერიაში მიღების რეალობას, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სწავლობენ ფინანსთა სამინისტროდან მოწვეული სპეციალისტები, მაგრამ როგორც ბატონი ზურაბი ამბობს, საკითხის შესწავლას ისიც ართულებს, რომ კლუბის ბუღალტერიიდან ამოღებული შემოსავლის ორდერებში კონკრეტულად არ არის მითითებული, თუ ვის მიერ და რა თანხაა შეტანილი კლუბის სალაროში.

იმასაც დასძენს, რომ გასული წლების განმავლობაში ფეხბურთელების ტრანსფერების საკითხს სწავლობდნენ სხვადასხვა მაკონტროლებელი ორგანოები, თუმცა ბოლომდე მაინც არ არის შესწავლილი. საუბრის დასასრულს კი საგამოძიებო დეპარტამენტის თავმჯდომარემ გულისტკივილით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოთქმულზე საგამოძიებო მასალებს ტელეარხ „რუსთავი-2“-ის პროგრამა „60 წუთის“ ჟურნალისტები საფუძვლიანად გაეცნენ შინაგან საქმეთა სამინისტროში, მაგრამ, რატომღაც საკითხი გაშუქდა ზერელედ და არასრულად.

**იმედია, შინაგან საქმეთა სამინისტრო ბოლომდე მიიყვანს ამ საქმეს და კონკრეტულ დამნაშავეებსაც ამხელს, სამართალი იზეიმებს და ქართულ ფეხბურთს იმ საეჭვო რეპუტაციის მქონე პირებს ჩამოაცილებს, ვინც განადგურებამდე მიიყვანა ქართული ფეხბურთი, მაგრამ წამოდგება თუ არა ფეხზე ძირს დანარცხებული ქართული ფეხბურთი, ამის გარანტიას ვინ მოგვცემს?**

**იქნებ მოიძებნოს ვინმე, ეროვნული საქმის კეთებისათვის შემართულ-მოწოდებული გულიანი ერისკაცი, რომელიც გუნდს ძველ დიდებას დაუბრუნებს?**

**ერთი სიტყვით, გვჭირდება კაცი, რომელიც ბურთს საკუთარ კარში არ გაიტანს!**

**რუსუდან ლორთქიფანიძე.**

## განვიხილავთ კანონპროექტს

# თუ პროფესიონალები წავლენ, ვის ვუტოვებთ ადვოკატურას?

„საქართველოს რესპუბლიკაში“ მრავალ კანონპროექტს გავეცნობივართ, მათ შესახებ მკითხველთა შენიშვნებს, რომელთაგან ზოგიერთი გაუზიარებია კიდეც პარლამენტს, დახვეწილა კანონი და, ამდენად, სასარგებლო გამხდარა აზრთა ასეთი გაზიარება. აი, გაზეთის მიერ 11 ივნისს გამოქვეყნებული კანონპროექტი „ადვოკატურის შესახებ“ კი იმდენად უვარგისია, იმდენი ლაფსუსი გააჩნია, რომ თუ ძირეულად არ შეიცვალა და არ გადამუშავდა, შენიშვნების გამოთქმა ვერაფერს უშველის.

საოცარია, ვის მიერ არის შექმნილი ასეთი კანონპროექტი? განა შეიძლება ასეთი მარტივი საზოგადოებრივი ორგანიზაციის სამოქმედოდ ასეთი რთული პროექტი მოამზადო და წარუდგინო საზოგადოებას განსჯისათვის?

საგაზეთო პუბლიკაციაში ძნელია ყველა დეტალი განიხილო და თვალსაჩინო გახადო ავტორის თუ ავტორთა კოლექტივის შეცდომები. თუ მათ მიზნად დაუსახავთ დამალონ და გაანადგურონ საუკუნოვანი ასაკის ადვოკატთა კოლექტივი, მაშინ გასაგებია ყოველივე.

სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, განა შეიძლება ადვოკატურის ბედი მიანდო და გადააწყვეტინო სახელმწიფო დაწესებულებას? მამ, რას ნიშნავს იუსტიციის საბჭოს მიერ ადვოკატებისათვის გამოცდების ჩატარების მინდობა? როცა იუსტიციის საბჭომ მოსამართლეთა გამოცდებს უხელმძღვანელა და აპირებს პროკურატურის ორგანოების მუშაკთა გამოცდების ორგანიზებას, კიდევ გასაგებია, მაგრამ რა ესაქმება ამ სახელმწიფო წარმონაქმნს ადვოკატურასთან? ადვოკატურა ხომ სახელმწიფო წარმონაქმნი არ არის, იგი გათავისუფლებულია ყოველგვარი სახელმწიფოებრივი ზეწოლისაგან და, მაშასადამე, გამოცდების ჩატარებისაგანაც. და, საერთოდ, რა შუაშია ადვოკატისთვის გამოცდების შემოღება? ჩანს არის ადამიანთა კატეგორია, რომლებსაც გამოცდები თვითმიზნად დაუსახავთ.

ჩვენთან ხომ დაწესებული არ არის ასაკობრივი ცენზი და ადამიანებს, რომლებიც 30-50 წელიწადია ღირსეულად უძღვებიან თავიანთ მოვალეობას, ამჟამად გამოცდები უნდა ჩააბარებინონ. არ არის ეს პარადოქსი?

საკითხავია, მონაწილეობდნენ თუ არა იურისტები ამ პროექტის შექმნაში? თუ მონაწილეობდნენ, უნდა სცოდნოდათ, რომ ადვოკატის ცოდნის დონის შემფასებელია ხალხი, კლიენტი, რომელსაც იგი იცავს და არა სახელმწიფო დაწესებულება. კლიენტი არ დაუწყებს ძებნას, გამოცდაჩაბარებულ ადვოკატს, არამედ მიადგება იმას, ვისაც ავტორიტეტი აქვს და იცნობენ როგორც თავისი საქმის პროფესიონალს.

ადვოკატთა რიგებშიც, როგორც ყველგან, საკმაოდ არიან არაპროფესიონალები, მაგრამ მათი გაცხრილვა შეუძლია პრეზიდიუმს ლიცენზირების, ან სხვა რამ მოდელის შემუშავებით.

ავიღოთ ადვოკატთა წრე, რომელთა ზურგზეც დგას წლების განმავლობაში ადამიანთა უფლებების და თავისუფლებების დაცვა: გოგმარ გაბუნია, ვახტანგ კაჭახიძე, ზურაბ ტაბიძე, ლადო ბარათაშვილი, ვახტანგ კერესელიძე, გოგი მოვსესიანი, დიმიტრი დოიჯაშვილი, სოსო ბათიაშვილი, ნოდარ ნებიერიძე, მურთაზ სამუშია, თემურ გოქსაძე, თემურ გვიშიანი, ვალო ქირია, ბაჭუა გაჩეჩილაძე, გოჩა სევანიძე და კიდევ სხვები, ყველას ჩამოთვლა მიჭირს. დავუშვათ, მათ ვერ ჩააბარეს გამოცდები, რა მოხდება? ადვოკატთა კორპუსში დარჩება სიცარიელე.

განსაკუთრებით უვარგისია ადვოკატურის მართვის, მისი ორგანიზაციის ისეთი რთული და ძვირადღირებული სისტემა, რომელსაც პროექტი გვთავაზობს. ამჟამად ადვოკატურის 1200-კაციან კოლექტივს მართავს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი. პრეზიდიუმის შემადგენლობიდან მხოლოდ თავმჯდომარეს და მოადგილეს აქვთ დანიშნული ხელფასი.

რას გვთავაზობს პროექტი? საორგანიზაციო კომიტეტს, ადვოკატთა პალატებს, აღმასრულებელ საბჭოს, სადისციპლინო საბჭოს, სარევიზიო კომისიას, საერთო კრებას, ადვოკატთა რაღაც კონფერენციას. რა საჭიროა ამდენი საბჭოები, კონფერენციები და კრებები? რამდენი თანხა დაიხარჯება უმიზნოდ მათ შენახვაზე?

23-ე მუხლის „ე“ პუნქტის მიხედვით პალატა ორგანიზებას უწევს და ატარებს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდებს. 33-ე მუხლის „დ“ პუნქტის მიხედვით კონფერენცია ამტკიცებს საკვალიფიკაციო პროგრამას, გამოცდების ჩატარების წესს და საგამოცდო კომისიის დებულებას. მუხლი 37-ე, პუნქტი „ბ“ – საორგანიზაციო კომიტეტი კოორდინაციას უწევს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების მომზადებას და ჩატარებას.

ხედავთ, როგორ არის მიმობნეული მთელი ეს ერთი საქმიანობა სხვადასხვა სტრუქტურაში?

პროექტის ავტორებს ადვოკატურა დაუყვიათ სამ სხვადასხვა ჯგუფად: ადვოკატთა ბიურო, საადვოკატო ფირმა და ადვოკატურა. გაურკვეველია ასეთი დაყოფის მიზანშეწონილება და მათი ერთიანი მართვის მექანიზმი. აშკარაა შემოსავლების შენიღბვის და საგადასახადო სისტემის უზუსტობა, მათი კონტროლის მექანიზმი საერთოდ იგნორირებულია.

კანონპროექტი ხმარობს ტერმინს „ადვოკატურა“. ეს გასაგებია, მაგრამ რატომ უბრუნდება ათასჯერ დაწუნებულ დასახელებას „იურიდიული კონსულტაცია“? ესაა კალკი რუსულიდან და დაუსრულებელი დასახელება. განა მხოლოდ კონსულტაციაა ადვოკატის საქმიანობა?!

მუხლი მე-19 მოიცავს თავს – იურიდიული კონსულტაცია და ხმარობს ამ ტერმინს. მუხლი 21-23 ლაპარაკობს ადვოკატთა პალატებზე და ხმარობს მხოლოდ ტერმინს – „ადვოკატურა“. ეს საკითხი ასეა აღრეული მთელს კანონპროექტში. ასეთი ლაფსუსი და ხარვეზები ბევრია.

გამაოცა ახალგაზრდა, მაგრამ უკვე პროფესიონალი ადვოკატების იმიჯის მქონე ზვიად კორძაძის და კობა დავითაშვილის პოზიციამ, რომელიც მე-9 არხით მოვისმინე. გამაოცა იმან, რომ ასეთი დონის ადვოკატები ამ პროექტს მხარს უჭერენ.

მადლობა ღმერთს, პრესა ხელს გვიწყობს, უარს არ გვეუბნებიან გამოვაქვეყნოთ ჩვენი შენიშვნები. მთავარია, ისინი უყურადღებოდ არ დარჩეს.

**ოთარ ბერიშვილი.**

## სხვისი პუბლიკაცია

# აბდულას ბედი

**საქართველოში პოლიციელები მის მანქანას სალამს უღებენ, როგორც პრეზიდენტის ავტომობილს. მას სამუშაოდ იწვევენ პარლამენტში, ხალხი მიმართავს სხვადასხვა სათხოვრით. მას ყველა პატივს სცემს და ყველას უყვარს. იგი ნამდვილი სახალხო არტისტია. რუსთაველის თეატრში, სადაც სტუდენტი მივიდა 1957 წელს, კახი კავსაძე დღესაც მუშაობს, უკვე 43 წელიწადია. თავისი პროფესიის ერთგულება, ერთადერთი ცოლის ერთგულება, სამშობლოსა და იდეალების ერთგულება, ეს მისი იდეალია. ალბათ, ამიტომ დგას განზე პოლიტიკისაგან. თუმცა, ძალზე ყურადღებით ადევნებს თვალს ქვეყანაში მიმდინარე ამბებს.**

**— მე არ მომწონს პარტიაში ყოფნა, ვისიმე მხარეზე — უმრავლესობის ან უმცირესობის მხარეზე ყოფნა; მე მინდა, განზე ვიყო. აკი ყველანი, პარლამენტარებიც კი, ჩემი მაყურებლები არიან. მაშინაც კი, თუ არ ვეთანხმები მათ აზრს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მათ პატივს არა ვცემ. მე არ შემიძლია, უყურადღებოდ დავტოვო კაცი. მაქვს წოდება „საქართველოს სახალხო არტისტი“, აქ, რუსეთში, ძალიან უნდათ, რომ მე სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვიყო. ასეც აცნობენ ჩემს თავს ხალხს. არაფერი მაქვს საწინააღმდეგო. ასე რომ, მე საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი გახლავართ“.**

— თბილისში ბაბუაჩემი სანდრო კავსაძე იყო ქართული სიმღერის ყველაზე დიდი გუნდის – საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლის დამაარსებელი. სწავლობდა თბილისის სემინარიაში, სოსო ჯუღაშვილთან ერთად, ეს უკანასკნელი მასთან ერთადაც კი მღეროდა გუნდში. 37-ში ბაბუა სტალინს შეხვდა. მოსკოვში ქართული კულტურის დეკადა მიმდინარეობდა, რომელზეც ბაბუას გუნდიც გაგზავნეს. პირველი, რაც სტალინმა ჰკითხა კრემლში საქართველოს დელეგაციას, „სანდრო სად არისო?“. როცა დაინახა, გაიხარა, გადაეხვია და სიმკაცრენარევი ხუმრობით ჰკითხა: „სანდრო, რატომ შეცვალე მისამღერი? ჩვენ ხომ ასე არ ვმღეროდითო“. ბანკეტზე სტალინმა გუნდთან ერთად იმღერა, დამშვიდობებისას კი ბაბუაჩემს უთხრა: „მე ახლა ძალიან დიდი კაცი ვარ, მთხოვე, რა გინდა საჩუქრად, და მოგცემო“ (ყოფილა, რომ სტალინისათვის მეგობრებს ბინა, ფული, ორდენები უთხოვიათ...) ბაბუაჩემმა იფიქრა, იფიქრა და უთხრა: „მაჩუქე ეს ყალიონი, ხელში რომ გიკავიაო“. სტალინმა თვალი მოჭუტა და გაუღიმა: „ახლა ვხედავ, რომ შენ სულ არ შეცვლილხარო“. ეს ჩიბუხი დღესაც სახლში გვაქვს. ახლაც ასდის თამბაქოს სუნი. თუმცა, სტალინის შემდეგ არავის მოუწევია. ერთი უბრალო, ხისგან გამოჭრილი ყალიონია და გვერდზე აწერია: „ლონდონი“. მაქვს კიდევ სტალინის წერილი, ბაბუას რომ გამოუგზავნა. იმ შეხვედრიდან ცოტა ხნის შემდეგ ბელადმა გაიგო, რომ სანდრო კრემლის საავადმყოფოში წევს, ყელის კიბო აქვს და წერილი გადასცა. კონვერტზე სტალინის ხელით წერია: „ამხანაგ ალექსანდრე კავსაძეს სტალინისაგან“. შიგნით, გერბიან ქაღალდზე ლაკონურად არის დაწერილი რამდენიმე სიტყვა ქართულად: „სანდროს გაუმარჯოს! შემთხვევით გავიგე ეგნატაშვილისაგან, რომ საავადმყოფოში ყოფილხართ. ცუდი ამბავია. მაგრამ მითხრეს, მალე განიკურნებაო. შემომითვალეთ, თუ დახმარება გჭირდებათ და მზად ვარ, შევასრულო თქვენი ყველა სათხოვარი. იცოცხლეთ ათას წელიწადს. თქვენი სოსო. 1937 წელი. 9 სექტემბერი“.

ბაბუას გუნდში მამაჩემი დავითი ლოტბარი და შემსრულებელი იყო. თან – კომპოზიტორი. როდესაც 1939-ში ბაბუა საბოლოოდ ჩაწვა, ხელმძღვანელობა მამაჩემმა იკისრა. მერე კი ომი დაიწყო. მამა ქერჩში იბრძოდა და ტყვედ ჩავარდა. ტყვეობამდე გვწერდა: „ისე გვბომბავდნენ, ზღვა დუღდაო“. მაშინ 35 წლისა იყო და სულ არ მახსოვს. იმ დროს, მე თვითონ ექვსი წლისა ვიყავი. საკონცენტრაციო ბანაკში დიდხანს ავადმყოფობდა, მკურნალობდნენ, მერე შესთავაზეს, შეექმნა ბანაკის გუნდი ქართველი ტყვეებისაგან. ასე გადაწყვიტა მამაჩემმა, გადაერჩინა ადამიანები. მის გუნდში იყვნენ სომხები, რუსები, ებრაელები, აზერბაიჯანელები – საქართველოს წარმომადგენლები. ჩამოივლიდა ხოლმე ბანაკებს და ქართულად აცხადებდა, ხალხი მჭირდებაო გუნდში. ამ გზით ძალიან ბევრი გადაარჩინა. მათ სპეციალურ ბარაკში აბინავებდნენ, გადაჰყავდათ გაძლიერებულ კვებაზე, მკურნალობდნენ. ჩემთან დღესაც მოდიან ქუჩაში უცნობი ადამიანები და მადლიერებით იხსენებენ მამაჩემს. სულ ბოლოს, გამაჩერა ერთმა მოხუცმა ებრაელმა ორ ვაჟიშვილთან ერთად, რომლებსაც უთხრა: „აი, მამამისი რომ არა, თქვენ ამ ქვეყანაზე არ იქნებოდით. ბანაკიდან დავითმა დამიხსნაო“. გადარჩენილთაგან ბევრი საზღვარგარეთ დარჩა: ზოგი ინგლისში, ზოგიც არგენტინასა თუ საფრანგეთში. მათ ეშინოდათ, ტყვეობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. მამაჩემს უჩიჩინებდნენ: „ნუ წახვალ საქართველოში, დაგაპატიმრებენო“. მაგრამ არ დაუჯერა: „რატომ? მე ხომ არაფერი დამიშავებია“. სანამ მოსკოვიდან თბილისს გაემგზავრებოდა, სახლში დარეკა და შეატყობინა, მოვდივარო. დედაჩემმა უკანასკნელი კაპიკებით გაშალა სადღესასწაულო სუფრა. მთელი ოჯახი მეგობრებთან ერთად შეიკრიბა, რათა სადგურში დახვედროდა, მაგრამ მამამ თბილისამდე ვერ ჩამოაღწია. მეზობლებმა თქვეს, სოჭში ვიღაცეები ავიდნენ ვაგონში და მამა თავის ბარგი-ბარხანიანად მატარებლიდან ჩამოსვესო. ამის შემდეგ აღარავის უნახავს. მთელი გზა დედას ხელზე ვექაჩებოდი და ვეკითხებოდი: „რატომ, დედი, რატომ? რატომ დააპატიმრესო?“. მახსოვს, ამან ისე შემაძრწუნა, ლექსიც კი დავწერე სახელწოდებით „რატომ?“. მერე სასამართლო პროცესი დაიწყო. დედა მოსკოვში წავიდა ეგნატაშვილთან, თან წაიღო სტალინის წერილი და ჩიბუხი, მაგრამ უთხრეს, სტალინთან შესვლა შეუძლებელიაო. ერთადერთი, რასაც მიაღწია, – ბინა დაგვიბრუნეს. ჩვენ ხომ მამის დაპატიმრებისა და გაჩხრეკისთანავე გამოგვყარეს სახლიდან.

გავიდა ხანი. დაიწყო გარდაქმნა. ხალხს შესაძლებლობა მიეცა, ეარა მთელ მსოფლიოში ან აქ ჩამოსულიყო. უეცრად, თბილისში გამოგვეცხადა ერთი გერმანელი ქალი. როგორ გვიპოვა, არ ვიცი. გამოირკვა, რომ მამაჩემთან გერმანიაში დიდი რომანი ჰქონია. იგი ბანაკის ჰოსპიტალში მუშაობდა მედდად. იცოდა, რომ მის შვილებს კახი და იმერი ერქვათ. ეს მე და ჩემი ძმა ვართ. როდესაც ვნახე, გავვოცდი – ისე ჰგავდა დედაჩემს. რვა თვეს გრძელდებოდა მათი სამიჯნურო ურთიერთობა. დიდხანს ელოდებოდა მამაჩემისაგან ბარათს, რა იცოდა, რომ სამშობლოში ჩამოსვლისთანავე დაიჭერდნენ. გადაასახლეს სვერდლოვსკის ოლქში, სოსვას სადგურში. 1952 წელს გარდაიცვალა. გადასახლებიდან დაბრუნებულმა ხალხმა ჩამოგვიტანა ყველა ჩვენი წერილი და ფოტოსურათი.

### ქირურგი

ნიჭიერთა მუსიკალურ ათწლედში ვსწავლობდი. მე როიალზე ვუკრავდი, ჩემი ძმა კი ვიოლინოზე. იგი ახლა კრაკოვის ოპერის თეატრში მღერის. პატარაობისას, ბუნებრივია, ძალიან მინდოდა, ოპერის მომღერალი გამოვსულიყავი. ახლაც სიამოვნებით ვუსმენ ხოლმე საოპერო მუსიკას და დიდ სიმფონიურ ორკესტრებს. მაგრამ 14 წლისამ მუსიკას თავი დავანებე, ასე ვთქვათ, ქუჩაში გავედი. გაჩნდნენ გოგონები, ძლიერ გამიტაცა სპორტმა. მუსიკისათვის დრო აღარ მრჩებოდა. რაკი ჩემი სკოლა ტექნიკური პროფილისა იყო, გადავწყვიტე, როგორც ყველა დანარჩენმა, პოლიტექნიკურში შევსულიყავი, მაგრამ აქ მოულოდნელი რამ მოხდა. მე-11 კლასში თანაკლასელებთან ერთად კინოში მიმიწვიეს, მასობრივ სცენებში მონაწილეობისათვის. მხიარულად ვატარებდით დროს; უეცრად კიდევ გამომიძახეს, ცალკე. ხმამაღლა წამაკითხეს რაღაც ტექსტი და დამამტკიცეს... მთავარ როლზე. „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“ – ასე ეწოდებოდა კინოსურათს, რომელშიც მთავარი როლი უნდა შემესრულებინა. ჩემი პარტნიორი გახდა განთქმული ჭრიჭინა – ლეილა აბაშიძე. მე კი – მოსწავლე ვარ! გადაღების ერთ დღეს სცენარის მიხედვით მდინარეში უნდა გადავმხტარიყავი. დუბლი პირველი და უკანასკნელი გამოდგა: დავშავდი. მოვიტეხე ექვსი ნეკნი და მიღებული ტრავმისაგან დამჩემდა გართულება: ტრავმული პლევრიტი. ექიმმა მითხრა, დაახლოებით ერთ წელიწადს უნდა იწვეო. ბუნებრივია, ჩემს მაგიერ ამ როლში სხვა მსახიობი გადაიღეს.

შეიძლება იმიტომ, რომ ამ ფილმში გადაღება ვერ მოვახერხე, საბოლოოდ მსახიობი გავხდი. ყველაფერი რომ გამომსვლოდა, მეორე დღესვე დამავიწყდებოდა კინო, დავიკმაყოფილებდი ჩემს ამბიციას და თანაკლასელებთან ერთად ჩავაბარებდი პოლიტექნიკურში. მაგრამ წყენა არ მასვენებდა.

მთელ წელიწადს ვიწექი და ვფიქრობდი, რა ვქნა, ვინ გამოვიდე? სრულიად არ ვიყავი მზად თეატრალურ ინსტიტუტში სწავლისათვის, მაგრამ მაინც მივედი. მივედი და მიმიღეს: „ჯანდაბას მაგის თავი, რაკი უნდა, ისწავლოსო“. მით უმეტეს, რომ მისაღებ კომისიაში ჩემი მეზობლები იყვნენ. ბევრი ჩემი თანაკლასელი, პოლიტექნიკურში რომ შევიდა, თანამდებობის პირი გახდა, მიიღეს ბინები, მანქანები, მე კი პატარა როლებს ვერ ავცილდებოდი. როდესაც რომელიმე ძველი ამხანაგი შემხვდებოდა, მეუბნებოდა, „მოეშვი ამ არტისტობას, როგორ არ გრცხვენიაო“. ერთხელ, კონსილიუმიც კი მოიწვიეს ჩემს გამო: რა მოსდის ამ ბიჭს, რა დაემართა? უნდა ვუშველოთო. მაგრამ აქ, პირველად სიცოცხლეში, გამიჩნდა ძლიერი გატაცება: მოვინდომე, გავმხდარიყავი ექიმი, თანაც, ქირურგი. ისე მოხდა, რომ სანიტრად დავიწყე მუშაობა საავადმყოფოში ბიძაჩემი კლინიკაში მოხვდა, უროლოგიურ განყოფილებაში. და რვა თვით ჩაწვა. ჩვენ ყველანი ვუვლიდით, ვმორიგეობდით. გავიცანი ექიმები, ასე მოვხვდი ერთ ოპერაციაზე, მერე მეორეზე. მეოცეს შემდეგ თვითონ დავიწყე ოპერაციებზე სიარული, ჩემი ხალათიც კი გამიჩნდა. შევამჩნიე, რომ ქირურგის წასვლის შემდეგ უბედური ავადმყოფი საოპერაციო მაგიდაზე რჩება, უმწეო და ყველასგან მიტოვებული და ორი სანიტარი ქალი ცდილობს, გადაათრიოს ბორბლებიან საკაცეზე. თვითონაც წვალობენ და ავადმყოფსაც აწვალებენ, ვერ გავუძელი ამ საცოდაობას და მე თვითონ გადავაწვინე ავადმყოფი. ერთიც არ დაუკვნესია. მას შემდეგ ეს ჩემი წმიდათა წმიდა მოვალეობა გახდა. ახალგაზრდობაში ძალზე ღონიერი ვიყავი და ავადმყოფებს ბუმბულივით ვიტაცებდი ხელში. ყველა მემადლიერებოდა. ამის შემდეგ დავიწყე არა მარტო ავადმყოფების გადაწვენა, არამედ ოპერაციის ყურადღებით თვალის დევნებაც, წარამარა ვეკითხებოდი პროფესორს: „კი მაგრამ, რატომ – ასე? ასე არ სჯობია? ეს ხომ მოსაცილებელია!“ თავდაპირველად, პროფესორი, აკადემიკოსი ალექსანდრე ბრძოლიშვილი გაოგნდა, მერე დამელაპარაკა, დამიჯდა, მესაუბრა და მომცა სპეციალური ლიტერატურა უროლოგიაში. ერთხელ, პროფესორი ცოლთან ერთად დავპატიჟე ჩემს თეატრში, რუსთაველში, „პეპოზე“, რომელშიც ვთამაშობდი. სპექტაკლის შემდეგ საპირფარეშოში შემომიტანეს თაიგული, რომელშიც ასეთი ბარათი იდო: „კახი, გენაცვალე, ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოსო“. ამით დასრულდა ჩემი სამედიცინო გატაცება.

### აბდულას საყვარელი ცოლი

— ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ ვიყავი შეყვარებული – პირველად და უკანასკნელად. ეს ჩემი ცოლი იყო, ძალიან ლამაზი, ჩვენი თეატრის ცნობილი მსახიობი ბელა მირიანაშვილი. რა თქმა უნდა, ჩემს ცხოვრებაში იყვნენ ვიღაც ქალები, მაგრამ სიყვარული ერთია! ბელა გახდა ჩემი ცოლი, ჩემი შვილების დედა, შვილიშვილების ბებია. მერე კი დავკარგე, 92-ში. 26 წელიწადს ვიცხოვრეთ ერთად, და აქედან, სულ სამ წელიწადს იყო ჯანმრთელი. დიდხანს დავდიოდით ერთმანეთთან სტუმრად, სანამ დედაჩემმა არ მითხრა: „კმარა! დროზე მორჩით ამ საქმეს!“ – და ჩვენც ჯვარი დავიწერეთ. იმ დროს ქუხდა ფილმი „დღე პირველი, დღე უკანასკნელი“, რომელშიც სერგო ზაქარიაძე თამაშობდა. სულ ბელამ ხუთ კინოსურათში მოასწრო გადაღება. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ შემდეგ 24 წელიწადს არ გადაღებულა და არ უთამაშია თეატრში, მისდამი ყოველთვის იჩენდნენ ინტერესს ტელევიზია და პრესა. აი, ახლაც, მისი სიკვდილის შემდეგ, გადაიღეს გადაცემა ბელაზე. თეატრში იყო ასეთი პერიოდი, როდესაც მხოლოდ მას აძლევდნენ მთავარ როლებს. „ვის მივცეთ მთავარი როლი?“ – ბელას. „ვინ ვათამაშოთ „ჰამლეტში?“ – ბელა. ყველა რეჟისორს სურდა, იგი თავის სპექტაკლებში გამოეყვანა.

მერე კი უბედურება მოხდა. ბელამ გადაწყვიტა, მეორე ბავშვი გაეჩინა და ხუთი თვის ფეხმძიმე იყო, გრიპი რომ შეეყარა. ორმოცი ჰქონდა სიცხე, და მაინც გამოვიდა სცენაზე. ეს მისი ბოლო სპექტაკლი გამოდგა. მოვიდა სახლში და ჩაწვა, ფილტვების ანთება დაემართა. ისე მკურნალობდა, რომ წამლებს პირს არ აკარებდა, რათა არაფერი ევნო ბავშვისათვის... უკვე მშობიარობის შემდეგ დაეწყო ჩივილი, კიბეზე ჩასვლა მიჭირსო. მას ნერვულ დაბოლოებათა ინფექციური დაავადება შეეყროდა. გვეგონა, გაუვლისო, მაგრამ არ გაუარა. თანდათან სარეცელს მიეჯაჭვა. საზღვარგარეთ ყოფნისას ყველგან ვეძებდი წამლებს, რათა ფეხზე დამეყენებინა, ნაირნაირ სტიმულატორებს. ჯერ ფეხები წაერთვა, მერე ხელები. მაგრამ, რაც უფრო მძიმედ უტევდა ავადმყოფობა, მით უფრო ძლიერი ხდებოდა. ლამაზი, ჭკვიანი, განათლებული, კეთილი და ბრძენი. ყოველთვის მაოცებდა თავისი ღირსებითა და დიდსულოვნებით. ჩემს გარდა, არასდროს სხვა არავინ ჰყვარებია და როდესაც ამბობდნენ: „ოჰ, რა უბედურიაო“, უპასუხებდა: „რატომ ვარ უბედური? მყავს შესანიშნავი ქმარი, ცნობილი, ძლიერი, მყავს შვილიშვილი. სად გაგიგონიათ, ადამიანი აბსოლუტურად ბედნიერი იყოს?!“ და მართლაც, ცხოვრებას ფილოსოფიურად უნდა უყურო. არ შეიძლება, ყველაფერი გინდოდეს და ყველაფერს ეპოტინებოდე. შესაძლოა, ჩემი ბრალიც იყოს: ძალიან მინდოდა კიდევ ერთი შვილი. მთელი ეს 23 წელიწადი ისე ვიცხოვრე, თითქოს მისი ინვალიდობა არ ყოფილიყო.

„ჩვენს ოჯახში ყოველთვის სიყვარული სუფევდა. ბელას ვაღმერთებდი. მახსოვს ერთი შემთხვევა, როდესაც ლენინგრადში მიღებდნენ ფილმში „უდაბნოს თეთრი მზე“. ჩემთან ჩამოვიდა. ეს იყო ჩვენი ერთობლივი ცხოვრების იმ პირველ წლებში, როდესაც თავს ჯანმრთელად გრძნობდა. იმ დღეს „ლენფილმის“ პავილიონში ვიღებდით მეტისმეტად თამამ სცენას: მე ვწევარ და ზემოდან მაწევს ჩემი ერთ-ერთი „ცოლი“, სრულიად შიშველი. ფილმში, მადლობა ღმერთს, ეს სცენა არ შესულა, იგი უბრალოდ ამოჭრეს, – იმ დროს, 60-იანების ბოლოს, ასეთი სცენა მეტისმეტად გულახდილად ითვლებოდა. ჩემთვის ეს მძიმე განსაცდელი იყო. ლოგინში შარვლით ჩავწექი (როგორ შეიძლება!), ზემოდან დამაწვინეს მსახიობი ქალი, რომელიც ნაზად მიდებდა პირში ყურძნის მარცვლებს. ჩემთვის ეს იმდენად მიუღებელი და სამარცხვინო იყო, რომ ყველას ვთხოვე, პავილიონიდან გასულიყვნენ. ესეც არ მაკმარეს, გამხადეს და „საქორწინო სარეცელზე“ დამაწვინეს. თანაც, წინა დღით თბილისის თვითმფრინავის დასახვედრად არ წავსულვარ. ავდრის გამო ფრენა არ იყო. მეორე დღეს კი ლოგინში უნდა ვწოლილიყავი და მეჭამა ყურძენი, რომელსაც ერთგული „ცოლი“ მიდებდა პირში. პავილიონში სიჩუმემ დაისადგურა: „მოტორი! კამერა“!. უეცრად გაიღო პავილიონის კარი – და მზე შემოიჭრა; კარის ზღურბლზე მზის სხივებში გამოჩნდა ჩემი კანონიერი ცოლი.. მოტილმა იყვირა: „არ დავინახო უცხოები მოედანზე!“. „მე უცხო არა ვარ, მე კავსაძის ცოლი ვარ“. აქ ბელამ თვალი მოჰკრა, რომ შიშველ ქალთან ერთად ვწევარ და დაიბნა: „გააგრძელეთ, გააგრძელეთ ხელს არ შეგიშლითო“. შემდეგ, მოგვიანებით, ყველა ჩემი „ცოლი“ გაიცნო, და არ დამავიწყდება, როგორ შესჩივლა ერთმა მათგანმა: „აი, ახლა მესმის, რატომ არის, რომ ჩვენი ბატონი ძაღლად არ გვაგდებსო“.

ხშირად მეკითხებოდნენ, როგორ ავუდიოდი საქმეს ოჯახში ბავშვებთან და ცოლთან. ყოველთვის მიკვირდა, რას მეკითხებიან-მეთქი. ბელა ხომ ყოველთვის მხარში მედგა. როდესაც დონ-კიხოტის როლზე მიმიწვიეს, ერთი პირობა, მინდოდა, უარიც კი მეთქვა. ოთხ წელიწადს უნდა ვყოფილიყავი გადაღებაზე, სახლიდან დაშორებით. ბელამ კი მითხრა: „უშენოდ ძალიან გამიჭირდება, მაგრამ ვერასდროს ვაპატიებ ჩემს თავს, ასეთ როლზე უარი რომ თქვაო“. ძალიან გამიჭირდა, როცა უმისოდ დავრჩი. იგი ყოველთვის მამხნევებდა. ქუჩაში არ გამოდიოდა, ხელში ავიტაცებდი-ხოლმე, ჩავსვამდი მანქანაში და ყველგან ვატარებდი.

ერთხელ ტოლია კუზნეცოვმა მითხრა: „კახი, შენ მოსკოვში უნდა გადმოხვიდე. მუდამ გვერდით გვეყოლები და სამუშაო ყოველთვის გექნებაო“. მაგრამ ამაზე არც კი ვფიქრობდი: ბავშვები პატარები არიან, ცოლი ავადმყოფობს. აი, ახლა, ალბათ, გადავიდოდი. ჩემს შვილებს უკვე თავიანთი ოჯახები აქვთ და არაფერი უჭირთ. მაგრამ ახლა შვილიშვილების გამო ვერ მივდივარ. სულ მათთან მინდა ვიყო.

...26 წელიწადს ვიყავით ერთად, და ეს 26 წელი შვილები გვიყურებდნენ. ერთხელაც არ გვითქვამს ერთმანეთისთვის ხმამაღალი სიტყვა. მე მიყვარს ხმამაღლა ლაპარაკი, ზოგჯერ ვილანძღები კიდეც, შეიძლება მწყობრიდან გამოვიდე და ვიღაცას დავუღრიალო. მაგრამ ერთმანეთში – არასოდეს. ბუნებრივია, ყოველ ოჯახშია კამათი, ჩხუბი. ერთხელ სტუმრად ვიყავი, ბევრი დავილიე, ვიღაცას ავუხირდი და დიდი აყალ-მაყალი გვქონდა. შინ რომ დავბრუნდი, ბელას სიტყვაც არ უთქვამს, სდუმს, მე კი მინდა, მითხრას: „როგორ არ გცხვენია!“, რათა ვუპასუხო: „რისა უნდა მრცხვენოდეს!!!“, მაგრამ დუმს. სდუმდა მეორე დღესაც. და მხოლოდ სამი დღის შემდეგ, როდესაც უკვე გუნება გამომისწორდა და ყველაფერი დამავიწყდა, მეუბნება: „როგორ არ გცხვენია. ასეთი დიდი, ყველასგან პატივცემული კაცი ხარ და ვიღაც კაცუნას ეციო“. ძალიან შემრცხვა. ბელამ იცოდა, როდის და რა ეთქვა. სულში ვიძერენდით ერთმანეთის... საიდუმლოდ გეტყვით, ჩვენ ახლაც ერთად ვართ, სინამდვილეში სიკვდილი ხომ არ არის, არა განა?!“.

**ირინე ზაიჩიკი.**

ჟურნ. „ოგონიოკი“, № 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ატომი და მზე – ენერგიების უმაგალითო ბრძოლა

ათასობით ნაირფერი ბუშტისაგან დამზადებული უზარმაზარი სიმბოლური კიდობანი, ბონის თავზე რომ ფარფატებდა გასული წლის ნოემბერში, როდესაც იქ ჰავის ცვლილებებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია მიმდინარეობდა, რაოდენ უცნაურიც უნდა გეჩვენოთ, არ იყო თავგადადებული „გრინპისელების“ ნახელავი. გერმანიის ყოფილი დედაქალაქის ქუჩებში გამოსული ახალგაზრდა დემონსტრანტები წარმოადგენდნენ კანონმორჩილ მოქალაქეებს, რომელთა პროფესიული საქმიანობა ბირთვულ სფეროს უკავშირდება. ევროპის ატომური ენერგიის საზოგადოების ახალგაზრდულმა სექციამ მიბაძა ეკოლოგების მაგალითს, რათა შეეხსენებინა ყველასათვის, რომ ატომური სადგურები არ გამოჰყოფენ ნახშირორჟანგს, და, მამასადამე, არ უწყობენ ხელს დათბობის ეფექტს. ეს შოუ, რომელიც, უდავოდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ყურადღების მისაზიდად იყო გათვალისწინებული, მოასწავებდა, რომ ატომის დამცველებმა თავიანთი უკანასკნელი ბრძოლა წამოიწყეს.

სპეციალისტთა დასკვნამ ჰავის დათბობის ეფექტზე ნახშირორჟანგისა და ადამიანის საქმიანობით გამოწვეული სხვა აირების გაფრქვევის გავლენის შესახებ ახალი არგუმენტებით შეაიარაღა ატომის დამცველები. ეს ძალზე დროული აღმოჩნდა, – მიმდინარე წლის ნოემბერში ქვეყნებმა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ჰააგის კონფერენციაში ჰავის ცვლილებათა კონვენციის საკითხებზე, უნდა მიიღონ გარკვეული გადაწყვეტილება, რომელიც ან უზრუნველყოფს ატომური ენერგიის მომავალს, ანდა, გაწირავს მას თანდათან კვდომისათვის. ბოლოს და ბოლოს, უნდა გაირკვეს, შეუძლია თუ არა, ბირთვულ ენერგიას შეესაბამებოდეს დედამიწის ბუნებრივი განვითარების მექანიზმს (**MDP**) ანუ, საბოლოო ანგარიშით – რა მოაქვს მშვიდობიან ატომს დედამიწისათვის, სიცოცხლე თუ სიკვდილი? ბუნებრივი განვითარების კონცეფცია შემუშავდა და საერთაშორისო პროექტად გაფორმდა კიოტოში. იგი საშუალებას აძლევს განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებს, აინაზღაურონ ატმოსფეროში ნახშირორჟანგის გაფრქვევის შემცირების სამუშაოები გარემოს არადამაბინძურებელი ტექნოლოგიების (**PED**) დაფინანსების ხარჯზე. მთავარია, საერთაშორისო გაერთიანებამ წელს მიაღწიოს შეთანხმებას **MDP**-ს შესახებ, რათა მოასწროს ღონისძიებათა გამოყენება ნახშირორჟანგის გაფრქვევის შესამცირებლად ჯერ კიდევ 2002 წლამდე.

თუ ატომი **MDP** პროგრამაში შევა, მაშინ განვითარებადი ქვეყნების ახალი ატომური ელსადგურების მშენებლობაში დაბანდებული ინვესტიციები დაახლოებით 40 პროცენტით იქნება სუბსიდირებული. ატომური ენერგია სწორედ ასეთი შედეგის იმედად არის, რათა გაინაღდოს მომავალი. 1986 წლის ჩერნობილის კატასტროფის შემდეგ ბირთვული ენერგეტიკის ინვესტიციები არახელსაყრელი გახდა საზოგადოების შიშის გამო. ამ შიშმა განაპირობა ახალი ატომური სადგურების მშენებლობის შეკვეთების შემცირება. დღესდღეობით, არც ერთი ახალი რეაქტორის მშენებლობა არ არის დაგეგმილი არც ჩრდილოეთ ამერიკაში და არც დასავლეთ ევროპაში.

**MDP** პროექტის ფარგლებში ატომური ენერგიის მომხრენი და მოწინააღმდეგენი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწევიან. ატომური ენერგიის მომხრეებმა გამოიანგარიშეს: წიაღისეული საწვავი მასალებით რომ შეიცვალოს ის ენერგია, რომელსაც მსოფლიოს 436-ვე ატომური ელექტროსადგური აწარმოებს, მაშინ ნახშირორჟანგის გამოფრქვევა წელიწადში 1,8 მილიარდი ტონით გაიზრდება. ევროპის ატომურ მრეწველთა ასოციაცია **FOKATOM** მიიჩნევს, რომ ატომი უნდა შევიდეს **MDP**-ში, ვინაიდან მისით გამომუშავებული ელექტრობა არ ახდენს არავითარ გავლენას ჰავაზე. ბუნებრივია, „გრინპისი“ ასეთი პოზიციის წინააღმდეგია.

ეკოლოგების უმრავლესობა აღიარებს, რომ ატომური ენერგია შეესაბამება **MDP** სულ ცოტა ერთ კრიტერიუმს: იგი დაეხმარება განვითარებულ ქვეყნებს 5 პროცენტით შეამცირონ $CO_2$-ის გაფრქვევა ატმოსფეროში 2010 წლისათვის.

მეცნიერები, ეკონომისტები და პოლიტიკოსები სერიოზული არჩევანის წინაშე დგანან. ჯონ ჰესარდი, ლონდონის სამეფო კოლეჯის ფიზიკოსი, საგონებელშია ჩავარდნილი შექმნილი სიტუაციის გამო: „თუ ჩვენ მხარს დავუჭერთ ატომურ მომავალს, ამით მხარს დავუჭერთ მსოფლიოს, რომელმაც პლუტონიუმი უნდა აწარმოოს. სწორედ ეს მაწუხებს ყველაზე მეტად“. მართლაც, პლუტონიუმი არა მარტო უაღრესად ტოქსიკურია, იგი ბირთვული იარაღის პირველსაფუძველსაც წარმოადგენს. ჰესარდი თვლის, რომ ბირთვული ენერგია არ უნდა ფიგურირებდეს **MDP**-ში: „სხვაგვარად, სახელი გაუტყდება ნახშირორჟანგის გაფრქვევის პროგრამის გადაჭრის სხვა, უფრო რენტაბელურ ხერხებს“. იგი დარწმუნებულია, რომ ჯერ ერთი, ნახშირორჟანგის გაფრქვევა შეიძლება შემცირდეს უკვე გამომუშავებული ენერგიის მქკ-ის გადიდებისა და დაზოგვის გზით, და, მეორე, – განახლებადი წყაროების – წყლის, მზისა და ქარის გამოყენების შედეგად. ეს იმითაც არის ხელსაყრელი, რომ არ მოითხოვს მშენებლობისა და ექსპლუატაციის დიდ დანახარჯებს. აგრეთვე, არ გვიქმნის სერიოზული პრობლემების ისეთ კომპლექსს, როგორც ატომური ელექტროსადგური.

არის, აგრეთვე დიპლომატიური ასპექტი. მაგალითად, ბრიტანეთს მიაჩნია, რომ ატომური სადგურების აკრძალვა გამოიწვევს ისეთი განვითარებადი ქვეყნების სერიოზულ უკმაყოფილებას, როგორიც არის ჩინეთი და ინდოეთი. ამ პრობლემის გადასაჭრელად ინგლისის გარემოს მინისტრმა მაიკლ მიჩერმა წამოაყენა წინადადება, შედგეს „სწრაფი“ ტექნოლოგიების სია, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ ენერგიის განახლებად წყაროებს. ამასთან, იგი როდი ეუბნება უარს განვითარებად ქვეყნებს ატომური ენერგიის გამოყენების უფლებაზე. თუმცა, ეს ნებართვა ყველას როდი ახარებს. აგუს სარიმ, ინდონეზიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ბერლინში, ბრალად დასდო დიდ ბრიტანეთს, რომ იგი ამ საკითხში გამოდის კოლონიური პოზიციებიდან და ისწრაფვის, თავს მოახვიოს მესამე სამყაროს ქვეყნებს ტექნოლოგიები, რომლებიც არა მარტო მოძველდა, არამედ საკუთარი ამომრჩევლების წინააღმდეგობასაც იწვევს. „მზის ენერგიის ფონზე ატომური მე სულაც არ მესახება კონკურენტუნარიანად, – მიაჩნია მას. – ატომური ენერგია ვერ არის საუკეთესო არჩევანი“.

მაშ შეძლებს, ატომური ენერგია „გამწვანებას“, – ამ კითხვით ასრულებს **New Scientist**-ში გამოქვეყნებულ წერილს **რობ ედვარდსი.**





# რუსეთის ელჩის პროტესტი

**რუსეთის** ელჩმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სერგი ლავროვმა უშიშროების საბჭოში კამათის დროს დატოვა სხდომათა დარბაზი, როდესაც ბალკანეთის სიტუაციას განიხილავდნენ. პროტესტის მიზეზი გახდა ის, რომ იუგოსლავიის წარმომადგენელს უარი ეთქვა განხილვაში მონაწილეობაზე. გაეროს უშიშროების საბჭოში შემავალი რამდენიმე ქვეყნის ელჩებმა არ მოისურვეს, მიეცათ სიტყვა იუგოსლავიის წარმომადგენლისათვის გაეროში ვლადისლავ იოვანოვიჩისათვის. ამერიკის ელჩმა რიჩარდ ჰოლბრუკმა განაცხადა, რომ სიტყვის მიცემა რეპრესიული რეჟიმის წარმომადგენლისათვის უადგილო იქნებოდა. მაგრამ ლავროვმა აბსურდული უწოდა თვით იმ იდეას, რომ ბალკანეთის მომავალზე იმსჯელონ იუგოსლავიის წარმომადგენლის მონაწილეობის მიუღებლად. ამავე დროს, ჩერნოგორიის მთავრობამ გააფრთხილა შეკრებილნი ბალკანეთში ახალი კრიზისის წარმოშობის საშიშროების გამო. გაეროსადმი წერილში პოდგორნიცას მთავრობა ბრალად სდებს ბელგრადს, რომ იგი არმიას იყენებს ჩერნოგორიაში სიტუაციის დესტაბილიზაციის გამოსაწვევად.

# ხანძარმა 15 კაცი შეიწირა

**თხუთმეტი** ტურისტი, მათგან შვიდი ბრიტანელი, დაიღუპა ავსტრალიის კვინსლენდის შტატის საერთაო საცხოვრებელში მომხდარი ხანძრის შედეგად. მაშველი სამსახურების წარმომადგენელთა თქმით, მეხანძრეებმა დაახლოებით 70 კაცი გამოსტაცეს ცეცხლს, რომელიც გვიან ღამით მოედო ორსართულიან ხის შენობას.

პოლიცია არ გამორიცხავს, რომ ხანძრის მიზეზი შეიძლებოდა გამხდარიყო ცეცხლის განზრახ წაკიდება და გამოაცხადა იმ კაცის ძებნა, რომელიც საერთო საცხოვრებლის მახლობლად დაუნახავთ ტრაგედიამდე ცოტა ხნით ადრე.

აქამდე გამოცხადდა, რომ დაღუპულთა მორის არიან **Backpakers** – როგორც წესი, ზურგჩანთიანი ახალგაზრდები, იაფად რომ მოგზაურობენ – ხუთნი იყვნენ ინგლისიდან, ორნი უელსიდან, თითო - ესპანეთიდან და კორეიდან, ორნი – პოლანდიიდან, აგრეთვე, სამი ავსტრალიელი და ორი ირლანდიელი.

დაღუპულთა რიცხვი, უკანასკნელი მონაცემებით, 15-ს არ გადაამეტებს: ბოლო მომენტში იპოვეს სამი იმათგანი, ვინც დაკარგულად ითვლებოდა.

ისინი, ვინც ხანძრიდან გამოაღწია, ჰყვებიან, როგორ უშველეს თავს გაქცევით ფანჯრებიდან, როგორ გადადიოდნენ მეზობელი სახლების სახურავებზე. ბევრი ამბობს, რომ სახანძრო სიგნალიზაციის ხმა არ გაუგია. ქალაქის მერმა ბილ ტრევორმა მომხდარს უდიდესი ტრაგედია უწოდა. ტრავმები და მოწამლები არ არის ბევრი. ადამიანები ან მაშინვე პოულობდნენ ცეცხლიდან გამოსვლის გზას, ან ცეცხლში იღუპებოდნენ. ხანძრის ჩაქრობა მხოლოდ ოთხ საათში მოხერხდა.

პოლიცია უკვე ეძებს დანაშაულში ეჭვმიტანილს, ვინმე რობერტ ლონგს (ფოტოზე).

# მალე ელიანი კუბაში დაბრუნდება



**შეერთებულ შტატებში** ექვსი წლის კუბელი ბიჭუნას ელიან გონსალესის ნათესავებმა განაცხადეს, რომ განზრახული აქვთ, აპელაციის შეტანა უზენაეს სასამართლოში და ეს იქნება მათი უკანასკნელი ცდა თავიდან აიცილონ ელიანს კუბაში დაბრუნება, რასაც ბავშვის მამა მოითხოვს. ამერიკის სასამართლოებმა უკვე სამჯერ გამოიტანეს გადაწყვეტილება მამის სასარგებლოდ. როგორც ბი-ბი-სის ვაშინგტონელი კორესპონდენტი განმარტავს, უზენაესი სასამართლო არ არის ვალდებული განიხილოს ეს საქმე, მაგრამ რომ იმსჯელოს კიდეც, ნაკლებად სავარაუდოა გამოიტანოს გადაწყვეტილება ელიანის ამერიკელი ნათესავების სასარგებლოდ. როგორც ცნობილია, ბიჭის დედა დაიღუპა, როდესაც არალეგალი კუბელი ემიგრანტების გემი ჩაიძირა ამერიკის ნაპირებთან.

# გალაქტიკების შთანმთქმელი ირმის ნახტომი

**ევროპის** კოსმოსური სააგენტოს (პარიზი) მკვლევარებმა ჩვენს გალაქტიკაში – ირმის ნახტომში – აღმოაჩინეს ერთბაშად ასი ათასი წინათ უცნობი ვარსკვლავი. დღემდე გალაქტიკის ცენტრალური ნაწილი ნაკლებად იყო შესწავლილი იმის გამო, რომ მას მტვრის მკვრივი ღრუბელი ფარავდა. ახლა მძლავრი ინფრაწითელი ტელესკოპის მეშვეობით ევროპელმა მეცნიერებმა შეძლეს, მტვრის ღრუბლის მიღმა გაეხედათ და 255 საათის განმავლობაში სწავლობდნენ ვარსკვლავეგროვას ირმის ნახტომის ცენტრში. თანამედროვე წარმოდგენების თანახმად, ჩვენი გალაქტიკის ასაკი 10-დან 15 მილიარდამდე წელიწადს შეადგენს. მაგრამ მისი წარმოშობის მექანიზმი გამოცანად რჩება. პარიზის ასტროფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის ალენ ომონის აზრით, ახლადაღმოჩენილი ვარსკვლავეგროვა იმის დამადასტურებელია, რომ წინა ირმის ნახტომმა შთანთქა მთელი რიგი უფრო მცირე გალაქტიკები.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით უძღვებიან

**არჩილ მანჯგალაძე, ლევან ბოჭორიშვილი.**

---

ცხოვრების ჯანსაღი წესი

# 1200 ბედნიერი თბილისელი

(პირველი გვერდიდან)

...და წამოვიდა დიდი გუნდი მორბენალთა: ახალგაზრდებმა თავიდანვე გადაწყვიტეს სიმარდე და სიჩაუქე ეჩვენებინათ, გამოცდილნი კი თითქოს ფეხს ითრევდნენ, ერთ ტემპში, აუჩქარებლად მორბოდნენ დიდი ჯგუფის შუაგულში.

ორიოდ კილომეტრში ფაცხა-ფუცხით გამოქცეულნი ოფლად გაიღვარნენ, ტემპიც დააგდეს, ზოგიერთი სიარულზეც გადავიდა.

ფილარმონიის შენობასთან ჯერ ვეტერანებმა ჩაირბინეს ისევ აუჩქარებლად, ახალგაზრდათა ჯგუფები კი ნაწილ-ნაწილ, ვინ ადრე, ვინ გვიან აგრძელებდა გზას. მერე და მერე უიმედოდ ჩამორჩენილნიც ვნახეთ, ტაატით მიდიოდნენ, ზოგიერთი ტროტუარზეც კი ასულიყო...

ეს კია, გარბენას არ გოვებდნენ, მაინც ფინიშისკენ ეჭირათ თვალი.

იქ კი ტაში, პრიზები, მომღიმარი ორგანიზატორები და ცივ-ცივი „კოკა-კოლა“ ელოდათ.

რაც შეეხება გამარჯვებულებს და პრიზიორებს, სრულიად აშკარაა, რომ გაიმარჯვა სპორტმა, ჩვენი ცხოვრების იმ წესმა, ჯანსაღს რომ უწოდებენ.

**ანზორ ბასილაია.**

**სურათებზე:** ასე დაიწყო გარბენა; გამარჯვებულთა დაჯილდოება, თავი ისახელეს ახმეტელმა სპორტსმენებმა.

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

ძალგულოვანნი

# სამი ვერელი ძმადნაფიცი

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, 1960-იან წლებში, ზემელზე (რუსთაველის ძეგლის მახლობლად) ხშირად ნახავდით ერთად მდგარ, ჩასხმული აღნაგობის, მუდამ მომღიმარ სამ ვაჟკაცს. ისინი იყვნენ განუყრელი მეგობრები, ყმაწვილობიდანვე ძმადშეფიცულნი – კოკა მუჯირი, ვილენ დევდარიანი და ოთარ კობიაშვილი. ეს ფიზიკურად ძალზე ძლიერი ახალგაზრდები ყველაფერზე მაღლა აყენებდნენ რაინდულ კოდექსს და მთელი სიცოცხლის მანძილზე განუხრელად მისდევდნენ ცხოვრების ამ წესს.

კოკა მუჯირი იყო შესანიშნავი მოკრივე და რაინდული მუშტი-კრივის უბადლო ოსტატი, კაცი მართალი და სიმართლისათვის მუდამ მემართული. იგი ვერ იტანდა სუსტის დაჩაგვრას ძალოვანისაგან. ერთმა ჯან-ღონიანმა მოხულიგნო ახალგაზრდამ აიკლო რუსთაველის პროსპექტი. ყველას აშინებდა ცემითა და დაჭრა-დასახიჩრებით. როცა ამ ამბავმა კოკას ყურამდე მიაღწია, იგი ტაქსში ჩაჯდა, მოჰკრა თუ არა თვალი პროსპექტზე ლაღად მოთარეშე ხულიგანს, ტაქსიდან გადმოვიდა, ქეჩოში სწვდა შფოთისა და აყალმაყალის ამტეხს, მანქანაში შეაგდო და თავი ფანჯარაში გადმოაყოფინა. მერე ტაქსი აატარ-ჩამოატარა პროსპექტზე, თან გამვლელ-გამომვლელს გასძახოდა – ამის როგორ გეშინიათ, ხომ ხედავთ, როგორა მყავს მამა აბრამის ბატკანივით მოკუნტული. ამის შემდეგ ის ხულიგანი წესიერად დაიარებოდა ქუჩაში...

კოკას საოცარი ღონე ჰქონდა. ერთხელ, ვერის აბანოსთან მიმავალს, ვიღაცა ზურგიდან წელში მწვდა ორი ხელით და ჰაერში ამიტაცა. ამის გაკეთება მხოლოდ კოკა მუჯირს თუ ძალუძს-მეთქი, გავიფიქრე, მოვიხედე და მართალიც აღმოვჩნდი...

სამფად ნაქსოვი ეთქმოდა წარმოშობით მთიელსა და თბილისში აღზრდილ ოთარ კობიაშვილს. ამ უშიშარმა ვაჟკაცმა ერთხელ ვერელები გვასახელა იმით, რომ ღირსეულად გაუმკლავდა შეზარხოშებულ ჩხუბისთავთა ლამის მთელ ათეულს, რომელთაც გალახვა მოუნდომეს სოლოლაკიდან შინ მიმავალ ოთარს. ჩემს თვალწინ იგი მკერდით გადაეფარა თავისი მეგობრისა და მეზობლის – გურამ რჩეულიშვილისათვის ზემელზე ამტყდარი შფოთის დროს მოქნეულ ბებუთს. ოთარ კობიაშვილს (მიუხედავად იმისა, რომ იგი დუქნებისა და ღვინის სარდაფების მუდმივი სტუმარი გახდა) პატივს სცემდა მთელი უბანი მისი კაცური და კეთილმობილური ბუნების გამო.

ვერაზე რაინდული ადათ-წესი დაამკვიდრეს დოდო აბაშიძემ, თენგიზ კეკელიძემ, თამაზ კალანდარიშვილმა, ჯუანშერ ჯურხაძემ, გურამ ნემსაძემ, კიმი ალიაშვილმა, ლევან რონდელმა, მურთაზ ძიმისტარაშვილმა და სხვებმა.

ეს სამეული მათი ტრადიციის ღირსეული განმგრძობი გახლდათ.

განგების უცნაური ძალით სამივე მათგანის სიცოცხლე ავტოავარიამ შეიწირა. კოკა და ვილენი ორმოც წელსაც არ იყვნენ მიღწეული, ოთარს კი უკვე ერთიანად გაჭაღარავებული ჰქონდა თმა-წვერულვაში.

**ედიშერ გიორგაძე.**

კოკა მუჯირი.

ვილენ დევდარიანი.

ოთარ კობიაშვილი.

ყოველი მხრიდან

UEFA EURO 2000

## ციფრები და ფაქტები

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის განვლილ პირველ ნახევარში – ჯგუფურ ტურნირში უკვე დამყარდა თავისებური რეკორდები.

**ყველაზე მეტი ბურთი** გაიტანა მილოშევიჩმა (იუგოსლავია) – 4. ასევე მან მიაწოდა **ყველაზე მეტი საგოლე პასი** – 4.

თავისი **საგოლე შედეგიანობით** ახლანდელი ჩემპიონატი აღემატება ბოლო სამ ჩემპიონატს – საშუალოდ 2,71 გოლი.

**ყველაზე ბევრი ბურთი** – 7 – გაიტანა 4 ნაკრებმა – პორტუგალიამ, ჰოლანდიამ, საფრანგეთმა და იუგოსლავიამ.

**ყველაზე ნაკლები ბურთი** გაუშვა ნორვეგიამ – 1.

**ყველაზე მეტი საგოლე მომენტი** შექმნა იტალიის ნაკრებმა – 21.

ყველაზე მეტად **უხეშობდნენ** იუგოსლაველები – სამი გაძევება და 10 გაფრთხილება.

## გიგანტების პაექრობა გრძელდება

ფრანკფურტში გრძელდება გიგანტების ტურნირი სწრაფ ჭადრაკში.

მეორე ტურში გარი კასპაროვმა დაამარცხა პეტერ ლეკო, ანანდმა კი მოროზევიჩი, შიროვი და კრამნიკი ყაიმზე შეთანხმდნენ.

მესამე ტურში კვლავ კასპაროვმა გაიმარჯვა, ამჯერად მან შიროვი დაამარცხა, ანანდმა კი ლეკოს სძლია. კრამნიკი და მოროზევიჩი დაზავდნენ.

მეოთხე ტურში უკვე შიროვმა იმძლავრა და ანანდი დაამარცხა. „სისხლის დაუღვრელად“ დაამთავრეს თავიანთი პარტიები მთავარმა მეტოქეებმა კრამნიკმა და კასპაროვმა, აგრეთვე მოროზევიჩმა და ლეკომ.

იქვე მიმდინარეობს „ოსტატთა ტურნირი“, რომელშიც ბევრი სახელოვანი დიდოსტატი მონაწილეობს. აქ 4 ტურის შემდეგ ლიდერობს ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) – 3,5 ქულა. სამი ქულით მეორე ადგილზეა რუსეთელი სერგეი რუბლევსკი, ხოლო 2,5-2,5 ქულა აქვთ მაიკლ ადამსს (ინგლისი) და ვესელინ ტოპალოვს (ბულგარეთი).

## საჩოგბურთო „მოთელვები“

სანამ დაიწყებოდეს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საჩოგბურთო პაექრობა – უიმბლდონის ტურნირი, სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარეობს შედარებით მცირე შეჯიბრებები.

პოლანდიის ჰერტოგებოსში ქალთა ტურნირში მარტინა ჰინგისის (სურათზე) მეტოქემ მეოთხედფინალში ზიმბაბველმა ბლეკმა უარი განაცხადა სახელოვანი შვეიცარიელის წინააღმდეგ გამოსვლაზე, ნახევარფინალში კი მსოფლიოს პირველმა ჩოგბურთელმა ერთ-ერთი უძლიერესი მეტოქე, ამერიკელი კაპრიატი დაამარცხა – 7:5, 6:2.

## პენალტებმა გადაწყვიტა

მუდამ დიდ აჟიოტაჟს იწვევს სამხრეთ ამერიკის თასის გათამაშება ფეხბურთში. ასე იყო ახლაც, ბრაზილიის „პალმეირას“ და არგენტინის „ბოკა ჰუნიორსის“ ორთაბრძოლას უნდა გადაეწყვიტა ამ პრიზის მფლობელის ვინაობა.

პირველი მატჩი ფრედ – 2:2 დამთავრდა. სან-პაულოში განმეორებით შეხვედრას 75 ათასი გულშემატკივარი ესწრებოდა. დაძაბული პაექრობა უშედეგოდ დამთავრდა და ამიტომაც ყველაფერი პენალტებმა გადაწყვიტა. აქ ბოლოს ბედმა არგენტინელებს გაუღიმა. 4:2 ასეთი იყო საბოლოო ანგარიში და არგენტინულმა „ბოკამ“ მესამედ მოიპოვა სამხრეთ ამერიკული საპატიო ჯილდო.

თანამემამულეებს ეს ბრწყინვალე გამარჯვება პირველმა მიულოცა არგენტინის ნაკრების ლეგენდარულმა კაპიტანმა დიეგო მარადონამ (სურათზე), რომელიც ამ მატჩზე კომენტატორად იყო ჩამოსული.

**სპორტის რედაქცია.**

## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



სურათზეა ცნობილი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მღვდელი იროდიონ ოქროპირიძე და მისი მრავალრიცხოვანი ოჯახი – სამი ვაჟი და ხუთი ქალი მეუღლეებთან და შვილებთან ერთად. ერთ-ერთი მისი ქალიშვილის ზინაიდა ოქროპირიძის მეუღლე იყო ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ლომთათიძე საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე (სურათზე მარჯვნივ, განაპირად მჯდარი მამაკაცი თავის შვილთან, ცნობილ ქართველ არქეოლოგ გოგი ლომთათიძესთან ერთად).

სურათი გადაღებულია 1915 წელს.

ფოტო მოგვაწოდა ზურაბ კაკალაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

*მკითხველებს, ვისი მოწოდებული ფოტოებიც დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში, ვთხოვთ, მოაკითხონ დედნებს.*

## მხატვრობა

# სამყარო — საკუთარ პრიზმაში

როცა ვუყურებ თამაზ ხუციშვილის სურათებს, ჩემს წინაშე მთელი მრავალფეროვნებით იშლება სამყარო, ისინი ამტკიცებენ ჭეშმარიტებას: ფერწერის სამართლე თვით ფერწერაშია. ყველაფერი იცვლება, მიდის, თემები კარგავს აქტუალობას და კვდება, ძველდება სიუჟეტები, ორთქლდება კონიუნქტურა, მაგრამ ჭეშმარიტი ფერწერის ძალა მოუგერიებელია, იგი ათბობს და ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს ადამიანს.

თითქოს დაკარგა აქტუალობა საბჭოთა პერიოდში შეკვეთილმა სურათებმა დევიზით – „დიდება შრომას!“ აღსანიშნავია, რომ თამაზ ხუციშვილმა მამინდელი „წნეხი“ იმთავითვე დაძლია და მისი იმდროინდელი სურათები ახლაც გვხიბლავს. დროის გამოცდას მათ ნამდვილად გაუძლეს. უყურებ ამ სურათებს და ფიქრობ სიცოცხლეზე, ცხოვრებაზე, რომელიც გამოხატვის სხვადასხვა საშუალებას გვთავაზობს და თითოეული მხატვრისთვის ინდივიდუალურია.

ჩვენი საუკუნე ასიმილირების თვალსაზრისით ეროვნული კულტურისათვის, ხალხებისათვის, განსაკუთრებით მცირერიცხოვან ხალხთა კულტურისთვის ძალზე სახიფათოა. უდიდესი ინფორმაცია მათ განადგურებით ემუქრება, მაშ, რამია ჭეშმარიტება? იქნებ დიდი სეზანის, ვან გოგის, პიკასოს მიერ შექმნილის იმიტირებაში? თამაზ ხუციშვილი თვლის, რომ ჭეშმარიტება ყოველთვის იყო და რჩება ცხოვრებაში, მხატვრის გარემომცველ სამყაროში, მშობლიურ მიწაში, სამყაროს პირველქმნილ აღქმაში, საკუთარ პრიზმაში გარდატეხის გზით.

ეტიუდი „ქართლი“ მოყვითალო-მოვერცხლისფერო ტონალობაშია გადაწყვეტილი, მხატვარი ზუსტად გადმოსცემს მზით შეფერილი ქართლის „ხასიათს“.

მხატვარი ერთხანს შემოქმედებითი მივლინებით ჩინეთში იმყოფებოდა, სადაც არაერთი მშვენიერი სურათი შექმნა. მათი მრავალფეროვნება და გამომსახველობის ნაირგვარობა ცხადყოფს, რომ მხატვარს არასოდეს შემოაკლდება თემა თუ მოტივი. მის სურათებში უცხო სამყაროს აღქმით გამოწვეული სიხარული შეგრძნებებისა და ემოციების ახალ იმპულსს აღძრავს.

თამაზ ხუციშვილის ფერწერა, ასე მგონია, მშვენიერ სიზმარს ჰგავს. მხატვარი მათ ერთი ამოსუნთქვით გადმოგვცემს. მის ნამუშევრებში არ არის გამოწვევა, პრეტენზიები, აქ არის მხოლოდ საკუთარი თავის გამოსახვის უდიდესი სურვილი. იგი კეთილშობილ ნათელს გადმოსცემს. რასაც არ უნდა შეეხოს მხატვრის სათქმელი, მისი პალიტრა მუდამ პოეტურია. მისთვის არ არსებობს მეორეხარისხოვანი საგნები. ყველაფერი, რაც მის სურათებში შედის, ერთნაირად არის დამუხტული, პოეტური იდუმალებითაა მოცული.



უნდა ითქვას, რომ თამაზ ხუციშვილი ბრწყინვალე პორტრეტისტია. მის მიერ შესრულებული პორტრეტები მხატვრული ხელწერის თავისებურებებით იქცევს ყურადღებას. მხატვარს იზიდავს ადამიანთა სახეების გადმოცემა. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში თითოეულის ინდივიდუალურ თვისებებს იგი მეტყველი საშუალებებით შეგვაგრძნობინებს. მის პორტრეტებს თავისებური, „ჩუმი სილამაზე“ გამოარჩევს.

ცოტაც და მეოცე საუკუნე დაგვემშვიდობება. მეტად რთული და შთამბეჭდავი განვლილი ეპოქა ყველაზე უკეთ, ალბათ, ხელოვნებაში აისახა.

როგორი იყო მდიდარი ტრადიციის მქონე ქართულ მხატვრობაში თაობათა ურთიერთშეხების ასპექტები, გაიდო მათ შორის, ერთი შეხედვით, მოუხელთებელი, უხილავი კავშირის ხიდი, შედგა თაობათა დიალოგი?

ამ შეკითხვაზე პასუხი გაგვცა გამოფენებმა – „მეოცე საუკუნის ოსტატები“ „თაობიდან თაობამდე“, რომელიც შარშან და წლეულს თანამედროვე ხელოვნების გალერეაში გაიმართა.

ექსპოზიციის ავტორია თანამედროვე ხელოვნების გალერეის დირექტორი გია ჯანბერიძე. ახლახან გამოფენათა ციკლის ექსპოზიციების კატალოგები მეტად მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოიცა, რაც გია ჯოხთაბერიძისა და „ნეოსტუდიის“ (რომელსაც მანანა მევარდნაძე ხელმძღვანელობს) დამსახურებაა. სწორედ ისინი გახლავან ამ მამულიშვილური საქმის მეცენატები.

კატალოგები ენციკლოპედიური ხასიათის არ არის. იდეა ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების ეტაპების, მხატვრული ტრადიციების, ძირითადი მიმართულებების და სხვადასხვა თაობის მხატვართა შორის არსებული მემკვიდრეობითი ძაფის ერთი შეხედვით უხილავ კავშირთა გამოვლენას გულისხმობს.

კატალოგებში ცნობილ ხელოვანთა ნაწარმოებების გვერდით თამაზ ხუციშვილის ნამუშევრებიც არის წარმოდგენილი.

თამაზ ხუციშვილი მხატვართა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებიც თავიანთი შემოქმედებით აფართოებენ და აღრმავებენ მნახველის წარმოდგენას საგნებზე, მოვლენებსა თუ ფორმათა ურთიერთობაზე. მის ნაწარმოებებს ხშირად შეხვდებით რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენებზე.

შეიძლება ითქვას, რომ თამაზ ხუციშვილმა მონახა თავისი სტილი და ფორმა, რომლის მთავარი ღირსება სილამაზე და რომანტიკული პათოსია.

**მზია გელენავა.**

## ღიმილის დოზა

– მაციერიდან ტორტი გამოიღე, ძვირფასო.

– სიამოვნებით. რამდენ ნაჭრად დავჭრა?

– ოთხად, თორემ რვა ნაჭერს ვერ მოვერევი.

* * *

ვოვოჩკა სკოლაში ძალიან ფერმკრთალი მივიდა.

– ავად ხარ? – შეწუხდა მასწავლებელი.

– არა. დედამ დამბანა.

* * *

– რა განსხვავებაა მათ შორის, ვინც ღმერთს მიმართავენ კაზინოსა და ეკლესიაში.

– კაზინოში უფრო გულწრფელად მიმართავენ.

* * *

– კაპიტანო, მეჩვენება თუ მართლა ცუდ ხასიათზე ხართ?

– ლატარიაში მთავარი პრიზი მოვიგე.

– ეგ ხომ საუცხოოა.

– გააჩნია ვისთვის. მეორე და მესამე პრიზები ფულადი იყო, პირველი – კრუიზი ჩვენი გემით.

* * *

– ბენზინის კასრზე რად ზიხარ?

– დასაძლევად – სიგარეტს თავი დავანებე.

* * *

– რა შესანიშნავი ყავა გაქვს.

– ქმარმა ბრაზილიიდან ჩამომიტანა.

– შესანიშნავია, რომ არც გაციებულა!

* * *

– შენი ძაღლი კარგი ჯიშისაა?

– ისეთი გენეალოგია აქვს, ლაპარაკი რომ იცოდეს, ხმას არ გაგვცემდა.

## განცხადება

სააქციო საზოგადოება „ბორჯომის № 1 ჩამომსხმელი ქარხნის მორიგი აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ

სს „ბორჯომის № 1 ჩამომსხმელი ქარხნის“ დირექტორატი იწვევს საზოგადოების აქციონერებს სს „ბორჯომის № 1 ჩამომსხმელი ქარხნის“ მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2000 წლის 15 ივლისს 10 საათზე ქ. ბორჯომში, თორის ქ. № 39-ში.

დღის წესრიგი:

1. 1999 წლის წლიური ანგარიში.

წლიური ანგარიშის წარმოდგენა დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშთან ერთად.

2. დირექტორის ანგარიშის დამტკიცება;
3. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;
4. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა;
5. წესდებაში ცვლილებების შეტანა და მისი ახალი რედაქციით დამტკიცება;
6. 2000 წლისათვის აუდიტორის არჩევა.

დღის წესრიგის საკითხების შესახებ დაწერილებით ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს „ბორჯომის № 1 ჩამომსხმელი ქარხნის“ დირექტორატში.

აქციონერების მოთხოვნები დღის წესრიგის საკითხად შეიტანება, თუ ისინი შესაბამისი განცხადებით მიმართავენ დირექტორატს 2000 წლის 5 ივლისამდე.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან: – სახელობითი აქციის მფლობელი აქციონერები, თუ ისინი რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციონერთა რეესტრში და საერთო კრებაზე წარმოადგენენ რეგისტრატორის მიერ დამოწმებულ აქციონერთა რეესტრის ამონაწერს და საკუთარ პირადობის მოწმობას.

ინფორმაციის მისაღებად აქციონერებს შეუძლიათ მიმართონ საზოგადოების დამოუკიდებელ რეგისტრატორს – შპს „რეგისტრს“, მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 74 ა, ტელეფონი: 230109.

დირექტორატი და სამეთვალყურეო საბჭო მხარს უჭერენ საერთო კრების დღის წესრიგში შეტანილი საკითხების მიღებას.

წესდების ახალი რედაქციით მიღება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ამჟამად არსებული წესდება, რომელიც რეგისტრირებულ იქნა სასამართლოში 1996 წელს, მოსაყვანია შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან.

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებები გამოწვეულია აქციათა მესაკუთრის შეცვლის გამო.

დირექტორატი და სამეთვალყურეო საბჭო აუდიტორის არჩევის საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაციას უწევს დამოუკიდებელ აუდიტორს იროდიონ ჩალაძეს.

სააქციო საზოგადოება „ბორჯომის № 1 ჩამომსხმელი ქარხნის“
დირექტორი: ლ. ლომსაძე.

## ჟურნალი

# ჩანართის სახესხვაობა, ანუ „არილი“ დღეს

ჟურნალ „კავკასიონის“ პოპულარული ჩანართი „არილი“ წლეულს უკვე დამოუკიდებელ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ჟურნალად იქცა და ორ კვირაში ერთხელ გამოდის. მთავარი რედაქტორის შალვა შამანაძისა და სარედაქციო საბჭოს კომპეტენტური და უნარიანი გაძღოლით „არილი“ ერთ-ერთ საყურადღებო ჟურნალად წარმოგვიდგება. ეტყობა, რომ აქ ავტორებსა და თითოეულ პუბლიკაციას განსაკუთრებული გულმოდგინებითა და გემოვნებით არჩევენ, რაც მკითხველს შეუმჩნეველი არ რჩება და ვინც კი ამ ჟურნალს კითხულობს, მასში დაბეჭდილი მასალები იწვევს გამოძახილს და საუბრის, კამათის, აზრთა გაცვლა-გამოცვლის სურვილს, რაც იმას ნიშნავს, რომ „არილი“ ცოცხალი, მოქმედი გამოცემაა. მე მას დავარქმევდი „სარკმელს დასავლეთში“, ახლა როცა ასე გაიშვიათდა ჟურნალ „საუნჯის“ მკითხველამდე მიღწევა და თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებს თითქმის ჩამოშორებული ვართ, „არილი“ სწორედ რომ გვივსებს ამ სერიოზულ დანაკლისს. შესანიშნავი მთარგმნელები ჰყავს შემოკრებილი ჟურნალს, რომელთა ინტერესები უსაზღვროდ მრავალფეროვანი და მიზანსწრაფულია, რაც შეიძლება ბევრი და საინტერესო ავტორი, ქმნილება და მათ შესახებ გამოთქმული აზრები გაგვაცნონ.

თუმცა, ჟურნალში ქართულ ლიტერატურასაც მიაგებენ პატივს და ხშირად ბეჭდავენ პროზის, პოეზიისა თუ ლიტერატურათმცოდნეობით ნიმუშებს. ძალზე სოლიდურად გამოიყურება „არილის“ გამოხმაურებანი ქართული კულტურისა და პოლიტიკის თანამედროვე საკითხებზე.

ჩემს ხელთ არსებული მე-8 და მე-9 ნომრები არაერთ გასათვალისწინებელ და გულისყურით წასაკითხ მასალას შეიცავს. ახლოსა გიორგი ლეონიძის ასი წლისთავისადმი მიძღვნილი ანდრო ბუაჩიძისა და ნოდარ შამანაძის წერილები: პროზიდან უპირველესად გამოვარჩევდი ლაშა ბუღაძის „მათთვის, ვინც მოცარტის საფლავის პოვნითაა დაინტერესებული“, ასევე ზურაბ ლეჟავას „თავისუფლების სუსხიან ნაკბენს“. აღსანიშნავია, მაია სარიშვილის, ლელა სამნიაშვილისა და გივი ალხაზიშვილის ახალი ლექსები.

თარგმანებიდან საყურადღებოა „აპის ზღაპარი“ (სპარსულიდან თარგმნა გიორგი ლობჟანიძემ), ინგებორგ ბახმანის „სიზმრების მაღაზია“ (გერმანულიდან თარგმნა დალი ფანჯიკიძემ), ჩესლავ მილოშის „ფიქრები ტ. ს. ელიოტზე“ (თარგმნა მალხაზ ხარბედიამ), რობერტ ლოუელის „საუბარი ტომას სტერნზ ელიოტის შესახებ“, თვით ელიოტის „ქოროები კლდიდან“ ფრაგმენტები (ინგლისურიდან თარგმნა არჩილ მათიძემ), რობერტ ვალზერის „ესაა და ის“ (გერმანულიდან თარგმნა მაია მირიანაშვილმა), ალენ გინსბერგის, ლორენს ფერლინგეტის, ჯეკ კერუაკის, გრეგორი კორსოს პოეზია (ინგლისურიდან თარგმნეს ზვიად რატიანმა და შოთა იათაშვილმა), ფილიპ მარდენის „მილან კუნდერა „შინ“ (ფრანგულიდან თარგმნა მიხეილ ბერაძემ).

თანამედროვე ქართული პოლიტიკის პარადოქსებზე პუბლიცისტური გამომგონებლობითა და მიმზიდველი სტილით მოგვითხრობს ჟურნალისტი ია ანთაძე თავის წერილებში „შევარდნაძის სამთავრობო საიდუმლოებები“ და „რა ჩაიფიქრა რუსეთმა“.

ფრენსის ფუკუიამასა და მადი სერებრიაკოვას წერილებში ბევრ ისეთ დაკვირვებასა და თვალსაზრისს ამოიკითხავთ, რომელთა გაცნობაც მკითხველისათვის მნიშვნელოვანი იქნება.

დიმიტრი მერეჟკოვსკის „რუსული ინტელიგენციის განკითხვის დღე“ (თარგმნა ქეთი ნიჟარაძემ) და ბორის პარამონოვის „ინტელიგენცია“ (თარგმნა ეთერ ვიბლიანმა) „მეზობელი ინტელიგენტების“ რუბრიკით იბეჭდება და საგულისხმო შეხედულებებს შეიცავს.

რობერტ სტურუას მოსკოვში თეატრ „**Et Geteva**“-ში ახლახან განხორციელებულ „შაილოკს“ (ეს სპექტაკლი მაისში რუსთაველის თეატრის სცენაზე წარმოადგინეს – გ. ლ.) რეცენზიას უძღვნის თეატრმცოდნე თამარ ბოკუჩავა, პროფესიული ანალიზი, ანალიტიკური აზროვნება და მდიდარი ასოციაციები მის ვარიაციებს შექსპირის „ვენეციელი ვაჭრის“ თემაზე, უაღრესად ტევად შინაარსს აძლევს, რომელიც რეცენზიის საზღვრებს სცილდება კიდეც და უფრო გლობალურ ხასიათს იღებს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „არილმა“ უკვე საინტერესო, მრავალფეროვანი ჟურნალის იმიჯი მოიპოვა, რისი დასტურიც ჟურნალ-გაზეთების ბაზარზე მისი სწრაფი რეალიზაციაა – იშვიათად რომ ახალ ნომერს გაუსაღებელი წინამორბედი დახვდეს.

და ბოლოს, ერთი სურვილიც: რა კარგი იქნებოდა, რომ „არილს“ მისი შინაარსის შესატყვისი პოლიგრაფიული ხარისხიც გამოარჩევდეს.

**გიორგი ლალიაშვილი.**

არილი
#8
2000

არილი
B
E
A
T
#9
2000
Marijuana

## ტელევიზია

### კვირა, 25 ივნისი

10.00 „დილის პაემანი“ 11.30 მულტფილმი 11.45 „საკვირაო გამოფენა“ 11.55 „ნამდვილი ამბები“ 12.05, 15.35 ფეხბურთი. მეოთხედფინალური მატჩი. 14.05 „ბავშვები, უპირველეს ყოვლისა“ 14.20 „გვაქვს უთვალავი ფერი-თა“ 14.40 „რეგიონი“ 15.00 „ვესტნიკი“ 15.15 მულტსერიალი 17.40 „სპა“ 18.00 „მოამბე“ 18.10 „ენერგია“ 18.25 მსოფლიოს ახალი ამბები 18.40 „ფორტუნა“ 19.20 „ტოტოლოტო“ 19.30 „ჩვენი მისამართია“ 20.00 „ტაიმ-აუტი“ 20.45 მუს. პაუზა 20.50 ფეხბურთი. საფრანგეთი - დანია. შესვენებისას „მაესტრო“ 22.50 „დიდების ზღაპარი“ 23.15 „ტვ-მობილი“ 23.35 ფეხბურთი. ჰოლანდია - ჩეხეთი. შესვენებისას „მოამბე“ 01.35 „ჯემი“.

19.00 „საზღვაო პოლიცია“ 19.50 გაილიმე 20.20 შეიდეული 20.50 „ევრო-2000“ მეოთხედფინალი 22.50 ჰიტ-პარადი 23.00 მეშვიდე ცა 23.35 „ევრო-2000“ მეოთხედფინალი.

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.15 მულტსერიალი 10.00 საბავშვო ფილმი 11.30 მუსიკა 11.40 „კოლომბო“ 12.10 სიმფსონები 12.30 „სიყვარულის ერთგულება“ 13.15 მხ. ფ. 18.00, 01.45 კურიერი 18.15 „კოლომბო“ 19.40 სპორტული პროგრამა 20.05 „სიყვარულის ერთგულება“ 21.00 60 წუთი 22.05 სერიალი 23.00 სიგარეტ „კონგრესის“ პრიზების - „მოიგე და გაემგზავრე“ გათამაშების ტრანსლაცია 23.20 „დაუმოუმორჩილებელი ანჟელიკა“ 01.15 სიმფსონები 01.55 კლასიკა.

იბერია 09.00 ნახ. ფ. 09.10, 22.25 „ალსავალი“ 09.15 დოკ. ფ. 09.40 ნახ. ფ. 10.00 „ძვ. პანგები“ 10.35 მრწამსი 11.00 მულტსერიალი 11.20 „ჩინური კვარტალი“ 13.30 მუს. ტალღა 13.35 „მაიმუნების ქვეყანა“ 18.00 „ბრილიანტის ხელი“ 19.30 ნახ. ფ. 19.40 „მუს. ტალღა“ 20.40 „პორტრეტები“ 21.10 დოკ. ფ. 22.00 „ახალი ამბები“ 22.30 „ტრუმენის შოუ“ 00.05 „ნოსტალგია“ 00.10 „დასაკარგი არაფერია“, „ლვაცა“.

12.00 „მოთამაშეთა მეფე“ 14.45 ქადაგება 15.15 „შემოდგომის ლეგენდები“ 17.40 მულტფილმები 18.00 „მსოფლიო სპორტი“ 19.00 „ინსპექტორი გაჯეტი“ 20.30, 00.00 „დღეს“ 21.00 „ვარსკვლავები“ 22.00 „გაქცევა შოუშენკოდან“ 00.30 „ჯაზ-პარნასი“.

ევრიკა 11.00 ცისკრის ზარები. 11.03 მულტფილმები 11.30 დოკ. ფ. 12.00 ლოცვა 12.03 „თეატრალური შეხვედრები“ 13.30, 15.45 „კავკასიური ცარცის წრე“ 15.00 ლოცვა 15.03 ქართული საგალობლები 17.20 „ალავერდობა“ 18.00 ლოცვა 18.03 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობა ილია მეორეს ქადაგება 18.20 საეკლესიო კალენდარი 18.30 საუბრები ბიბლიაზე 20.00 საბავშვო გადაცემა 20.30 „იქ სადაც, სიყვარულია“ 21.00 მოკლ. მხ. ფილმი 21.30 მუსიკალურ-პუბლიცისტური გადაცემა „მონატრება“ 22.15 „ღიმილის ბიჭები“.

08.00 „ტონიკი“ 10.30 „კარლიტოს გზა“ 12.50, 16.50, 20.40, 22.30 კლიპ-მიქსი 13.10 მულტფილმი 14.30 „ზუსტად ის მიუნჰაუზენი“ 18.00 მულტფილმები 19.00 „განთიადის წინ“ 20.55 „დაცემული მართლმსაჯულება“ 22.50 „კლუბი „კოტონი“ 01.00 მხ. ფ., დასასრულს ნონსტოპი.

09.00 საინფორმაციო პროგრამა 09.15, 18.15 მულტფილმი 09.40 „შეჯახება“ 11.35 „თავისუფალი მიკროფონი“ 12.20 დოკ. ფ. 12.50 „ბელისიმო“ 13.05 „დოგმა“ 15.10, 18.45 „დისქავერი“ 16.55, 00.15 მუსიკა 17.00 „დათა თუთაშხია“ 18.00 საინფორმაციო პროგრამა 20.15 „საფეხბურთო მიმოხილვა“ 20.30 ინფორმაცია 20.55 „ქართული მთამსვლელობის ქრონიკები“ 21.20 „რიგითი რაიანის გადასარჩენად“ 00.00 საინფორმაციო პროგრამა 00.35 „ჩიტუნა“.

09.30 „დღეს“ 10.10, 18.30 მულტფილმები 11.00 „ხევისბერი გოჩა“ 12.30 „ქართული ტრადიციები“ 13.20 „ამერიკაში მინდა“ 15.00 დოკ. ფ. 15.20 „პოლიციური ისტორია“ 16.50 მუსიკა 17.00 „გამარჯვებულები და ცოდვილები“ 19.00 „ქეთო და კოტე“ 20.10 „ფარდის გახსნამდე“ 21.00, 23.45 ფეხბურთი 23.00 „დღეს“ 01.45 „მაგარი მისტერი“.

## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. ჟანრი, ევროპულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში (XIV-XVIII ს.ს.), რომლისთვისაც დამახასიათებელია ბუნების წიაღში მწყემსების ცხოვრების იდილიური ასახვა. 8. იმ განზოგადებულ დებულებათა ერთობლიობა, რომლებიც ქმნიან რაიმე მეცნიერებას ან მის ერთ-ერთ დარგს. 9. რისამე (მაგ. ქაღალდის, ქსოვილის, ლინოლეუმის და მისთ.) გრაგნილი. 10. მატყლის სქელი მკვრივი ქსოვილი. 11. რისამე ნორმალური მიმდინარეობის დარღვევა, მწვავე შეხლა-შემოხლა. 12. მუსიკალური მახვილის გადანაცვლება ტაქტის ძლიერი ნაწილებიდან სუსტზე. 14. ბრალდებულის უდანაშაულობის დასაბუთება. 17. ფულადი ან ნივთიერი ჯილდო რაიმე დარგში წარმატებისათვის, დამსახურებისათვის. 20. სალიბუნი. 22. ქალაქი ჩრდ. თურქეთში. 23. ჩოგბურთის სათამაშო ჩოგანი. 24. ქალაქი იაპონიაში. 25. გერმანიის ყოფილი იმპერატორების ტიტული. 26. ქალაქი ყირგიზეთში. 29. ხის პატარა ჩხირი, რომლის თავი წარმოადგენს აალებად ნივთიერებას. 32. სხეისი ბავშვების გამზრდელი ქალი. 35. პატარა სასადილო იტალიაში. 36. ქალაქი იტალიაში. 37. ავსტრიელი პოეტი. 38. ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი; წმინდა გიორგის ეკლესია ისტორიულ ქსნის ხეობაში. 39. ბუნებრივი, ცოცხალი ნიმუში, რომელსაც ხატავენ, იღებენ და სხვ. 40. რაიმე სამუშაოს შესასრულებელი აპარატების, ხელსაწყოების ერთობლიობა.

**შვეულად:** 1. მდგომარეობა ჭიდაობაში, როდესაც მოჭიდავე ხალიჩაზეა დაჩოქილი და ხელებით ეყრდნობა მას. 2. რისამე განვითარების საფეხური, პერიოდი. 3. ამერიკის კინოხელოვნების და მეცნიერებათა აკადემიის ჯილდოს სახელწოდება. 4. რაიმე საგნის მონახაზი, კონტური. 5. კომპოზიტორ პ. ჩაიკოვსკის ოპერა. 6. ფრანგი კინომსახიობი ქალი, ანჟელიკას როლის შემსრულებელი ფილმში „ანჟელიკა და მარკიზა“. 7. ქვეყანა სამხრ. დას. აფრიკაში. 11. ხელოვნური საერთაშორისო ენა. 13. მეცნიერება, რომელიც სწავლობს მეურნეობის რომელიმე დარგის საფინანსო-მატერიალურ მხარეს. 15. ფულის ერთეული ჰონდურასში. 16. ხარჯთაღრიცხვა. 18. ინგლისელი მწერალი. 19. წლოვანება. 20. საგანგებო დავალება. 21. მძიმე ქრონიკული გადამდები დაავადება (კეთრი). 27. მე-18 ს-ის იტალიელი ფერმწერი. 28. ბუდისტების მისტიკური მოძღვრების მიხედვით: უდიდესი ნეტარება, რომელსაც აღწევენ ადამიანური ზრუნვისა და მისწრაფებათაგან სრული განთავისუფლებით. 30. ამერიკელი საესტრადო მომღერალი. 31. წვის შედეგად დარჩენილი მტვრის მსგავსი მასა. 32. ხმელთაშუა ზღვისპირეთის მთებში გაჭრცელებული ტანდაბალი ბუჩქების, ბოლქვიანი და სხვა მრავალწლოვანი ბალახების ერთობლიობა. 33. ისეთი ვითარება, როდესაც ორი არასასურველი შესაძლებლობიდან აუცილებელია ერთ-ერთის არჩევა. 34. პროსპექტი საფრანგეთის, აშშ-ის და ზოგი სხვა ქვეყნის ქალაქებში.

შეადგინა
**ციალა ამაშუკელმა.**

### 18-19 ივნისს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 6. რაზიკაშვილი. 9. თალმუდი. 10. ტეილორი. 11. ათენი. 12. მანტია. 14. პარიზი. 15. რიქსდაგი. 16. მენეჯერი. 18. სტენდი. 20. აგენტი. 22. კალკი. 24. აკოლადა. 25. რეესტრი. 26. უნივერსიადა.

**შვეულად:** 1. ქარბუქი. 2. ფიქცია. 3. პარაპეტი. 4. ტვისტი. 5. კლასიკა. 7. კაბალისტიკა. 8. პროკურატურა. 13. აბატი. 14. პანდა. 17. ტალავერი. 19. დრაკონი. 21. გრენადა. 22. კარავი. 23. ირონია.

ჭიათურის რაიონის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა

ლაშა ცეზარის ძე ლაშხი

და გულწრფელ სამძიმარს უცხადებს ბატონ ცეზარ ლაშხს და მის ოჯახს.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, ზურაბ გოგიაშვილი, ბონდო ზულიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება – ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა –
PRESS–98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“
საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.